



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაერთა ეროვნული ცენტრი

KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL
CENTRE OF MANUSCRIPTS

თბილისი • TBILISI

2021

MINOR SYNAXARION

Euthymius the Hagiorite

Text and apparatus prepared by

Dali Chitunashvili

მცირე სუნაქსარი

ექვთიმე მთაწმიდელი

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და სამეცნიერო აპარატი დაურთო

დალი ჩიტუნაშვილმა

რედაქტორი **ექვთიმე კოჭლამაზაშვილი**

საგამომცემლო ჯგუფი **ხათუნა გაფრინდაშვილი**
ნათია დუნდუა
ირმა ხოსიტაშვილი

დამკაბადონებელი **თამთა ჯანაშია**

Editor **Ekvtime Kochlamazashvili**

Editorial team **Khatuna Gaprindashvili**
Natia Dundua
Irma Khositashvili

Text layout **Tamta Janashia**

ISBN 978-9941-9745-4-0

© კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2021
© დალი ჩიტუნაშვილი, 2021

საკითხის შესავლის ისტორიისათვის

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართულ ხელნაწერთა ფონდში დაცულმა ხელნაწერმა A-648 დიდი ხანია მიიპყრო ლიტურგიკით დაინტერესებულ პირთა ყურადღება, სამეცნიერო მიმოქცევაში ინფორმაცია A-648 ხელნაწერის შესახებ თედო ჟორდანიამ შემოიტანა, როდესაც 1902 წელს გამოაქვეყნა თბილისის საეკლესიო მუზეუმში დაცული ქართული ხელნაწერების აღწერილობა. აღწერილობაში მოცემულია ხელნაწერის ტექნიკური პარამეტრები, გადანერის დრო და ადგილი, მაგრამ მისი შინაარსობლივი მხარე გამოკვეთილი არ არის.¹ 1912 წელს კორნელი კეკელიძემ ამ ხელნაწერში დაცულ ტიპიკონში ექვთიმე მთაწმიდელის სვინაქსარი ამოიცნო და ტექსტის რუსული თარგმანი დაურთო იერუსალიმური ლექციონარის გამოცემას.² კორნელი კეკელიძე იყო პირველი, ვინც განსაზღვრა, რომ ტექსტი ბიზანტიური ლიტურგიის ადრეულ ეტაპს ასახავდა და მას საფუძვლად ედო კონსტანტინეპოლის დიდი ეკლესიის ტიპიკონის ისეთი რედაქცია, რომელიც თავისი მოცულობითა და მასალით მსგავსი იყო ა. დმიტრიევსკის მიერ გამოცემული ე.წ. პატმოსის სვინაქსარისა.³ კორნელი კეკელიძეს ეკუთვნის ასევე საყურადღებო შენიშვნები ძეგლის თავისებურებათა შესახებ.

2016 წელს გამოვიდა ავტორთა ჯგუფის ნაშრომი „ნარკვევები ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიიდან“, რომელშიც დაიბეჭდა ლილი ხევსურიანის უმნიშვნელოვანესი კვლევა „მცირე სვინაქსარზე“.⁴ ნაშრომში მოტანილია ხელნაწერის მოკლე აღწერილობა, მისი შესწავლის ისტორია და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ლ. ხევსურიანმა სტატიაში შეაჯამა კორნელი კეკელიძის კვლევის შედეგები და განსაზღვრა ძეგლის ძირითადი ლიტურგიკული თავისებურებები:

1. სვინაქსარის შემადგენელი ნაწილების განსხვავებული განლაგება – მარხვან-ზატიკის ნაწილის მოთავსება არა სათვეო ნაწილის შემდეგ, როგორც ეს გვხვდება კონსტანტინოპოლის დიდი ეკლესიის ტიპიკონებში, არამედ მისი ჩართვა მარტსა და აპრილს შორის – მკვლევრის აზრით, იერუსალიმური ლექციონარის გავლენით არის განპირობებული;

2. დადასტურდა ე.წ. სოფრონის „დიდი ჟამების“ არსებობა ექვთიმეს თარგმნილ სვინაქსარში, რომელიც ხელნაწერის ნაკლებობის გამო მხოლოდ ტერმინში „სამნი“ ამოიცნო კ. კეკელიძემ.⁵

3. ახალი აღთქმის საკითხავების სრული ტექსტებით მოტანა, რაც მხოლოდ ექვთიმეს სვინაქსარისათვის არის დამახასიათებელი. – ლ. ხევსურიანის აზრით, განპირობებული უნდა ყოფილიყო ქართულ ენაზე ისეთი კრებულების (სანელინდო სახარებებისა და სანელინდო სანინასწარმეტყველოების) არარსებობით, რომლებიც საკითხავთა ახალ, ბიზანტიურ სისტემას ასახავდნენ.

ლ. ხევსურიანის შრომით უმეტესწილად პასუხი გაეცა ძირითად ლიტურგიკულ კითხვებს, რომლებიც ექვთიმე მთაწმიდელის „მცირე სვინაქსართან“ იყო დაკავშირებული, მაგრამ დღემდე ხელ-

¹ Ф. Жордания, *Описание рукописей Тифлийского Музея Карталино-Кахетинского духовенства*, Тифлис, т. 2, 1902.

² К. Кекелидзе, *Иерусалимский Канонарь*, Тифлис, 1912, стр. 297-310.

³ А. Дмитриевский, *Описание литургических рукописей православного востока*, т. I, ч. I, Киев, 1895.

⁴ ლ. ხევსურიანი, მცირე სვინაქსარი, წიგნში: *ნარკვევები ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიიდან*, ტომი III, ლიტურგიკა, ჰიმნოგრაფია, ეგზეგეტიკა, ასკეტიკა-მისტიკა, კანონიკა, თბილისი, 2016, გვ. 31-39.

⁵ К. Кекелидзе, *Иерусалимский Канонарь*, стр. 337.

ნაწერის სრული ტექსტი ქართულ ენაზე გამოუცემელი რჩებოდა, არ იყო დეტალურად შესწავლილი ტიპიკონის კალენდარი და სვინაქსარული ცხოვრებები კონსტანტინოპოლის დიდი ეკლესიის ტიპიკონებთან მიმართებით, სამეცნიერო მიმოქცევაში არ შესულა სვინაქსარში სრული სახით წარმოდგენილი ოთხთავისა და სამოციქულოს ტექსტები.

ტექსტის თარგმნისა და ხელნაწერის გადანერის დრო

ექვთიმე მთაწმიდელის მიერ სვინაქსარის თარგმნის ფაქტს აღნიშნავს გიორგი მთაწმიდელი იოანესა და ექვთიმეს „ცხოვრების“ ტექსტში. გიორგი მთაწმიდელი იძლევა ექვთიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილი თხზულებების სიას, რომელთა შორის 27-ე ადგილზეა „სვინაქსარი სანელინდოჲ, უმცროსი“, ¹ გიორგი ხუცესმონაზონი კი გიორგი მთაწმიდელის მიერ დიდი სვინაქსარის თარგმნის შესახებ საუბრისას აღნიშნავს: „დაღაცათუ ეთარგმნა წმიდასა მამასა ეფთჳმესცა სვინაქსარი, გარნა ფრიად სულმცირედ აღწერა სხუათა წიგნთა თარგმნისა უცალოებითა“.²

ტექსტის თარგმნის დროის განსაზღვრაში გადამწყვეტი აღმოჩნდა ექვთიმეს მიერ თარგმნილი „მათეს სახარების კომენტარების“ 1002 წლის ავტოგრაფული ნუსხისათვის დართული იოანე ქართველის ანდერძი,³ რომელშიც მოცემულია ექვთიმეს მიერ მამის სიცოცხლეში თარგმნილი თხზულებების სია. ამ სიაში მეოცე ადგილზე მოხსენიებულია „სვინაქსარი ბერძული, რომელ არიან კრებანი“. ამდენად, მცირე სვინაქსარის თარგმნის ზედა ზღვრად 1002 წელი არის მიჩნეული.⁴

რაც შეეხება ხელნაწერის გადანერის თარიღს, ის დიდი ხნის განმავლობაში სადავო იყო: ხელნაწერის ბოლო, 72-ე ფურცელზე შემორჩენილი მომგებლის ანდერძის მიხედვით ხელნაწერი 1030 წელს კონსტანტინეპოლში, პილურის მონასტერში ბასილი ეტრატას (სხვა წყაროებით - მალუმის ძის) მიერ გადანერილად მიიჩნია ხელნაწერის პირველმა აღმწერელმა თედო ჟორდანიამ, მაგრამ იმის გამო, რომ ხელნაწერის მომგებლის, ზაქარია ვალაშკერტელის მოხსენიების ბოლო თარიღად 1022 წელი იყო მიჩნეული,⁵ ჩაითვალა, რომ A-648-ის ბოლო ფურცელი არ არის ამ ხელნაწერის კუთვნილება და მოგვიანებით აღმოჩნდა მასთან ერთად აკინძული.⁶

1976 წელს ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა ელენე მაჭავარიანმა გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი ნაშრომი A-648 ხელნაწერის შესახებ⁷ და დაასაბუთა, რომ ხელნაწერის მომ-

¹ გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი, *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, წიგნი II, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, თბილისი, 1967, გვ. 63.

² გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისაჲ, *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, წიგნი II, გვ. 128.

³ ანდერძი პირველად გამოაქვეყნა თ. ჟორდანიამ 1894 წელს ე.წ. წყაროსთავის ნუსხაზე დაყრდნობით (თ. ჟორდანიამ, *ქრონიკები*, ტომი I, რეპრინტი, თბილისი, 2004, გვ. 140-141). იგივე ანდერძი აღმოჩნდა „მათეს სახარების კომენტარების“ 1048 წელს გადანერილ ნუსხაში, რომლის მომგებლის ანდერძშიც სრულად არის შესული იოანეს ანდერძიც, იხ. ლ. ხევსურიათი, მცირე სვინაქსარი, გვ. 5-36.

⁴ ლ. ხევსურიათი, მცირე სვინაქსარი, გვ. 36.

⁵ არისტაკეს ლასტივერტეცი, *ისტორია*, ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბილისი, 1974, გვ. 54.

⁶ К. Кекелидзе, *Иерусалимский Канонар*, стр. 298.

⁷ ელ. მაჭავარიანი, გადამწერსა და მხატვარს შორის შრომის განაწილების საკითხისათვის ხელნაწერი წიგნის მხატვრული კომპოზიციის შექმნის დროს, *მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი*, IV, თბილისი, 1976.

გებელი – ზაქარია ვალაშკერტელი,¹ რომლის დაკვეთითაც ბასილი ეტრატა-მალუშის ძემ ექვთიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილი ტექსტების შემცველი რამდენიმე ხელნაწერი გადაწერა, 1030 წელს ცოცხალი უნდა ყოფილიყო, რადგან ამ ხელნაწერთა უმეტესობა 1028-1031 წლებს შორის არის გადაწერილი. ელენე მაჭავარიანმა ასევე დაასაბუთა, რომ ხელნაწერისათვის დართული ანდერძი, რომელიც ნაწერი ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებული ხელით, ხელნაწერის გადამწერს ბასილი ეტრატას ეკუთვნის, ერთიანია ხელნაწერისა და ანდერძის მხატვრული გაფორმებაც. დღეისათვის კითხვის ნიშნები ხელნაწერის გადამწერის თარიღთან დაკავშირებით აღარ ჩნდება.

ზაქარია ვალაშკერტელი ან, როგორც მას მისი ბრძანებით გადამწერილ ხელნაწერთა ერთი ნაწილი მოიხსენებს, ზაქარია მამადმთავარი ბანაელი სვანეთში, ზაქარია მამადმთავარი, ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებიდან არის ცნობილი. სამწუხაროდ, ქართულმა ისტორიოგრაფიამ თითქმის არანაირი ცნობა არ შემოგვინახა მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისის ამ საინტერესო საზოგადო მოღვაწის შესახებ. ზაქარიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღდგენა შესაძლებელი გახდა მის მიერ დაკვეთილ ხელნაწერებში შემონახული ანდერძ-მოსახსენებლების საფუძველზე. დღესდღეობით ზაქარიას მიერ დაკვეთილი თუ მოგებული ხელნაწერებიდან ცნობილია ექვსი.² ამასთანავე, საინტერესო ინფორმაცია არის შემონახული ვალაშკერტელის შესახებ მეთერთმეტე საუკუნის სომეხი ისტორიკოსის არისტაკეს ლასტივერტელის თხზულებაში.³

ზაქარია ვალაშკერტელის ბიოგრაფიის აღდგენის პირველი მცდელობა ელენე მეტრეველს ეკუთვნის, რომელმაც ზაქარიას მიერ დაკვეთილი ხუთი (A-1, A-92, A-96, S-143, Q-34) ხელნაწერის შესწავლის საფუძველზე წარმოადგინა ზაქარიას ბიოგრაფია და მასთან დაკავშირებული ქართველი ბერების მოღვაწეობა ექვთიმე მთაწმიდელის კულტისა და მისი თარგმანების გავრცელებისა და პოპულარიზაციის საქმეში.⁴ 2010 წელს გამოქვეყნდა დარეჯან კლდიაშვილის საყურადღებო ნაშრომი კონსტანტინეპოლის ქართული მონასტრების შესახებ. ნაშრომში საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული ზაქარია ვალაშკერტელის შესახებაც.⁵

ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები გვიჩვენებენ, რომ ზაქარია ვალაშკერტელი, გრიგოლ მთაწმიდელი, არსენი, ზაქარია მირდატის ძე, ბასილი ეტრატა (მალუშის ძე), ისაკ ულუმბოელი იყვნენ ის ადამიანები, რომელთა თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით 1030-34 წლებში ექვთიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილი არაერთი თხზულება გადაწერა და გავრცელდა.⁶

ელ. მეტრეველის აზრით, დავით კურაპალატის აღზრდილი ზაქარია წარმოშობით ტაოს დიდებულთა საგვარეულოდან უნდა ყოფილიყო.⁷ დაწყებითი განათლება ზაქარიამ ოთხთა ეკლესიაში მიიღო.⁸

¹ ზაქარია ბანელი-ვალაშკერტელისათვის იხ. ელ. მეტრეველი, *ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან*, თბილისი, 1996, გვ. 145-195.

² A-1(1031წ.), A-92 (1029 წ-მდე, მთაწმიდა), A-648 (1030 წ. პილურის მონასტერი, კონსტანტინეპოლი), S-143 (1022-1028 წწ. ხორას მონასტერი, კონსტანტინოპოლი); Q-34 (1030-31 წწ., აგიაპანტი, კონსტანტინეპოლი), K-176 (1031 წ.).

³ არისტაკეს ლასტივერტეცი, *ისტორია*, გვ. 54.

⁴ ელ. მეტრეველი, *ნარკვევები ათონის-კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან*, გვ. 145-196.

⁵ დ. კლდიაშვილი, კონსტანტინეპოლის ქართული მონასტრები XI საუკუნის 20-30 წლების ქართულ წყაროებში, ხორა, კესტორი, აგიაპანტი, პილური, *კავკასია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის*, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბილისი, 2010, გვ. 506-523.

⁶ ელ. მეტრეველი, *ნარკვევები*, გვ. 149-157.

⁷ ელ. მეტრეველი ამ საგვარეულოდ დაფანჯრულთა საგვარეულოს მიიჩნევს, დ. კლდიაშვილი კი პადუის დაკარგული ხელნაწერის კოლოფონის საფუძველზე ჯოჯიკის-ძეთა საგვარეულოს წარმომადგენლად, იხ. დ. კლდიაშვილი, კონსტანტინეპოლის ქართული მონასტრები, გვ. 511. ასევე იხ. ელ. მაჭავარიანი, *დასახ. ნაშრომი*.

⁸ დ. კლდიაშვილი, კონსტანტინეპოლის ქართული მონასტრები, გვ. 511; ელ. მეტრეველი, *ნარკვევები*, გვ. 171-172.

1022 წლისათვის, როგორც ამას არისტაკეს ლასტივერტელი გვამცნობს,¹ ზაქარია ვალაშკერტის ეპისკოპოსი იყო,² მისი უშუალო მონაწილეობით მიმდინარეობდა მოლაპარაკებები გიორგი I-სა და ბასილი II-ს შორის. ამ მოლაპარაკებების წარუმატებლად დასრულების შემდეგ, იმპერატორის ბრძანებით, ზაქარია კონსტანტინეპოლში გააძევეს, სადაც ის თავდაპირველად პილურის მონასტერში, შემდეგ კი კუთვნილ აგიაპანტის მონასტერში მოღვაწეობდა.³

კონსტანტინეპოლში ბასილი II-ის მიერ ექსორიაქმნილი ზაქარია, რომლისთვისაც ლასტივერტელის ცნობით ენაც უნდა ამოეკვეთათ,⁴ 1031 წლისათვის ბანელი (ბანელი) ეპისკოპოსი ხდება და სუნგელოზის პატივს, ანუ პატრიარქის თანამდგომისა და დამხმარის საპატიო წოდებასაც იღებს. ამასთანავე, ზაქარიას მფლობელობაში გადადის კონსტანტინეპოლში მდებარე აგიაპანტის მონასტერი. ზაქარიას დაწინაურება, როგორც ჩანს, დაკავშირებული უნდა იყოს კონსტანტინეპოლში ბაგრატ IV-ის დედის, მარიამის ელჩობასთან.⁵

სამწუხაროდ, ზაქარიას შემდგომი ბედი ჩვენთვის უცნობი რჩება.

სამეცნიერო ლიტერატურაში ტექსტი „მცირე სვინაქსარის“ სახელით არის ცნობილი. ხელნაწერი ნაკლებია, აკლია დასაწყისი, ამდენად, მის ზუსტ სათაურს ჩვენამდე არ მოუღწევია. სამეცნიერო წრეებში „მცირე სვინაქსარად“ მისი მოხსენიება კორნელი კეკელიძის სახელთან არის დაკავშირებული, რომელმაც ძეგლის რუსული თარგმანი «Краткий Синаксарий» – მცირე სვინაქსარის სახელით გამოსცა.

გიორგი მთაწმიდელი ჩვენთვის საინტერესო ტექსტს „სვინაქსარი სანელინდოჲ, უმცროჲსი“-ს უწოდებს, გიორგი ხუცესმონაზონი კი – „სვინაქსარს“, რომელიც მოუცლელობის გამო ექვთიმე მთაწმიდელს „სულმცირედ აღწერა“.

ვფიქრობთ, გიორგი მთაწმიდელის მიერ ექვთიმეს თარგმანთან მიმართებით „უმცროჲსის“ გამოყენება „დიდი სვინაქსარის“ არსებობით არის განპირობებული, რომელიც „იოანესა და ეფთჳმეს ცხოვრების“ დაწერის დროისათვის ნამდვილად არსებობდა ბერძნულად, და რომელიც ერთ-ერთი მთავარი წყარო იყო გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილი სვინაქსარისათვის.⁶

მცირე სვინაქსარის შედგენილობა

ჩვენამდე მცირე სვინაქსარმა მხოლოდ 72 ფურცლით მოაღწია, მის შედგენილობაში შედის სვინაქსარის სათვეო ნაწილი, რომელსაც შემორჩენილი ფურცლების დიდი ნაწილი უკავია (2r-33v; 49r-65v), მარხვან-ზატიკის ნაწილი (34r-48v), ასევე ჩვენამდე მოაღწია ერთმა ნაწილმა ტექსტისა, რომელიც გიორგი მთაწმიდელის „დიდი სვინაქსარში“ შეტანილია თხზულების ტიპიკონურ ნაწილში

¹ არისტაკეს ლასტივერტეცი, *ისტორია*, გვ. 54.

² ბოლო გამოკვლევებით ვალაშკერტის საეპისკოპოსო ბასიანის ტერიტორიაზე ლოკალიზდება (თანამედროვე ჰასან-ყალა), იხ. გ.ჭყეიშვილი, ვალაშკერტის საეპისკოპოსო, *წელინდგეული*, IV, 2014, გვ. 183-186.

³ დ. კლდიაშვილი, კონსტანტინეპოლის ქართული მონასტრები, გვ. 519-521.

⁴ არისტაკეს ლასტივერტეცი, *ისტორია*, გვ. 51.

⁵ დ. კლდიაშვილი, კონსტანტინეპოლის ქართული მონასტრები, გვ. 511-512.

⁶ გიორგი მთაწმიდელი მოიხსენიებს მას თავის თარგმანში, როგორც წყაროს: დიდი პარასკევის განგების შემდეგ მთარგმნელი ურთავს კომენტარს „დიდსა სვინაქსარსა ესთენ ეწერა განგებაჲ“, იხ. გიორგი მთაწმიდელი, *დიდი სვინაქსარი*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და სამეცნიერო აპარატი დაურთეს მანანა დოლაქიძემ და დალი ჩიტუნაშვილმა, თბილისი, 2018, გვ. 361.

სათაურით: „თავნი და დასასრულნი საკითხავ-სახარებათანი მარტკლიისა შემდგომად შაბათითგან, რომელ არს ყოველთა წმიდათა კკრიაკისა“.

დიდი პარასკევის განგება

ლილი ხევსურიანის სახელთან არის დაკავშირებული სინას მთაზე, წმინდა ეკატერინეს სახელობის მონასტრის წიგნთსაცავში, ქართულ ხელნაწერთა ძველ კოლექციაში დაცული მარხვანის (O/Sin.geo 5) ტექსტში ექვთიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილი დიდი პარასკევის ღამისთევის განგების გამოვლენა, რომელიც მკვლევრის ვარაუდით, ეფთვიმეს „მცირე სვინაქსარშიც“ შედიოდა.¹

დიდი პარასკევის ღამისთევის ექვთიმე მთაწმიდლისეული თარგმანისა და ამავე განგების შემცველი უძველესი ბერძნული ხელნაწერების Sin.gr.734 და Sin.gr. 735 შედარების შედეგად მკვლევარი მივიდა დასკვნამდე, რომ ვნების პარასკევის ექვთიმესეული თარგმანი თანხვედრა ბერძნულ ტექსტს კომპოზიციით: სახარების საკითხავების სისტემით, საგალობელი ელემენტებით – 15 ანტიფონი და მათთან დაკავშირებული დასდებლები და ფსალმუნური მუხლები; ბერძნულ და ქართულ ტექსტებში მსგავსია წარდგომები, კათიზმები და ცისკრის საგალობლებიც.

ბერძნულ ხელნაწერებში წარმოდგენილ განგებასთან შედარებით ექვთიმეს თარგმანში სახარების საკითხავთა რაოდენობა თორმეტამდეა გაზრდილი; ანტიფონებთან დაკავშირებული ორ-ორი ტროპარიდან ექვთიმეს თარგმანსა და Sin.gr. 735-ში მხოლოდ ერთი არის შეტანილი და ექვთიმესეულ განგებაში მითითებული სხვადასხვა ლოცვები და კუერექსები არ გვხვდება ტიპიკონში.

ლ. ხევსურიანმა ყურადღება გაამახვილა ექვთიმეს თარგმანში დაცულ ხუთ იბაკოზე, რომლებიც მოთავსებულია მე-2 და მე-6 საკითხავების წინ და რომელთა ანალოგები არ იძებნება ბიზანტიური ღმრთისმსახურების ამსახველ ბერძნულ ხელნაწერებსა და გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილ „დიდ სვინაქსარში“. მკვლევარმა აჩვენა, რომ ეს მასალა ექვთიმე მთაწმიდელს აღებული აქვს „უძველესი იადგარის“ საგალობელი რეპერტუარიდან.²

სამწუხაროდ, მიუხედავად დიდი პარასკევის დეტალური კვლევისა, ექვთიმესეული ტექსტი მკვლევარს არ გამოუცია, ამიტომ წინამდებარე გამოცემას დანართის სახით ახლავს დიდი პარასკევის განგების ექვთიმე მთაწმიდლისეული თარგმანი O/Sin.geo 5 ხელნაწერიდან.³

ტექსტის გადმოწერამ რამდენიმე დაკვირვების საშუალება მოგვცა დიდი პარასკევის ღამისთევის სტრუქტურაზე. 15 ანტიფონის ან, როგორც ეს ექვთიმეს თარგმანშია მოცემული, გალობის სისტემაზე განყოფილ მსახურებას მოსდევს ცხრაოდიანი გალობა. ეს კანონი შეტანილია ასევე გიორგი მთაწმიდელის მარხვანშიც (Ivir.geo 38, 315v-332v; Par.geo5, 204v-206v). ექვთიმესა და გიორგის თარგმანების შედარებამ გვიჩვენა, რომ ეს უკანასკნელი კარგად იცნობდა ექვთიმეს თარგმანს და იყენებდა კიდევაც მას, მაგრამ ასწორებდა ბერძნული ტექსტის მიხედვით, ზოგჯერ კი ხელახლა თარგმნიდა.

მაგალითად, თუ შევადარებთ პირველ ოდას (უგალობდითსა) ორივე თარგმანში, ვნახავთ, რომ ტექსტები ერთმანეთის იდენტურია, განსხვავება მხოლოდ თანმიმდევრობაშია.

¹ ლ. ხევსურიანი, მარხვანის ქართული რედაქცია XI ს., *ნარკვევები*, გვ. 48-55.

² იქვე, გვ. 53.

³ იხ. დანართი.

O/Sin.geo-5, 291v	Ivir.geo-38, 317v
<p>უგალობდითსა, ბ გუერდი „უკლველად ჯი.“: ლამპრებითა ლამე შეგიპყრეს უფალი ნათლისა მომცემელი და ძელითა დაგსაჯეს, რომელმანცა განაცხოველენ პირველ ძელისა მიერ მომწყდარნი, სახიერო. მიმცემელმან შენმან ამბორისყოფითა, იესუ სახიერო, მიგცა შენ ჴელთა მტერთა, რომელმან ნებსით ივნე ჩუენთვოს და გამომიჰსნენ ჩუენ მძლავრებისაგან მტერისა.</p> <p>შენ, რომელი მოსლვად ხარ, განსჯად წარსდგი პილატესა და დაისაჯე სიკუდილდ, რამეთუ უვნებლობაა მომცე მორწმუნეთა, ვითარცა ღმერთ ხარ, მეუფეო.</p> <p>„შეინყნარე სა.“: „ცხოვრებისა ტევანი გარდაფენილი ჯუარსა ზედა გიხილა, რომელმან გშვა შენ, ქრისტე, ცრემლით იტყოდა: ძეო ჩემო, გემოე სიხარულისა დაანთვე ჩემ ზედა“.</p>	<p>უგალობდითსა, ბ გუერდი „უკლველად ჯი.“: შენ, რომელი მოსლვად ხარ, განსჯად წარსდგი პილატესა და დაისაჯე სიკუდილდ, რამეთუ უვნებლობაა მომცე მორწმუნეთა, ვითარცა ღმერთ ხარ, მეუფეო. მიმცემელმან შენმან ამბორისყოფითა, იესუ სახიერო, მიგცა შენ ჴელთა მტერთა, რომელმან ნებსით ივნე ჩუენთვოს და გამომიჰსნენ ჩუენ მძლავრებისაგან მტერისა.</p> <p>ლამპრებითა ლამე შეგიპყრეს უფალი ნათლისა მომცემელი და ძელითა დაგსაჯეს, რომელმანცა განაცხოველენ პირველ ძელისა მიერ მომწყდარნი, სახიერო. ცხოვრებისა ტევანი გარდაფენილი ჯუარსა ზედა გიხილა, რომელმან გშვა შენ, ქრისტე, ცრემლით იტყოდა: ძეო ჩემო, გემოე სიხარულისა დაანთვე ჩემ ზედა“.</p>

მაგრამ გვაქვს ისეთი შემთხვევა, როდესაც გიორგი განსხვავებულ თარგმანს წარმოგვიდგენს:

O/Sin.geo-5, 294v	Ivir.geo-38, 319r
<p>აკურთხევსა, საჭუმილი სამთა</p> <p>მწეცთა ბოროტთა აღგიტაცეს რაე იესუ, კრავო და მწყემსო, შორის კრავთა გონიერთა მონაფეთა, რომელთა გიხილეს და ივლტოდეს, ვითარცა სთქუ პირველად, და მართოა დაგტოვეს შენ. მსაჯულმან უშჯულოთამან მიგცა შენ უბრალო ბრალეულთა დაშჯად, რათა ჯუარს-გაცუან შენ, ქრისტე, რომელმან ყოველნივე დაშჯილნი განამრავლენ კაცთმოყუარებისა შენისა მონყალებითა. არაა შჯულისა, არცა სამართლითა, მაცხოვარ, არამედ ჴდომითა და შურითა ერმან უშჯულოთამან დაკლვად მიგიყვანეს შენ, რომელსა გიპყრან ყოველნი ნამისყოფითა.</p> <p>შობა დედობრივი უხრწნელად დაავინყდა ქალწულსა, რომელმან გშვა შენ, მაცხოვარ, ხილვითა შენითა ძელსა ზედა დამსჭაულულსა, შეურვებული გონებითა გცრემლოოდა შენ.</p>	<p>აკურთხევსა, საჭუმილი სამთა</p> <p>მწეცთა ბოროტთა აღგიტაცეს რაე იესუ, კრავო და მწყემსო, შორის კრავთა გონიერთა მონაფეთა, რომელთა გიხილეს და ივლტოდეს, ვითარცა სთქუ პირველად, და მართოა დაგტოვეს შენ. მსაჯულმან უშჯულოთამან მიგცა უბრალო ბრალეულთა დაშჯად, რათა ჯუარს-გაცუან, ხოლო მათ დაგსაჯეს, შენ, რომელმან ყოველნივე დაშჯილნი განამრავლენ, ქრისტე ღმერთო, კაცთმოყუარებისა შენისა მონყალებითა. არაა შჯულისა, არცა სამართლითა, მაცხოვარ, არამედ ჴდომითა და შურითა ერმან უშჯულოთამან დაკლვად მიგიყვანეს შენ, რომელსაცა ყოველნი ნამისყოფითა გიპყრან.</p> <p>შობა უხრწნელებით მომეც, მ ქრისტე ღმერთო, და ზეშთა ღმობისა დედობრივისა გშვე შენ, ხოლო ან მწარედ მელმის, რამეთუ გხედავ დაშჯილსა ჯუარსა ზედა, ღმრთისმშობელი მწარედ იტყოდა</p>

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება ამ ორ თარგმანს შორის ისაა, რომ თუკი ექვთიმე მთან-მინდელთან ერთ გალობასთან (ოდასთან) ხშირად მოტანილია პარალელურად „სხუანი“), გიორგი მთანმიდელთან ეს „სხუანი“ გასულია ცალკე სამსაგალობელის (ხუედრნი - ღამითგანსა, აკურთხევსა, ადიდებდითსა) ფორმით. ტექსტების შედარებამ გვიჩვენა, რომ ექვთიმესაც და გიორგისაც გამოყენებული აქვთ ერთი კომპლექტი ცხრაოდიანი გალობისა, ამ შემთხვევაშიც გიორგი იცნობდა ექვთიმეს თარგმანს, მაგრამ აზუსტებდა მას ბერძნული ტექსტის მიხედვით.

	O/Sin.geo-5	Ivir.geo-38/Par.5
1	უგალობდითსა	უგალობდითსა
2	მოიხილესა „რომელმან განავლო“: „ეტყოდა უფალი ათერთმეტთა მათ,	მოიხილესა „რომელმან განავლო“: „ეტყოდა უფალი ათერთმეტთა მათ (Par.5)

3	განძლიერდასა „არაჲ ვინ.“: „მწველისა მიერ ჳმობითა	განძლიერდასა „არაჲ ვინ.“: „მწველისა მიერ ჳმობითა
4	მესმასა „ქრისტე ღმერთი ჩემი“: „მტერისა ზაკუვითა	მესმასა „ქრისტე ღმერთი ჩემი“: „მტერისა ზაკუვითა
5	ღამითგანსა „ნათლითა“: „შორის ორთა ძვრსმოქმედთა შენ,	ღამითგანსა „ნათლითა“: „შორის ორთა ძვრსმოქმედთა შენ,
5a	სხუანი „ზიარებითა საიდუმლ.“	
5b	სხუანი ანდრ[ი]ა. „ჩუენებთ.“: „გარე მოგადგა, ქრისტე, ერი იგი უშჯულოჲ...“	
6	ღალადყავსა „ეკლისა გვრგვნი რაჲ დაიდგ შენ, მეუფეო,	ღალადყავსა „ეკლისა გვრგვნი რაჲ დაიდგ შენ, მეუფეო,
7	კურთხეულარსა „ყრმათა მათ ნ.“: „შენ, მშვლობისა მომცემელსა არაჲ გერნმუნნეს	კურთხეულარსა „ყრმათა მათ ნ.“: „შენ, მშვლობისა მომცემელსა, უფალო, არაჲ გერნმუნნეს
8	აკურთხევსა „საწუმილი სამთა“: „მწეცთა ბოროტთა აღგიტაცეს რაჲ იესუ	აკურთხევსა „საწუმილით“: „მწეცთა ბოროტთა აღგიტაცეს რაჲ იესუ...“
8a	სხუანი „უფროჲსად ამალღებულნი უკე.“: „ყრმათა საღმრთოთა პირველად არცხვნეს მძღავრებასა	
8b	სხუანი „ცეცხლი იგი“: „ბუნებითა ჩუენითა შეურვებულ იქმენ, უფალო, ვნებისა ჟამსა და აჩუენე სრულებით ჩუენი იგი არსებაჲ შენ თანა,	
9	ადიდებდითსა „ღმერთი შეუძლ.“: „ღმერთი უვნებელი მსგავს კაცთა გამოჩნდი	ადიდებდითსა „ღმერთი შეუძლ.“: „ღმერთი უვნებელი მსგავს კაცთა გამოსჩნდი
9a	სხუანი „ძალი უმაღლ.“: „კრებული უშჯულოთაჲ ღმრთისა მოძულე“	
9b	სხუანი „ეჰა ახალი და ღმრთივშუენიერი საკვრველებით, რამეთუ ქალწულისა დაკრძალული იგი ბჭე	
	აქებდითსა ბ გუერდი: „ნაცვალად კეთილთა“	აქებდითსა ბ გუერდი: „ნაცვალად კეთილთა“
	სხუანი „ანგელოსთა მწედრობაჲ ზარგანწდილ იქმნა	სხუანი „ანგელოსთა მწედრობაჲ ზარგანწდილ იქმნა
	სხუანი „ხისა მიერ“: „შჯულისა მომცემელი მონაფისა	სხუანი „მჯდომარე“: „ეჰა უფსკრული საღმრთოჲსა სულგრძელებისაჲ
		ხუედრნი
5a		ღამითგანსა „ზიარებითა საიდუმლ
8a		აკურთხევსა „ყრმათა საღმრთოთა პირველად არცხვნეს მძღავრებასა
9a		ადიდებდითსა „კრებული უშჯულოთაჲ ღმრთისმოძულე,
		ხუედრნი
5b		ღამითგანსა „გარე მოგადგა, ქრისტე, ერი იგი უშჯულოჲ
8b		აკურთხევსა „ბუნებითა ჩუენითა შეურვებულ იქმენ,
	არ იძებნება ექვთიმეს თარგმანში	ადიდებდითსა „წერილთა მათ. წამისყოფითა მპყრობელ.

მცირე სვინაქსარის და კონსტანტინეპოლური რედაქციის სვინაქსარების კალენდართა ურთიერთმიმართებისათვის

ექვთიმე მთანმიდლის მიერ თარგმნილი სვინაქსარის, როგორც ბიზანტიური ლიტურგიის ამსახველი ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ძეგლის, შესწავლა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ბიზანტიური ღმრთისმსახურების საქართველოში გავრცელებისა და განვითარების თვალსაზრისით, არამედ თავად კონსტანტინეპოლური ლიტურგიის ისტორიის თვალსაზრისითაც.¹

ძეგლის კონსტანტინეპოლური ხასიათი ჯერ კიდევ კორნელი კეკელიძემ განსაზღვრა. სწორედ მან შეადარა პირველად სვინაქსარის სათვეო და მარხვან-ზატიკის ნაწილები ბერძნული სვინაქსარებიდან ერთ-ერთ ყველაზე ძველ, პატმოსის სვინაქსარს² და კვლევების შედეგები მოგვცა სვინაქსარის რუსულ თარგმანთან ერთად. მისი აზრით, ექვთიმე მთანმიდელი სარგებლობდა პატმოსის მსგავსი, ოღონდ კიდევ უფრო მოკლე რედაქციის სვინაქსარით, რასაც, მკვლევრის შეხედულებით, უნდა ადასტურებდეს ერთ დღეზე ხსენებათა მეტი რაოდენობა პატმოსის ხელნაწერში.³

მართალია, ექვთიმეს მიერ თარგმნილმა სვინაქსარმა ჩვენამდე ნაკლები სახით მოაღწია (სათვეო ნაწილიდან შემორჩენილია შემდეგი დღეები: სექტემბერი: 2, 7, 8, 15, 16, 21, 22, 23, 24; ოქტომბერი: 1, 4, 7-დან 18-ის ჩათვლით, 26-დან 31-ის ჩათვლით; ნოემბერი: 1, 13, 14, 16, 17, 26, 27, 28; დეკემბერი: 5, 6, 28, 29, 30, 31; იანვარი: 1, 2, 6, 10-დან 23-ის ჩათვლით; თებერვალი: 9-დან 17-ის ჩათვლით; მარტი: 13-დან 25-ის ჩათვლით; აპრილი: 3-დან 30-ის ჩათვლით; მაისი: 1-დან 5-ის ჩათვლით, 9, 10, 12-დან 15-ის ჩათვლით, 22-დან 30-ის ჩათვლით; ივნისი: 4, 5, 6, 25-დან 29-ის ჩათვლით; ივლისი: 8, 12-დან 15-ს ჩათვლით, 17-დან 24-ის ჩათვლით; აგვისტო: 26-დან 29-ის ჩათვლით), შემორჩენილი მასალა იძლევა საშუალებას შევადაროთ ის კონსტანტინეპოლური ტრადიციის სვინაქსარებს, მათ შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენის, ექვთიმეს სავარაუდო დედნის რაობისა და მისი მთარგმნელობითი მეთოდის განსაზღვრის მიზნით.

მცირე სვინაქსარის კალენდარი შევადარეთ როგორც პატმოსის სვინაქსარს, ასევე გიორგი მთანმიდელის მიერ თარგმნილ „დიდ სვინაქსარს“, როგორც კონსტანტინეპოლური ტრადიციის ერთ-ერთ ყველაზე სრულ ვერსიას, რომელიც ათონის მთაზე იყო გავრცელებული. გარდა ამისა, შედარებისას გამოვიყენეთ კონსტანტინეპოლური რედაქციის სვინაქსარების კრიტიკული გამოცემაც.⁴

¹ საეკლესიო კალენდრის განვითარების ადრეული პერიოდის ისტორიისათვის იხ. d. Galadza, *Liturgy and Byzantinization in Jerusalem*, Oxford, 2018, p. 220-300.

² პატმოსის ხელნაწერი - პატმოსის ბიბლიოთეკის №266 ხელნაწერი, თარიღდება IX-X სს-ებით, ხელნაწერი აღწერა, შესწავლა და გამოსცა ა. დმიტრიევსკიმ: А. Дмитриевский, *Описание литургических рукописей*, გვ. 1-152; ხელნაწერის ჩვენებები შესულია კონსტანტინეპოლური რედაქციის სვინაქსარების კრიტიკულ გამოცემაშიც: H. Delehaye, *Propylaeum ad Acta sanctorum novembris: Synaxarium ecclesiae constantinopolitanae*. Brussels: Société des Bollandistes, 1902.

³ К. Кекелидзе, *Иерусалимский Канонар*, გვ. 299.

⁴ პატმოსის სვინაქსარის გამოცემებიდან ვეყრდნობით როგორც ა. დმიტრიევსკის გამოცემას – А. Дмитриевский, *Описание литургических рукописей*, გვ. 1-152, ასევე კონსტანტინეპოლური სვინაქსარების კრიტიკულ გამოცემა-

სვინაქსარების კალენდარული ნაწილების შედარებამ შემდეგი სურათი გვიჩვენა (იხ. თანდართული ცხრილები):

კალენდრის თვალსაზრისით, ექვთიმე მთაწმიდელის სვინაქსარი გარკვეულწილად თანხვედბა როგორც პატმოსისა და გიორგი მთაწმიდელის სვინაქსარებს, ასევე კონსტანტინეპოლური ტრადიციის სვინაქსარებს, რაც, როგორც მოსალოდნელიც იყო, ადასტურებს მის კონსტანტინეპოლურ წარმომავლობას.

ექვთიმე მთაწმიდელისა და გიორგი მთაწმიდელის სვინაქსარები, როგორც ათონური ტრადიციის ძეგლები, უპირისპირდებიან კონსტანტინეპოლური ტრადიციის სხვა ხელნაწერებს იმით, რომ მათში ნაკლებად გვხვდება საკუთრივ კონსტანტინეპოლთან დაკავშირებული ისეთი დღესასწაულები, როგორებიც არის კონსტანტინეპოლის ეკლესიათა ენკენიები (იხ. 17 აპრილი, 26 ივნისი და სხვ.).¹

ზოგჯერ ექვთიმესა და გიორგის სვინაქსარებში არსებული ხსენებების რაოდენობა და თანმიმდევრობა ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს და განსხვავდება პატმოსის სვინაქსარის, რიგ შემთხვევაში კი კონსტანტინეპოლური სვინაქსარების სხვა ნუსხათა ჩვენებათაგანაც (იხ. 27 ოქტომბერი, 15 იანვარი, 19 იანვარი, 4 აპრილი და სხვ.).

სვინაქსარში დადასტურდა შემთხვევა, როდესაც მიუხედავად მცირე და დიდ სვინაქსარებში ხსენებათა რაოდენობის განსხვავებისა (ერთ დღეზე გიორგის სვინაქსარში მეტი ხსენება არის დადებული) ექვთიმესთან და გიორგისთან არის ისეთი ხსენება, რომელიც ამ დღეზე არც ერთ სხვა სვინაქსარში არ გვხვდება. ასეთი შემთხვევა დასტურდება 29 მაისს, როდესაც პირველ ხსენებად მცირე და დიდ სვინაქსარებს ალექსანდრე ჰრომთა პაპის ხსენება გააქვთ და ამით ისინი უპირისპირდებიან კონსტანტინეპოლური სვინაქსარების ყველა სხვა ცნობილ ნუსხას.²

განსხვავებები ექვთიმესა და გიორგის სვინაქსარებში გვაქვს ერთ დღეზე წმინდანთა რაოდენობით და ამ შემთხვევაში, როგორც წესი, გიორგისთან წმინდანების გაცილებით მეტი რაოდენობა არის წარმოდგენილი (იხ. 2 სექტემბერი, 15 სექტემბერი, 16 ოქტომბერი, 24 მარტი და ა.შ.). რაც არც არის გასაკვირი, რადგან დიდი სვინაქსარი მცირესთან შედარებით კონსტანტინეპოლური რედაქციის სვინაქსარის უფრო გვიანდელ და შევსებულ რედაქციას წარმოადგენს. ასეთი განსხვავება შეიძლებოდა ექვთიმე მთაწმიდელის მთარგმნელობითი მეთოდითაც (კლება-მატება) აგვეხსნა, მაგრამ რიგ შემთხვევებში ექვთიმეს სვინაქსარის ჩვენებებს პარალელი ეძებნება კონსტანტინეპოლური რედაქციის სვინაქსარის შემცველ სხვადასხვა ნუსხაში (იხ. 15 თებერვალი, 5 აპრილი, 19 აპრილი, 20 აპრილი, 28 აპრილი, 1 მაისი, 14 მაისი, 4 ივნისი, 12 ივლისი, 13 ივლისი, 17 ივლისი, 18 ივლისი), რაც, ჩვენი აზრით, უნდა გამოორიცხავდეს ექვთიმესეულ კლება-მატებას და კონკრეტულ ბერძნულ დედანზე უნდა მიუთითებდეს.

ზოგჯერ მცირე და დიდი სვინაქსარები განსხვავდება ერთმანეთისაგან ერთი დღის განმავლობაში წმინდათა ხსენებების თანმიმდევრობით (იხ. 16 სექტემბერი, 10 ოქტომბერი), რაც ასევე განსხვავებულ ბერძნულ დედანს უნდა გულისხმობდეს.

ჩვენი დაკვირვებით, მცირე სვინაქსარში კლება მხოლოდ ერთი ხსენების ფარგლებში დასახელებულ წმინდანებს შეეხება, მაგალითად: 1 ნოემბერს მეოთხე ხსენებად მცირე სვინაქსარში შეტანილია კესარიონ მონამის ხსენება მაშინ, როდესაც დიდ სვინაქსარსა და პატმოსის სვინაქსარებში

საც, იხ. H. Delehay, *Synaxarium ecclesiae constantinopolitanae*; გიორგი მთაწმიდელის დიდი სვინაქსარისათვის – გიორგი მთაწმიდელი, დიდი სვინაქსარი.

¹ შესადარებელ ცხრილში მათ აღარ წარმოვადგენთ.

² იხ. H. Delehay, *Synaxarium ecclesiae constantinopolitanae*, გვ. 714-715. ალექსანდრე რომთა პაპის ხსენების დღედ კონსტანტინეპოლური სვინაქსარებში 16 მარტი გვხვდება. იხ. იქვე, გვ. 544.

კესარიონთან ერთად მოიხსენიებიან **დასი, საბა, საბინიანე, აღრიპა, ადრეანე** და **თომა** (იხ. ასევე 5 მაისი, 26 ივნისი).

სვინაქსარის შემორჩენილ ნაწილში დადასტურდა ერთადერთი შემთხვევა (იხ. 16 ნოემბერი), როდესაც მცირე სვინაქსარში დიდ სვინაქსართან შედარებით წმინდანთა მეტი რაოდენობა არის ერთ დღეზე და ამ შემთხვევაში მცირე სვინაქსარი პატმოსის სვინაქსარის გვერდით დგება.

პატმოსის ხელნაწერთან მცირე და დიდი სვინაქსარების კალენდარული ნაწილების შედარებამ გვიჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პატმოსის ხელნაწერი გაცილებით უფრო ძველია (ის IX-X საუკუნეებით თარიღდება¹), ვიდრე დიდი სვინაქსარი, ხშირად მასში უფრო მეტი ხსენება არის წარმოდგენილი ერთ დღეზე, ვიდრე „დიდ სვინაქსარში“ (იხ. 15 იანვარი, 19 იანვარი, 23 იანვარი, 13 მაისი, 8 ივლისი, 27 აგვისტო). ზოგჯერ კი ექვთიმესა და გიორგის სვინაქსარები გვიჩვენებენ პატმოსზე მეტ ხსენებას (იხ. 15 სექტემბერი, 17 ოქტომბერი, 27 ოქტომბერი, 28 დეკემბერი, 23 მარტი), ამდენად, ვფიქრობთ, რომ მცირე სვინაქსარის ნაკლებობის პირობებში მხოლოდ ერთ დღეზე ხსენებათა მეტ-ნაკლებობა ვერ გადაწყვეტს საკითხს, რომელი ტექსტი არის რედაქციულად ძველი, პატმოსი თუ მცირე სვინაქსარი.

შესაძლებელია თუ არა ვარაუდის დაშვება, რომ, როდესაც პატმოსის სვინაქსარს და დიდ სვინაქსარს ხსენებების მეტი რაოდენობა აქვთ მცირე სვინაქსართან შედარებით, ექვთიმე მთანმიდელმა უბრალოდ არ შეიტანა ეს ხსენებები თავის თარგმანში ან სვინაქსარის უფრო ძველი, პატმოსის სვინაქსართან შედარებით მოკლე რედაქციით ისარგებლა? სვინაქსარის შემცველი ზოგიერთი, შედარებით გვიანდელი ბერძნული ხელნაწერის ჩვენებათა თანხვედრა ექვთიმე მთანმიდელის ხელნაწერის მონაცემებთან მსგავსი ვარაუდის დაშვების საშუალებას არ გვაძლევს.

მაგალითად, 11 იანვარს მცირე სვინაქსარში მხოლოდ თეოდოსი დიდის ხსენება არის დაცული, მაშინ როდესაც დიდი სვინაქსარში ამ დღეს გვხვდება პეტრე მონამისა და იოანე მორწმუნე მეფის ხსენებები, პატმოსში კი პეტრე მონამე, მარკოზი და ალაპიტე. ხსენებათა შედარებამ კონსტანტინეპოლური რედაქციის სვინაქსარების ხელნაწერებთან გვიჩვენა, რომ მცირე სვინაქსარის მსგავსად მხოლოდ თეოდოსი დიდის ხსენება გვხვდება კონსტანტინეპოლური სვინაქსარის F, Fa, Ba ნუსხებში.² ასეთივე შემთხვევა გვაქვს 15 თებერვალს, მაგრამ ამ შემთხვევაში მცირე სვინაქსარის გვერდით კონსტანტინეპოლური რედაქციის C ნუსხა დადგა.³

ექვთიმეს სვინაქსარში დადასტურდა ორი შემთხვევა, როდესაც ტექსტში მითითებული არის ისეთი წმინდანის ხსენება, რომელიც კონსტანტინოპოლური ტრადიციის არცერთ სვინაქსარში ამ დღეებზე არ გვხვდება. ასეთია ფილოთეოს მონამისა (12 იანვარი) და აგათანგელე დამასკელი ეპისკოპოსის ხსენებები (9 თებერვალი),⁴ სამაგიეროდ, ორივე წმინდანის ხსენება მითითებულ დღეებზე იოანე ზოსიმეს კალენდარში დასტურდება. ასეთივე შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს ბასილი ჰამაელის ხსენება 16 ნოემბერს, რომელიც გადამწერისავე ხელით ხელნაწერის არშიაზე არის მითითებული.

როგორც ჩანს, ეს ხსენება არც უნდა ყოფილიყო სვინაქსარის ექვთიმესეული ვერსიის დედანში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის არშიაზე არ აღმოჩნდებოდა. ყოველივე ზემოთქმული გვიჩვენებს, რომ ექვთიმეს სვინაქსარს ჯერ კიდევ არ აქვს დაკარგული კავშირი იერუსალიმურ ლიტურგიასთან, რომლის გამოძახილიც სწორედ ჩვენ მიერ დასახელებული შემთხვევებია.

¹ А. Дмитриевский, *Описание литургических рукописей*, გვ. V.

² H. Delehayе, *Synaxarium ecclesiae constantinopolitanae*, გვ. 383-384.

³ იქვე, გვ. 466-467.

⁴ ფილოთეოს მონამის ხსენება კონსტანტინეპოლურ სვინაქსარებში 29 იანვარს არის დადებული სხვა სამოსატელ მონამეებთან ერთად, იხ. H. Delehayе, *Synaxarium ecclesiae constantinopolitanae*, გვ. 431.

13 აპრილიდან 23 აპრილის ჩათვლით და ზოგჯერ სხვა შემთხვევებშიც (იხ. 23 მაისი) ხსენებების შედარებამ გიორგი მთანმიდელის დიდი სვინაქსარისა და პატმოსის სვინაქსარის შესაბამის მასალასთან გვიჩვენა, რომ ამ მონაკვეთში ხშირია ხსენებათა ერთი ნაწილის ერთი დღით აცდენა, წმინდანის ხსენება ზოგჯერ მცირე სვინაქსარში ერთი დღით ადრე არის მოცემული (იხ. 13 აპრილი, 17 აპრილი და სხვ.), ზოგჯერ კი, პირიქით, ერთი დღით გვიან (18 აპრილი, 19 აპრილი და სხვ.). საინტერესოა, რომ ასეთი შემთხვევებიდან უმეტეს ნაწილში ექვთიმესეულ სვინაქსარს პარალელი არ ეძებნება კონსტანტინეპოლურ სვინაქსარებში. შეიძლება გვეფიქრა, რომ საქმე გადამწერის შეცდომასთან გვაქვს (როგორც წესი, თვეთა რიცხვები სვინაქსარებში მითითებულია არშიაზე შესაბამისი გრაფემით, ისევე, როგორც ეს მცირე სვინაქსარში გვხვდება და გადამწერს გადმოწერის პროცესში ადვილად შეიძლება არეოდა წმინდანთა ხსენების დღეები), მაგრამ ის ფაქტი, რომ ზოგჯერ ასეთ განსხვავებებს პარალელები ეძებნება ბერძნულ ხელნაწერებში და ისინი ხელნაწერთა ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ ჯგუფებს წარმოგვიდგენენ (იხ. ცხრილი), გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს არა გადამწერისეულ შეცდომასთან, არამედ კონკრეტული ბერძნული ხელნაწერის მონაცემებთან, რომელსაც, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია.

ექვთიმე მთანმიდელს თარგმნისას თავისებური ბერძნული ტექსტი ჰქონდა, ეს კარგად ჩანს რამდენიმე მაგალითიდანაც: 24 მაისს ხსენებაში ბერძნული კომსის გენეტივის ფორმა ქართულ თარგმანში საკუთარ სახელად არის გადმოტანილი, ასე აღმოჩნდა მცირე სვინაქსარში 24 მაისს ხსენება „მელეტი სტრატელატისაჲ და მისთანათაჲ: იოვანე და სტეფანე და **კომიტოჲსი** და სხუათა მათ“ (შდრ. *Ιωάννου και Στηφάνου κομήτων*). მსგავს შემთხვევას ვხვდებით 12 თებერვალს, როდესაც ექვთიმე მთანმიდელის სვინაქსარში მარინა მონამის მამად პლუტინეა დასახელებული ევგენის ნაცვლად, მაშინ, როდესაც პლუტინე კონსტანტინოპოლური რედაქციის სხვა სვინაქსარების მიხედვით იმავე დღეს მოხსენიებული სხვა მონამეა (*Τῆ ἀπὸ ἡμέρα ἄθλησις τῶν αἰῶν μαρτύρων Πλατίνου και Σατορνίνου*).

ცხადია, ექვთიმე მთანმიდელი ამ ტიპის შეცდომებს თარგმნისას არ დაუშვებდა, დიდი ალბათობით, ეს მექანიკური შეცდომები ბერძნული ხელნაწერის გადამწერს უნდა დაეშვა, რაც აისახა კიდევაც ექვთიმეს თარგმანში.

კალენდარი

მცირე სვინაქსარი	დიდი სვინაქსარი	პატმოსის სვინაქსარი
2 სექტემბერი	2 სექტემბერი	2 სექტემბერი
<ol style="list-style-type: none"> 1. მონამისა მამაასი 2. მამისა ჩუენისა იოვანე კონსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა 3. წსენებაჲ ელეაზარ და ფინეზ მღდელთაჲ 4. პავლე კონსტანტინეპოვლელისა ახლისაჲ 	<ol style="list-style-type: none"> 1. მონამისა მამაასი 2. იოანე კონსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა 3. <i>მონამეთა აითალა, ივლიანე, ფილიპე და თეოდოტისი</i> 4. ელიაზარ და ფინეზ მღვდლთაჲ 5. პავლე კონსტანტინეპოვლელისა ახლისაჲ 	<ol style="list-style-type: none"> 1. მამაჲ 2. იოანე კონსტანტინეპოლელი 3. ელიაზარ და ფინეზ მღვდლები 4. პავლე კონსტანტინეპოლელი
7 სექტემბერი	7 სექტემბერი	აკლია
<ol style="list-style-type: none"> 1. სოზონ მონამისაჲ 2. წმიდისა მონამისა ევსუქისი და ხარიტინესი 	<ol style="list-style-type: none"> 1. სოზონ მონამისაჲ 2. წმიდისა მონამისა ევსუქი, <i>სვეერიანესი</i> და ხარიტინესი 	
8 სექტემბერი	8 სექტემბერი	აკლია
ცხორებისმომცემელი შობაჲ წმიდისა ღმრთისმშობელისა	ცხორებისმომცემელი შობაჲ წმიდისა ღმრთისმშობელისა	
15 სექტემბერი	15 სექტემბერი	15 სექტემბერი
<ol style="list-style-type: none"> 1. მონამისა ნიკიტაჲსი 2. მონამისა აკაკისი 3. პოვნაჲ ნანლითა წმიდისა სტეფანესთაჲ 4. წმიდათა მამათაჲ, რომელნი შეკრბეს მეექუსესა კრებასა 	<ol style="list-style-type: none"> 1. მონამისა ნიკიტაჲსი 2. პოვნაჲ ნანლითა წმიდისა სტეფანესთაჲ 3. წმიდათა მამათაჲ, რომელნი შეკრბეს წმიდასა და სოფლიოსა მეექუსესა კრებასა 4. <i>აკაკი მელიტინელ ეპისკოპოსისაჲ</i> 5. აკაკი მონამისაჲ 6. <i>მონამეთა მაქსიმე, თეოდორე და ასკლიპიოსი</i> 	<ol style="list-style-type: none"> 1. ნიკიტა 2. სტეფანე პირველმონამის ნანლითა პოვნა 3. მექევსე კრების მამები
16 სექტემბერი	16 სექტემბერი	16 სექტემბერი
<ol style="list-style-type: none"> 1. მარტინე ჰრომთა პაპისაჲ 2. სევასტიანა მონამისაჲ 3. ყოვლად ქებულისა ევფიმიასი <p><i>ასეთი თანმიმდევრობა არ გვხვდება კონსტანტინეპოლურ რედაქციის სვინაქსარის სხვა ნუსხებში</i></p>	<ol style="list-style-type: none"> 1. მონამისა ყოვლადქებულისა ევფიმიასი 2. მარტინე ჰრომთა პაპი 3. სევასტიანე მონამე 4. <i>წმიდისა მელიტინისი</i> 	<ol style="list-style-type: none"> 1. მარტინე ჰრომთა პაპი 2. ევფიმია 3. მონამისა სევასტიანესი 4. <i>მელიტინი</i>

<p>21 სექტემბერი</p> <p>1. მონამისა თევდორესი 2. მოციქულისა და მდღელთმოძღურისა კოდრატოსი 3. ისაკ კვპრელ ეპისკოპოსისა</p>	<p>21 სექტემბერი</p> <p>1. მონამისა თევდორესი 2. მოციქულისა და მდღელთმოძღურისა კოდრატოსი 3. ისაკ კვპრელ ეპისკოპოსისა</p>	<p>21 სექტემბერი</p> <p>1. თეოდორე მონამე 2. კოდრატო მოციქული 3. ისაკ კვპრელი 4. მინა მონამის ტაძრის ენკენია</p>
<p>22 სექტემბერი</p> <p>1. მონამისა ფოკასი 2. წინანარმეტყუველისა იონაჲსი 3. იონა ხუცისა საბანმიდელისა მოძღურისა</p>	<p>22 სექტემბერი</p> <p>1. მონამისა ფოკასი 2. წინანარმეტყუველისა იონაჲსი 3. იონა ხუცისა საბანმიდელისა</p>	<p>22 სექტემბერი</p> <p>1. ფოკა მონამე 2. იონა წინანარმეტყუველი 3. იონა ხუცესი საბანმიდელი 4. პრისკო და ნიკოლა ვლაქერნას დიდ სვინაქსარში ხსენება 7 დეკემბერს არის დადებული.</p>
<p>23 სექტემბერი</p> <p>1. დადუმება ზაქარიასი და მუცლადლება იოანე ნათლისმცემელისა 2. მონამისა ირაიდი ეგვპტელისა 3. მონამეთა ქსანთიპე და პოლიქსენისი</p>	<p>23 სექტემბერი</p> <p>1. დადუმება ზაქარიასი და მუცლადლება იოანე ნათლისმცემელისა 2. ირაიდი ქალწულისა 3. მონამეთა ქსანთიპე და პოლიქსენისი</p>	<p>23 სექტემბერი</p> <p>1. ირაიდი ეგვპტელი 2. ქსანთიპე და პოლიქსენე მონამეები 3. მუცლადლება იოანე ნათლისმცემელისა</p>
<p>24 სექტემბერი</p> <p>პირველმონამისა თეკლასი კონსტანტინეპოლურ სვინაქსართა უმეტეს ნანილში მხოლოდ თეკლას ნამებაა</p>	<p>24 სექტემბერი</p> <p>1. პირველმონამისა თეკლასი 2. მონამისა პერსისი</p>	<p>24 სექტემბერი</p> <p>1. თეკლა პირველმონამე 2. პერსი მონამე</p>
<p>25 სექტემბერი</p> <p>1. პაფნოტი მონაზონისა ხელნაწერი ნაკლულია</p>	<p>25 სექტემბერი</p> <p>1. პაფნოტი მონაზონისა 2. მონამისა იაჲსი 3. მონამეთა საბიანე, პავლე და ტიტესი 4. თეოფილე ეფესელი ეპისკოპოსისა 5. მონამისა არიადნისი 6. დედისა ეფროსინესი</p>	<p>25 სექტემბერი</p> <p>1. ია მონამე 2. პაფნოტი მონაზონი 3. საბიანე, პავლე და ტიტე 4. ეფროსინე 5. თეოფილე ეფესელი ეპისკოპოსი</p>
<p>1 ოქტომბერი</p> <p>1. წმიდისა მოციქულისა ანანიასი, დამასკელ ეპისკოპოსისა 2. ჰრომანოზ მგალობელისა ხელნაწერი ნაკლულია</p>	<p>1 ოქტომბერი</p> <p>1. მოციქულისა ანანიასი, დამასკელ ეპისკოპოსისა 2. რომანოზ მგალობელისა 3. აბრაჰამ მოღვანისა 4. მიქაელ მამასახლისისა</p>	<p>1 ოქტომბერი</p> <p>1. ანანია მოციქული 2. რომანოზ მგალობელი 3. დომნა მონამე სპარსელი 4. აბრაჰამ მოღვანე 5. მიქაელ მამასახლისი</p>

<p>4 ოქტომბერი</p> <p>1. იოროთესი ათენელ მთავარეპისკოპოსისაჲ</p> <p>ხელნაწერი ნაკლულია</p>	<p>4 ოქტომბერი</p> <p>1. იეროთესი, ათინელ მთავარეპისკოპოსისაჲ</p> <p>2. მონამისა ადავკტოასი და ასულისა მისისა კალისტენესი</p> <p>3. მლდელმონამისა პეტრე კაპეტოლელისაჲ</p> <p>4. მონამეთა აკეფსიმა, ლეონი და ისიდორესი</p> <p>5. მონამეთა ნეოფიტე, გაიოზ და გაიანესი</p> <p>6. მლდელმონამისა თეოტეკნოსი და დიოგენისი</p> <p>7. დომენტისი</p>	<p>4 ოქტომბერი</p> <p>1. ადავკტო (Βδάρτου) და კალისტენე</p> <p>2. პეტრე კაპეტოლელი</p> <p>3. აკეფსიმა, ლეონი და ისიდორე</p> <p>4. ნეოფიტე, გაიოზ და გაიანე</p> <p>5. თეოტეკნო და დიოგენი</p>
<p>7 ოქტომბერი</p> <p>1. მონამეთა სერგისი და ბაქუე</p>	<p>7 ოქტომბერი</p> <p>1. მონამეთა სერგისი და ბაქოასი</p>	<p>7 ოქტომბერი</p> <p>1. სერგი და ბაქო</p> <p>2. მინისძვრისათვის</p>
<p>8 ოქტომბერი</p> <p>1. პელაგია მონამისა</p> <p>2. პელაგია ანტიოქელისაჲ</p> <p>3. ტასირაჲს ეგვპტეს</p> <p>4. არტემონ ხუცისაჲ</p> <p>5. მონამეთა ანა და ელისაბედისი</p>	<p>8 ოქტომბერი</p> <p>1. პელაგია მონამისაჲ</p> <p>2. სხსვაცა პელაგიაჲსი ანტიოქელი</p> <p>3. ტასია მეგვპტელისაჲ</p> <p>4. არტემონ ხუცისაჲ</p> <p>5. მონამეთა ანა და ელისაბედისი</p>	<p>8 ოქტომბერი</p> <p>1. პელაგია მონამე</p> <p>2. პელაგია ანტიოქელი</p> <p>3. ტასია ეგვიპტელი</p> <p>4. არტემონ ხუცი</p> <p>5. ანა და ელისაბედი</p>
<p>9 ოქტომბერი</p> <p>1. წმიდისა მოციქულისა იაკობ ალფესი</p> <p>2. მონამეთა იუვენტინოს და მაქსიმესი</p> <p>3. დოროთე ტვრელ ეპისკოპოსისაჲ</p> <p>4. აბრაჰამ მამათმთავრისაჲ და ლოთი, ძმისწულისა მისისაჲ</p> <p>5. იასონ დამასკელ ეპისკოპოსისაჲ</p>	<p>9 ოქტომბერი</p> <p>1. წმიდისა მოციქულისა იაკობ ალფესი</p> <p>2. მონამეთა იუვენტინესი და მაქსიმესი</p> <p>3. დოროთე ტვრელ ეპისკოპოსისაჲ</p> <p>4. აბრაჰამ მამათმთავრისაჲ და ლოთ, ძმისწულისა მისისაჲ</p> <p>5. იასონ დამასკელ ეპისკოპოსისაჲ</p> <p>6. პუპლია დედათიაკონისაჲ</p>	<p>9 ოქტომბერი</p> <p>1. იუვენტინოს და მაქსიმე</p> <p>2. პუპლია დედათიაკონი</p> <p>3. დოროთე ეპისკოპოსი</p> <p>4. აბრაჰამ მამათმთავარი და ლოტი</p> <p>5. იასონ დამასკელი</p> <p>6. წმინდა პეტრე</p>
<p>10 ოქტომბერი</p> <p>1. მონამეთაჲ ევლამპი და ევლამპიაჲსი</p> <p>2. ვასიანე მონაზონისა</p>	<p>10 ოქტომბერი</p> <p>1. მონამეთაჲ ევლამპი და ევლამპიაჲსი</p> <p>2. მონამისა აკეფსიმაჲსი</p> <p>3. ვასიანე მონაზონისაჲ</p>	<p>10 ოქტომბერი</p> <p>1. ევლამპი და ევლამპია</p> <p>2. ვასიანე მონაზონისა</p>
<p>11 ოქტომბერი</p> <p>1. წმიდისა ზინაიდოჲსი და ფილონიდა, დისა მისისაჲ</p> <p>ხელნაწერი ნაკლულია</p>	<p>11 ოქტომბერი</p> <p>1. წსენებაჲ წმიდათა მამათაჲ, რომელნი შეკრბეს ნიკიას</p> <p>2. კონსტანტინეპოვლელ მთავარეპისკოპოსთაჲ: ნეკტარისი, არსაკისი, ატიკოსი და სისინისი</p> <p>3. წმიდისა ზინაიდოჲსი და ფილონიდა, დისა მისისაჲ</p> <p>4. თეოფანე ნიკიელ მთავარეპისკოპოსია</p> <p>5. ფილიპე მოციქულისა</p>	<p>11 ოქტომბერი</p> <p>1. ზინაიდო და ფილონიდა</p> <p>2. სტეფანე საბანმიდელი</p> <p>3. ნიკეის კრება</p> <p>4. ნეკტარი, არსაკი, ატიკო და სისინი კონსტანტინეპოვლელეი</p>

<p>15 ოქტომბერი</p> <ol style="list-style-type: none"> ლუკიანე ხუცესმონამისა საბინოს ეპისკოპოსისა 	<p>15 ოქტომბერი</p> <ol style="list-style-type: none"> ლუკიანე ხუცესმონამისა საბინე ეპისკოპოსისა 	<p>15 ოქტომბერი</p> <ol style="list-style-type: none"> ლუკიანე ხუცესმონამე საბინოს ეპისკოპოსი
<p>16 ოქტომბერი</p> <ol style="list-style-type: none"> ლონგინოზ ასისთავისა საკრველთმოქმედისა მალაოასი ანტილონო მონამისა 	<p>16 ოქტომბერი</p> <ol style="list-style-type: none"> ლონგინოს ასისთავისა მონამეთა ლეონტისი, ტერენტისი, დომინესი და მათთანთა საკრველთმოქმედისა მალაოასი თეოფანესი ანტილონო მონამისა 	<p>16 ოქტომბერი</p> <ol style="list-style-type: none"> ლონგინოზ ასისთავი მალაო საკვირველთმოქმედი ანტილონო თეოფანე
<p>17 ოქტომბერი</p> <ol style="list-style-type: none"> კრებაე გაბრიელ ანგელოზთმთავრისა მონამეთა ლეონტი და დუმინესი და ტერენტი და დომინტისი მონამისა კალენიკესი მონამეთა ხრუსანთო და დარიპოასი ოსე წინანარმეტყუელისა 	<p>17 ოქტომბერი</p> <ol style="list-style-type: none"> კრებაე გაბრიელ ანგელოზთმთავრისა მონამეთა ხრუსანთო და დარიასი ოსე წინანარმეტყუელისა წმიდისა კალინიკესი 	<p>17 ოქტომბერი</p> <ol style="list-style-type: none"> ხრვისანთო და დარია ოსე წინანარმეტყუელი ლეონტი, ტერენტი, დომინე კალინიკე
<p>18 ოქტომბერი</p> <p>მოციქულისა და მახარებელისა ლუკასი</p>	<p>18 ოქტომბერი</p> <p>მოციქულისა და მახარებელისა ლუკასი</p>	<p>18 ოქტომბერი</p> <p>ლუკა მახარებელი</p>
<p>26 ოქტომბერი</p> <p>წმიდისა და დიდებულისა მონამისა დიმიტრისი</p> <p>ემთხევა კონსტანტინეპოლური რედაქციის სვინაქსარის 0 ნუსხას</p>	<p>26 ოქტომბერი</p> <ol style="list-style-type: none"> წმიდისა და დიდებულისა მონამისა დიმიტრისი მონამეთა ბასილისი, არტემიდორესი და ლეკვენისი დიდისა ძრვისა 	<p>26 ოქტომბერი</p> <ol style="list-style-type: none"> დიმიტრი მონამე ბასილი, არტემიდორე, ლეკვენი დიდისა ძრვისა
<p>27 ოქტომბერი</p> <ol style="list-style-type: none"> მონამისა კაპეტოლინესი და ეროტიდესი მწევლისა მისისა მონამისა არტიმიდორესი 	<p>27 ოქტომბერი</p> <ol style="list-style-type: none"> მონამისა კაპეტოლინესი და ეროტიდესი მწევლისა მისისა მონამისა არტიმიდორესი 	<p>27 ოქტომბერი</p> <ol style="list-style-type: none"> კაპეტოლინე მონამე და ეროტიდე
<p>28 ოქტომბერი</p> <ol style="list-style-type: none"> იოვანე ქოზიბელისა სტეფანე საბანმიდელისა მონამისა ჰრომანოზისი ფირმილიანე კესარია-კაბადუკელ მთავარეპისკოპოსისა და მელქიონ ფილოსოფოსისა ანტიოქელისა <p>არ ემთხევა არცერთ კონსტანტინეპოლურ სვინაქსარს</p>	<p>28 ოქტომბერი</p> <ol style="list-style-type: none"> დომინე თესალონიკელისა იოვანე ქოზიბელი სტეფანე საბანმიდელისა მონამისა ჰრომანოსისი მონამისა დიომიდისა ლევკოპოლის მთავარეპისკოპოსისა და მელქიონ ფილოსოფოსისა ანტიოქელისა მონამეთა ტერენტი და ნეონილასი და შვილთა მათთა: ნიტა, ზარვალ, თეოდულე, იერაკოს, ვილი, ფოტი და ევნიკისი 	<p>28 ოქტომბერი</p> <ol style="list-style-type: none"> ნესტორ თესალონიკელი იოვანე ქოზიბელი სტეფანე საბანმიდელი დიომიდი ლევკოპოლელი ჰრომანოზ მონამე ფირმილიანე კესარია-კაბადუკელი და მელქიონ ფილოსოფოსი ანტიოქელი ენკენია

<p>29 ოქტომბერი</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მონამისა საბა მწედრისაჲ 2. მოციქულისა კლეოპასი 3. მინა მონამისა 4. მამისა ჩუენისა აბრაჰამისი 	<p>29 ოქტომბერი</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მონამეთა ტროფიმო, დორიმენდონ, კოზმა, დამიანე და წმიდისა ვასასისი და მათთანთაჲ 2. საბა სტრატილატისაჲ 3. პავლე თებელისა 4. მონამეთა მინი და მინეოჲსი 5. მოციქულისა კლეოპასი 6. ანასტასია ჰრომისაჲ 7. აბრაჰამ მონაზონისაჲ 	<p>29 ოქტომბერი</p> <ol style="list-style-type: none"> 1. საბა მხედარი 2. სტეფანე, ბარნაბა ტროფიმო, დორიმენდონ, კოზმა, დამიანე და წმიდისა ვასასისი და მათთანთაჲ, საბა და აბრაჰამი 3. კლეოპა მოციქული 4. პავლე თებელი 5. მინი და მინეოი
<p>30 ოქტომბერი</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მონამეთა ზინობი და ზინობიასი 2. მარკიანესი მთავარეპისკოპოსისაჲ სერეკუსისა 3. მონამეთა კლავდიოს, ასტერი, ნეონ და თეონილასი 4. კვრიაკოზ კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისაჲ. 	<p>30 ოქტომბერი</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მონამისა ზინობისი და ზინობიასი 2. მონამეთა კლავდიოს, ასტერი, ნეონ და თეონილასი 3. კვრიაკოზ კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისაჲ. 4. მარკიანე მთავარეპისკოპოსისა სვრაკუსისაჲ 	<p>30 ოქტომბერი</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ზინობი და ზინობია 2. მარკიანე მთავარეპისკოპოსი 3. კლავდიოს, ასტერი, ნეონ და თეონილა 4. კვრიაკოზ კოსტანტინეპოლელი
<p>19 ივლისი</p> <p>1. დიოესი</p> <p>2. წმიდისა მაკრინაჲსი, დისა წმინდა ბასილისი</p> <p>3. გრიგოლ პანიდე ეპისკოპოსისა</p>	<p>19 ივლისი</p> <p>1. წმინდაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა დიოესი.</p> <p>2. წმიდისა მაკრინაჲსი, დისა წმინდა ბასილისი</p> <p>3. გრიგოლ პანიდე ეპისკოპოსისა</p>	<p>19 ივლისი</p> <p>1. დიოს</p> <p>2. მაკრინა, წმინდა ბასილის და</p> <p>3. გრიგოლ პანიდე ეპისკოპოსი</p>
<p>20 ივლისი</p> <p>ამალეებაჲ ელია წინანარმეტყუელისა</p>	<p>20 ივლისი</p> <p>1. ამალეებაჲ ელია წინანარმეტყუელისა</p> <p>2. <i>წინანარმეტყუელისა ეზეკიელისი</i></p> <p>3. <i>გიორგისი და თეოდორესი</i></p>	<p>20 ივლისი</p> <p>ელია წინანარმეტყუელის ამალეება</p>

<p>21 ივლისი</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სვმიონისი, რომელი იქმნა ქრისტესთვის სულელ და ნეტარისა იოვანესი 2. მოციქულისა მატათიასი 3. და იუსტო <p><i>არ ემთხვევა კონსტანტინეპოლური რედაქციის სვინაქსარის არცერთ ნუსხას</i></p>	<p>21 ივლისი</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სვმიონისი, რომელი იქმნა ქრისტესთვის სულელ და ნეტარისა იოვანესი 2. მოციქულისა მატათიასი 3. მონამეთა იოსტო, ტროფიმე, თეოფილე და მათთანათა 	<p>21 ივლისი</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სვიმეონ სალოსი და იოანე მისი მოყუასი 2. მატათია მოციქული და იუსტო 3. ტროფიმე, თეოფილე და მათთანანი <p><i>დიდ სვინაქსარში იოსტო ტროფიმესთან და თეოფილესთან ერთად არის მოხსენიებული, მაშინ როდესაც მცირესა და პატმოსის სვინაქსარებში მისი ხსენება მატათიასთან ერთადაა ისევე, როგორც კონსტანტინეპოლური რედაქციის სხვა სვინაქსარებში</i></p>
<p>22 ივლისი</p> <ol style="list-style-type: none"> 1. წმიდისა მარიამ მაგდანელისაჲ 2. მონამისა ფოკაჲსი 	<p>22 ივლისი</p> <ol style="list-style-type: none"> 1. წმიდისა მარიამ მაგდანელისაჲ 2. მონამისა ფოკაჲსი 	<p>22 ივლისი</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მარიამ მაგდანელი 2. ფოკა მონამე
<p>23 ივლისი</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მონამისა ვიტალისი 2. მონამისა ევგენისი 3. აპოლონ ჰრომთა პაპისა 	<p>23 ივლისი</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მონამისა ვიტალისი 2. მონამისა ევგენისი 3. აპოლინარისი 4. და წმიდისა აპოლონ ჰრომთა პაპისაჲ 5. მონამეთა ტროფიმე, თეოფილე და მათთანათა 	<p>23 ივლისი</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ვიტალი მონამე 2. აპოლინარი 3. ევგენი მონამე 4. აპოლონ რომთა პაპი
<p>24 ივლისი</p> <p>მონამისა ქრისტინაჲსი</p>	<p>24 ივლისი</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მონამეთა მენეო და კაპიტონისი 2. მონამისა ქრისტინაჲსი 	<p>24 ივლისი</p> <p>ქრისტინა მონამე</p>
<p>26 აგვისტო</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მონამეთა ადრიანე და ნატალიაჲსი 2. მაქსიმე მონამისაჲ <p><i>არ ემთხვევა კონსტანტინეპოლური რედაქციის სვინაქსარის არცერთ ნუსხას</i></p>	<p>26 აგვისტო</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მონამეთა ადრიანე და ნატალიაჲსი, ატიკოს, სისინი და მათთანათა 2. სხვსაცა მონამისა ანდრიანისი, რომელი ინამა ლიკინიოსის ზე 3. მაქსიმე მონამისაჲ 4. მიცვალეზა სვეონ ჰალაბელისაჲ დიდი სვინაქსარის ABDE ნუსხებში ბოლო ხსენება არ არის 	<p>26 აგვისტო</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ადრიანე და ნატალია და მათთანანი 2. ანდრიანი, რომელიც ინამა ლიკინიოსის დროს 3. მაქსიმე მონამე
<p>27 აგვისტო</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ლივერისი ჰრომთა პაპისაჲ 2. წმიდათა ოცდასამთა მონამეთაჲ, რომელნი ინამნეს ნიკომიდიას <p><i>არ ემთხვევა კონსტანტინეპოლური რედაქციის სვინაქსარის არცერთ ნუსხას</i></p>	<p>27 აგვისტო</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ლივერი ჰრომთა პაპისაჲ 2. წმიდათა ოცდაათცამეტო მონამეთაჲ, რომელნი ინამნეს ნიკომიდიას 3. პიმენი 	<p>27 აგვისტო</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ლივერისი რომთა პაპი 2. ნიკომიდიას წამებულნი, რიცხვით 3. წმინდა ანთუსია 4. წმინდა თეოკლიტე

<p style="text-align: center;">28 აგვისტო</p> <p>1. ანთოესი 2. კონდოვიტ ეპისკოპოსისაჲ 3. ფილონიდი მონამისაჲ</p> <p><i>არ ემთხვევა კონსტანტინეპოლური რედაქციის სვინაქსარის არცერთ ნუსხას</i></p>	<p style="text-align: center;">28 აგვისტო</p> <p>1. ანთოესი 2. [ოსია] კონდროვიტ ეპისკოპოსი და აღმსარებელი 3. წმიდათა ორმოცთა მონამეთაჲ 4. წმიდისა ლავრენტისი 5. დიომიდისი 6. გელასი მონამისაჲ 5. მოსე შავისაჲ</p>	<p style="text-align: center;">28 აგვისტო</p> <p>წმიდისა კონდოვიტ ეპისკოპოსი და აღმსარებელი</p>
<p style="text-align: center;">29 აგვისტო</p> <p>თავისკუეთაჲ წმიდისა იოვანე ნათლისმცემელისაჲ ხელნაწერი ნაკლულია</p>	<p style="text-align: center;">29 აგვისტო</p> <p>1. თავისკუეთაჲ წმიდისა იოვანე ნათლისმცემელისაჲ 2. ფილონიდე მონამისაჲ 3. ალექსანდრე კონსტანტინეპოლელი 4. იოვანე და პავლე ახალი</p>	<p style="text-align: center;">29 აგვისტო</p> <p>1. თავისკუეთა იოვანე ნათლისმცემელისა 2. ფილონიდე მონამე</p>

სვინაქსარული ცხოვრებები მცირე სვინაქსარში

მცირე სვინაქსარში, ისევე როგორც პატმოსის უძველეს სვინაქსარში, წმინდანთა ხსენებები უმეტესწილად სვინაქსარული ცხოვრების გარეშე არის მოტანილი და მათ ნაცვლად გვხვდება მხოლოდ მოკლე მითითება წმინდანის წარმომავლობისა და მისი მოღვაწეობის პერიოდის შესახებ, მაგალითად:

მცირე სვინაქსარი	პატმოსის სვინაქსარი	დიდი სვინაქსარი
მონამისა მამაჲსი, რომელი იყო ფებლალონით, ქალაქით ღანგრით, ინამა ავრილიანოს ზე მეფისა. [2r]	Ἰθλησις τοῦ ἁγίου μάρτυρος Μάμαντος ἐπὶ Ἀσρηλιανοῦ τοῦ βασιλέως τῆς Παφλαγόνου χώρας πόλεως Γάγγρα. ¹	მონამისა მამაჲსი, რომელი იყო ქუცყანით ფებლალონეთით, ქალაქით ღანგრით, ინამა ავრილიანე მეფისა ზე, რამეთუ შემდგომად სხუათა მრავალთა ტანჯვათა უკუანასკნელ ქვითა განიტვნა და ლახურითა განიგურიმა და მოღუანებისა გვრგვნი მიიღო. ²

ზოგჯერ ეს მითითებები იმდენად მოკლეა, რომ პატმოსის სვინაქსარში დაცული ხსენებისგანაც განსხვავდება და ასეთი მაგალითების მოტანა მრავლად არის შესაძლებელი:

მცირე სვინაქსარი	პატმოსის სვინაქსარი	დიდი სვინაქსარი
წმიდისა და ნეტარისა მარტინე ჰრომთა პაპისაჲ, რომელი იყო კოსტანტინეს ზე ნიკაფდიდისა. [7r]	Μνήμη τοῦ ἁγιωτάτου καὶ μακαριωτάτου Μαρτίνου, ἀρχιεπισκόπου τῆς τῶν Ῥωμαίων ἁγίας τοῦ Θεοῦ καθολικῆς ἐκκλησίας, ἐπὶ τῆς βασιλείας Κωνσταντίνου τοῦ Πρωγνάτου ἐγγόνου Ηρακλείου, ἅστις Κωνσταντῖνος ἐν Σικελίᾳ ἐν τῷ Δάφνης λουτρῷ μακαρία τελευτᾷ. ³	ამასვე დღესა წმიდისა და ნეტარისა მარტინე ჰრომთა პაპისაჲ , რომელი იყო კოსტანტინეს ზე ნიკაფდიდისა, ძისა ჰერაკლე მეფისა. ესე კოსტანტი მოკლა სიკილიას აბანოთა შინა დაფნისათა , რომელმან ნეტარი მარტინე მართლისა სარწმუნოებისათვის მძლავრ აღმოიყვანა ჰრომით... ⁴

¹ А. Дмитриевский, *Описание литургических рукописей*, стр. 2.

² გიორგი მთაწმიდელი, *დიდი სვინაქსარი*, გვ. 2.

³ А. Дмитриевский, *Описание литургических рукописей*, стр. 6.

⁴ გიორგი მთაწმიდელი, *დიდი სვინაქსარი*, გვ. 19.

მცირე სვინაქსარი	პატმოსის სვინაქსარი	დიდი სვინაქსარი
წმიდისა მონამისა ნიკიტაჲსი. ესე იყო დიდისა კოსტანტინეს ზე, იყო ბარბაროზი ნათესავად, მკვდრთაგან წიაღკერძო დანობისა მდინარისა. [6r]	Ἀθλησις τῶν ἁγίου μάρτυρος Νικήτα ἐπὶ τοῦ μεγάλου βασιλέως Κωνσταντίνου ὑπάρχων ἐκ τῆς βαρβάρων πέραν τοῦ Οἴστρου ποταμοῦ τῶν Δαυσιῶν, ἐκ τῶν οἰκούντων ἐκέϊσε Γοτθῶν ἐπὶ Ἀθαναρχίου. ¹	წმიდისა მონამისა ნიკიტაჲსი. ესე იყო დიდისა კოსტანტინეს ზე, ნათესავით ბარბაროზი, მკვდრთაგან წიაღკერძო დანობისა მდინარესა, რომელსა გუთ ეწოდების. იშვა უკუე და აღიზარდა მასვე ქუეყანასა ბარბაროზთასა, გარნა არა ეზიარებოდა სახესა ბარბაროზთასა...“ ²

ექვთიმეს,¹ გიორგი² მთაწმიდელისა და პატმოსის სვინაქსარებში დაცულ სვინაქსარულ „ცხოვრებათა“ ტექსტების ურთიერთშედარებამ გვიჩვენა, რომ, რიგ შემთხვევაში, მცირე და დიდ სვინაქსარებში ერთნაირი სვინაქსარული ცხოვრებები გვხვდება (იხ. 4 ოქტომბერი, 18 ოქტომბერი) და ამ შემთხვევაში ისინი უპირისპირდებიან როგორც პატმოსის სვინაქსარს, ასევე კონსტანტინოპოლური სვინაქსარების სხვა ნუსხებსაც.

მაგალითად, ლუკა მახარებლის ხსენების დღეს ექვთიმესა და გიორგის სვინაქსარები მახარებლის ცხოვრების თითქმის ერთნაირ ტექსტებს წარმოგვიდგენენ, მაშინ როდესაც პატმოსის სვინაქსარი მხოლოდ მოკლე მითითებით შემოიფარგლება, კონსტანტინეპოლურ სვინაქსარებში კი ლუკა მახარებლის ცხოვრების ორი, მოცულობით ერთმანეთისაგან განსხვავებული ვერსია არის დაცული, ერთი – რომელიც არცთუ ისე დიდია, მაგრამ „დიდი სვინაქსარისგან“ განსხვავებულ ტექსტს შეიცავს და მეორე კიდევ უფრო ვრცელი:

მცირე სვინაქსარი	პატმოსის სვინაქსარი	დიდი სვინაქსარი
წმიდისა და ყოვლადქებული-სა მოციქულისა და მახარებლისა ლუკაჲსი. ესე ანტიოქელი იყო ნათესავით და მკურნალი ჴელოვნებით, პავლეს თანა ვლო, ხოლო ტრაიანეს მეფისა ზე ჯუარს ეცუა. ამან დაწერა სახარებაჲ და საქმე მოციქულთაჲ და წარსცა თეოფილესა, რამეთუ მთავარი იყო იგი მის მიერ მონაწული. [13v]	Ἀθλησις τῶν ἁγίου ἀποστόλου καὶ εὐαγγελιστοῦ Λουκᾶ, Ἀντιοχεὺς τῷ γένει οὖτος ἦν, ιατροῦ τέχῃ ἐπὶ Τραϊανοῦ βασιλέως. ³	წმიდისა და ყოვლადქებული-სა მოციქულისა და მახარებლისა ლუკაჲსი. ესე ანტიოქელი იყო ნათესავით და მკურნალი ჴელოვნებით, დაემონაფა პავლე მოციქულსა და მის თანა ვლო, ხოლო ტრაიანეს მეფისა ზე ჯუარს ეცუა. ამან დაწერა სახარებაჲ და საქმე მოციქულთაჲ და წარსცა თეოფილესსა, რამეთუ მთავარი იყო იგი მის მიერ მონათლული. ⁴

¹ А. Дмитриевский, *Описание литургических рукописей*, стр. 6.

² გიორგი მთაწმიდელი, *დიდი სვინაქსარი*, გვ. 18.

³ А. Дмитриевский, *Описание литургических рукописей*, стр. 14.

⁴ გიორგი მთაწმიდელი, *დიდი სვინაქსარი*, გვ. 217.

Delehayе: Μνήμη τοῦ ἁγίου ἀποστόλου καὶ εὐαγγελιστοῦ Λουκᾶ. Οὗτος ὑπῆρχεν ἀπὸ Ἀντιοχείας τῆς μεγάλης, ἰατρὸς τὴν τέχνην καὶ ἄκρος τὴν ζωγραφικὴν ἐπιστήμην. Ἀκούων δὲ περὶ ἐν Ἱεροσολύμοις διατριβῆς τοῦ Χριστοῦ καὶ περὶ τῶν αὐτοῦ παραδόξων θαυμάτων, καταλιπὼν τὴν Ἀντιόχειον ἐνεδήμησε τοῖς Ἱεροσολύμοις, καὶ γνήσιος μαθητῆς τοῦ Χριστοῦ ἐχρημάτισε. Μετὰ δὲ τὴν τοῦ Κυρίου ἀνάληψιν συνέκδημος καταστάς τοῦ Παύλου, συνεγράψατο τὸ κατ’ αὐτὸν εὐαγγέλιον ἔπειτα καὶ τὰς πράξεις τῶν ἀποστόλων. Ἐν ταῖς Θήβαις δὲ ταῖς ἑπτασύλαις τῆς Βοιωτίας ἀρχιερεὺς ὑπὸ τοῦ ἁγίου προχειρασθεὶς Πνεύματος, καὶ περὶ τὰ ὀδοήκοντα ἐφθακῶς ἔτη, ἐν εἰρήνῃ τελειοῦται.¹

უმეტესნილად, მცირე და დიდ სვინაქსარებში დაცული სვინაქსარული ცხოვრებები ერთმანეთისაგან მოცულობით განსხვავდება და, როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში გიორგის სვინაქსარში წარმოდგენილი ტექსტი გაცილებით უფრო ვრცელია. შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ ექვთიმე მთაწმინდელმა შემოკლებით თარგმნა სვინაქსარული ცხოვრებები და მხოლოდ ძირითადი ინფორმაციის გადმოცემით შემოიფარგლა?

ტექსტების შედარებამ გვიჩვენა, რომ ხშირად, როდესაც მცირესა და დიდ სვინაქსარებს შორის მოცულობითი განსხვავება გვაქვს, ექვთიმეს სვინაქსარი პატმოსის სვინაქსარის გვერდით დგება (იხ. 21, 22, 24 სექტ., 1, 15 ოქტ., 26, 28 ნოემბ., 16 თებ., 4 აპრ., 4 ივნ., 15, 17, 22 ივლ.). შესადარებლად მოგვაქვს 1 ოქტომბერს ანანია დამასკელის ხსენება და ცხოვრება:

მცირე სვინაქსარი	პატმოსის სვინაქსარი
„წმიდისა მოციქულისა ანანიასი დამასკელ ეპისკოპოსისაჲ, რომელი დაადგინეს წმიდათა მოციქულთა, რომელმანცა აღუხილნა თუალნი მოციქულსა პავლეს და ნათელ-სცა. ხოლო ლუკიოზ მთავარმან შემდგომად მრავალთა ტანჯვათა ქვითა დაქოლა“. [10v]	Ἄθλιος τοῦ ἁγίου ἀποστόλου Ἀνανίου ἐπισκόπου γενομένου πόλεως Δαμασκοῦ, ὄντινα κατέστησαν οἱ κορυφαῖοι ἐπίσκοπον τῆς αὐτῆς πόλεως, ὅστις καὶ Πόλεως τὸν ἀπὸστολον διὰ ἀποκαλύψεως βαπτίζει καὶ προσαχθεὶς Λουκίῳ τῷ ἡγεμόνι μετὰ πολλὰς βασάνους λιθοβολῆται. ²
შდრ. დიდი სვინაქსარი: „წმიდისა მოციქულისა ანანიასი დამასკელ ეპისკოპოსისაჲ, რომელი დაადგინეს წმიდათა მოციქულთა მუნ ეპისკოპოსად, რომელსაცა პავლესთჳს გამოუცხადა უფალმან, ვითარმედ „ჭური რჩეული მიპოვნის იგი“ და უბრძანა სიბრმისაგან განკურნებაჲ და სარწმუნოებასა ზედა დამკვდრებაჲ მისი და ნათლისცემაჲ. ხოლო ვითარ იგი მრავალთა კურნებათა აღასრულებდა მოყვანებულ იქმნა ლუკიანე მთავრისა... და მერმე ბრძანებითა მთავრისაჲთა განიყვანეს მიერ ქალაქით და ქვითა დაქოლეს. და ესრეთ წამებისა გვრგვნი მოიღო“. ³	

გვაქვს შემთხვევები, როდესაც მცირე სვინაქსარის ცხოვრების დასაწყისი ემთხვევა პატმოსის სვინაქსარისას, შემდეგ კი დამატებით ინფორმაციას გვანვდის წმინდანის შესახებ, რომელიც, თითქოსდა, დიდი სვინაქსარის ტექსტის სუმირებაა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი ვერ ვივარაუდებთ ტექსტის შემოკლებას, რადგან ხშირია ტექსტებს შორის ფაქტობრივი განსხვავება.

მაგალითად, 25 აპრილს საბა სტრატილატის ხსენება:

¹ H. Delehayе, *Synaxarium ecclesiae constantinopolitanae*, p. 147.

² А. Дмитриевский, *Описание литургических рукописей*, стр. 10.

³ გიორგი მთაწმინდელი, *დიდი სვინაქსარი*, გვ. 33.

მცირე სვინაქსარი	დიდი სვინაქსარი	პატმოსის სვინაქსარი
<p>მასვე დღესა წმიდისა საბა სტრატელატისაჲ, რომელი იყო ავრელიანე მეფისა ზე, ჰრომს შინა ლჳ წლისაჲ, ინამა შუენიერი ხილ-ვითა ფრიად. [52r]</p>	<p>ამასვე დღესა საბა სტრატელატი-საჲ, ესე იყო ავრელიანე მეფისა ზე სტრატელატად ჰრომს შინა. ნათესავით გუთი. ხოლო აქუნ-და ქრისტეს მიმართ სარწმუნოე-ბაჲ და იღუნიდა წმიდათა საპყ-რობილეს მყოფთა და სინმიდითა ცხორებისაჲთა და მოღუანებითა სათნოებისაჲთა სულთა უკეთურთა განსდევნიდა კაცთაგან. შესმენილ იქმნა უკუე და მიყვანებულ ნეფისა და განიჴსნა პატივისა თვისისა სარ-ტყელი და ქრისტე ღმერთი კად-ნიერად აღიარა, რომელისათჴსცა დამოეკიდა... ხოლო იყო ნეტარი ესე სპეტაკ ჴორცითა და ფეროვან ხატითა. ხოლო წუერითა და თმითა ოქროსფერად ბრწყინვალე. ხოლო სახე თუალთა და გუგათა მკვრცხ-ლად და საზარელად ხედვისაჲ ჭემ-მარიტად მამაკაცად და უძლევე-ლად მჴედრად გამოაჩინებდეს.¹</p>	<p>Ἄθλιος τὸν ἁγίου μάρτυρος Σάββα στρατηλάτου ἐπὶ Ἀνρυλιανὸν βασιλεῶς ἐν τῇ Ῥωμαίων πόλει, στρατηλάτης τὴν τάξιν, τὸ γένος Γότθος λί ἐτῶν ὑπάρχων, λευκὸς ὑπερ χιὸνα τῷ προσώπῳ, ἡ δὲ θοῖξ τῆς κεφαλῆς αὐτοῦ ἦν ὡς τὸ χρυσίον, οἱ δὲ ὀφθαλμοὶ αὐτοῦ.²</p>

როგორც ვხედავთ, მცირე და დიდი სვინაქსარების დასაწყისები ერთმანეთს, მაგრამ შემდეგ „ცხოვრების“ ექვთიმესეული ვერსია მოკლეა და მოცემულია საბა სტრატელატის ასაკი, რომელიც არ იცის დიდმა სვინაქსარმა. თუ დავაკვირდებით „ცხოვრებათა“ ტექსტებს, შევნიშნავთ ტექსტების თანდათანობითი შევსების ტენდენციასაც, რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს პატმოსისა და დიდი სვინაქსარების შეჯერებისას, მათი დასასრულები თითქმის იდენტურია, მაშინ როდესაც დიდი სვინაქსარის ტექსტი უფრო ვრცელია.

ფაქტობრივი განსხვავებები გვხვდება იაკობ დაჭრილის ცხოვრებაშიც (27 ნომბერი). მცირე სვინაქსარისეული „ცხოვრება“ სპარსეთის მეფის სახელად **ურანანს** ასახელებს, სხვა კონსტანტინეპოლური სვინაქსარები კი (მათ შორის დიდი სვინაქსარიც) – **იეზდიგერდს**. განსხვავებულია წმინდა პახუმის „ცხოვრებაში“ (14 მაისი) პახუმის მონასტრის ბერთა რაოდენობაც, ექვთიმეს თარგმანში წმინდანთა რაოდენობა 7000, სხვა სვინაქსარებში კი 1400-ია, ასეთი მაგალითების მოტანა მრავლად არის შესაძლებელი.

გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც, ერთი შეხედვით, მცირე სვინაქსარში წარმოდგენილი ცხოვრება დიდის შემოკლებას წარმოადგენს, მაგრამ მიუხედავად ასეთი მსგავსებისა, ექვთიმეს ტექსტში დაცულია ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ გვხვდება დიდი სვინაქსარის ვერსიაში. მაგალითად, სერგის და ბაქოსის სვინაქსარული ცხოვრების (7 ოქტომბერი) ექვთიმესეულ ტექსტში აღნიშნულია, რომ ანტიოხოსი, რომელმაც აწამა წმინდანები, მათი ყოფილი მონა იყო, „ცხოვრების“ გიორგისეულმა ვერსიამ ამის შესახებ არაფერი იცის:

¹ გიორგი მთაწმიდელი, *დიდი სვინაქსარი*, გვ. 217.

² А. Дмитриевский, *Описание литургических рукописей*, стр. 65.

მცირე სვინაქსარი	დიდი სვინაქსარი
<p>წმიდათა მონამეთა სერგისი და ბაქუესი. ესენი მთავარნი იყვნეს მაქსიმიანე მეფისა ზე, რამეთუ წმიდა სერგი პრიმიკირი იყო მწედრობისა გენტილიონისა, ხოლო წმიდა ბაქოს სეკუნდიკირი მისვე მწედრობისაჲ, აწამნა ანტიოხოს მონაყოფილმან მათმან. [12r]</p>	<p>წმიდათა მონამეთა სერგისი და ბაქუესი. ესენი მთავარნი იყვნეს მაქსიმიანე მეფისა ზე, რამეთუ წმიდა სერგი პრიმიკირი იყო მწედრობისა გენტილიონისაჲ და წმიდა ბაქოს სეკუნდიკარი მისვე მწედრობისაჲ პირველითგან ქრისტეანობით აღზრდილნი და ღმრთივსულიერთა წიგნთა კეთილად სწავლულნი. შეისმინნეს წინაშე მეფისა და ებრძანა, რაჲთა მის თანა უზორონ კერპთა. ხოლო მათ არა თავს იდევს ესე, რომლისათჳს პირველად სარტყელნი მათნი მიეხუნეს და მანიაკნი ქედთაგან მათთა აღეხუნეს...და მერმე წარეგ ზავენს ანტიოხოს დუქსისა, რომელი მთავრობდა აღმოსავალით კერძო, მახლობელად სარკინოზთა... ხოლო მიიყვანეს რაჲ დუქსისა, პირველად ბაქოს ილუანა...¹</p>
<p>პატმოსის სვინაქსარი: Ἰθλιος τῶν ἁγίων μαρτύρων Σεργίου πρωτοκλήτου τῆς σχαλιῆς τῶν γεννηθῆσαν καὶ Βάκχου τῆς ἀπῆς σχαλιῆς.²</p>	

საინტერესოა, რომ ზოგჯერ მოცულობითი განსხვავება ექვთიმესა და გიორგის თარგმანებში დაცულ სვინაქსარებს შორის დიდი არ არის, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ ისინი სხვადასხვა წყაროებით სარგებლობენ. 2 სექტემბერს მცირესა და დიდ სვინაქსარებში **იოვანე კონსტანტინეპოვლელის** ხსენება და მისივე სვინაქსარული ცხოვრება არის მოტანილი, ტექსტები საგრძნობლად განსხვავდება როგორც ერთმანეთისაგან, ისე პატმოსში დაცული მოკლე მოსახსენებლისგანაც. ტექსტების შედარებამ გვიჩვენა, რომ დიდ სვინაქსარში დაცული ცხოვრება მცირე სხვაობით კონსტანტინეპოლური სვინაქსარების O ნუსხას მიჰყვება,³ მცირე სვინაქსარის ტექსტს კი, ცნობილ სვინაქსარებში პარალელი არ ექებნება.

მცირე სვინაქსარი	დიდი სვინაქსარი
<p>ვსენებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე კონსტანტინეპოვლელ მთავარებისკოპოსისა, რომელსა მმარხველ ეწოდა. ესე იყო იოსტინეს ზე და ტიბერიოს და მავრიკ მეფისა კონსტანტინოპოვლეს შობილი, უბიწოდ აღზრდილი გუნდთა თანა საეკლესიოთა წესთაჲთა, სინმიდისა მოქალაქობითა განბრწყინებული. საყდარსა პატრიაქობისასა აღვიდა. გლახაკთმონყალეებით, უცხოთშემწყნარებლობით ჰმწყსიდა სამწყსოთა ქრისტესთა, მრავალგზის ლოცვითა ბარბაროზნი აოტნა, სენნი სასიკუდიენნი უკუაქცინა, უძღურნი განკურნნა, ესრეთ კეთილითა სათნოეებითა სიბერესა შინა პატიოსანსა მშჯდობით სული თვისი შეჰვედრა უფალსა. [2r-v]</p>	<p>მასვე დღესა ვსენებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე კონსტანტინეპოვლელ მთავარებისკოპოსისა, რომელსა ეწოდა მმარხველ. ესე იყო იუსტინეს ზე და ტიბერიოს და მავრიკ მეფეთა, იშვა უკუე კონსტანტინეპოლის და აღიზარდა. ხოლო პირველ აღკუეცისა და წესსა დიაკონებისასა მოსღვისა იყო იგი მქანდაკებელ დრაჰკნისა, არამედ გარდამატებულთა სათნოებათა მისთათჳს და ბრწყინვალისა მოქალაქობისა შემდგომად ამისა იკურთხა მთავარებისკოპოსად შემდგომად ნეტარისა ეგტეკისსა და მრავალნი სასწაულნი აღასრულნა და ნეტარის სული თვისი მშჯდობით ჴელთა ღმრთისათა შეჰვედრა.⁴</p>

¹ გიორგი მთაწმიდელი, *დიდი სვინაქსარი*, გვ. 37.

² А. Дмитриевский, *Описание литургических рукописей*, стр. 12.

³ Н. Delehayе, *Synaxarium ecclesiae constantinopolitanae*, p. 7.

⁴ გიორგი მთაწმიდელი, *დიდი სვინაქსარი*, გვ. 5.

პატმოსის სვინაქსარი: καὶ τοῦ ὁσίου πατρὸς ἡμῶν ἀρχιεπίσκοπου γενομένου

Κωνσταντινουπόλεως Ἰωάννου τοῦ Νηστευτοῦ, ἐπὶ Ἰουστίνου καὶ Τιβερίου καὶ Μαυρικίου τῶν βασιλέων ἐν Κωνσταντινουπόλει γεννηθεὶς χαράκτης πρώην τὴν τέχνην ὑπάρχων.¹

ზოგჯერ,¹ მიუხედავად მცირე და დიდ სვინაქსართა ცხოვრებებს შორის არსებული მოცულობითი განსხვავებისა პატმოსის სვინაქსართან მიმართებით, ისინი ერთნაირ დამატებით ინფორმაციას გვანვდიან. 28 ნომბერს სტეფანე ახლის ხსენებაზე ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე ორივე სვინაქსარში იხსენიება, როგორც კოსტანტინე კავალინო, ძე ლეონ ისავრისა² მაშინ, როდესაც პატმოსისათვის ის მხოლოდ ლეონ ისავრის ძეა – Κωνσταντίνου υἱοῦ Λέοντος τοῦ Ἰσαύρου.

არაერთგვაროვანია მცირე სვინაქსარი პატმოსის სვინაქსართან მიმართებითაც: ზოგჯერ მცირე და დიდ სვინაქსარებში მოცემულია წმინდანის სვინაქსარული ცხოვრება მაშინ, როდესაც პატმოსის სვინაქსარი მხოლოდ წმინდანის ხსენებით შემოიფარგლება, ასეთი შემთხვევები გვხვდება 2 სექტემბერს, 4 ოქტომბერს, 7 ოქტომბერს და 7 აპრილს.

დასტურდება შემთხვევები, როდესაც მცირე სვინაქსარისა და პატმოსის სვინაქსარის „ცხოვრებები“ ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს (იხ. 15 სექტემბერი, 21 სექტემბერი, 22 სექტემბერი, 1 ოქტომბერი, 4 აპრილი, 15 ივლისი, 17 ივლისი და სხვ.), დიდი სვინაქსარი კი ვრცელ ტექსტს წარმოგვიდგენს, მაგალითად, შეგვიძლია მოვიტანოთ ფოკა მონამის სვინაქსარული ცხოვრება:

მცირე სვინაქსარი	დიდი სვინაქსარი
„წმიდისა მონამისა ფოკასი სინოზს რაჟამს დაჯდა ტრედ თავსა მისსა და დაადგა გვრგვნი და ჰრქუა: სასუმელი წდეულ არს შენდა და ჯერ-არს მისი შესუმაჲ, რომელსაცა ღირს იქმნა ტრაიანეს ზე, რამეთუ მახვლითა და ცეცხლითა აღესრულა“.	წმიდისა მონამისა ფოკასი. <i>ესე იყო ძე პამფილისი და მარიაშისი სინოზს შინა და მადლითა სულისა წმიდისაჲთა სასწაულთა დიდებულთა აღასრულებდა მეყსეულად სიყრმითგანვე დასამტკიცებლად მორწმუნეთა და მოსაქცევლად ურწმუნოთა. და დაყო საკვრველთმოქმედებასა შინა ვიდრე სიბერედმდე. ხოლო რაჟამს ფრიად მოხუცებულ იქმნა, წინაჲსწარ ეუწყა მონვენადი წამებითა სრულყოფაჲ, რამეთუ დაჯდა ტრედი თავსა მისსა და დაადგა გვრგვნი და კაცებრივითა წმითა ჰრქუა: სასუმელი წდეულ არს შენდა და ჯერ-არს მისი შესუმაჲ, რომელსაცა ღირს იქმნა ტრაიანეს ზე, რამეთუ მახვლითა წარეკუეთა თავი და ცეცხლსა მიეცა.³</i>
პატმოსის სვინაქსარი: ἸΑθλησις τοῦ ἁγίου μάρτυρος Φωκᾶ ἐν Σινώπῃ τῆς πόλεως. Ὅτε ἡ περιστέρη ἐκαθέσθη ἐπὶ τῆς κεφαλῆς αὐτοῦ, στέφανον ἐπιθεῖσα ἐπ’ αὐτὴν καὶ λέγουσα αὐτῷ ποτήριόν σοι κεκέρασται καὶ δεῖ σε αὐτὸ ἐκπεῖν, οὗ καὶ κατεξῆσθη, τυχεῖν ἐπὶ Τραϊάνου βασιλέως ζῆρει καὶ πυρὶ τελειωθείς. ⁴	

გვიქრობთ, რომ ისევე, როგორც კალენდრის შემთხვევაში, სვინაქსარული ცხოვრებებიც ექვთიმე მთანმიდელს თარგმნილი აქვს კონკრეტული ბერძნული სვინაქსარიდან, რომელსაც, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია და რომელიც პატმოსის სვინაქსართან მიმართებით უფრო ვრცელი იყო, როგორც წმინდანთა ხსენებებით, ასევე ცხოვრებებით, გიორგი მთანმიდელის დიდი სვინაქსართან შედარებით კი – მოკლე.

¹ А. Дмитриевский, *Описание литургических рукописей*, стр. 2.

² ამ შემთხვევაში მცირე და დიდი სვინაქსარების ხსენებებს მხარს უჭერს კონსტანტინოპოლურ სვინაქსართა ნაწილი, იხ.: Н. Delehaie, *Synaxarium ecclesiae constantinopolitanae*, p. 262.

³ А. Дмитриевский, *Описание литургических рукописей*, стр. 8.

⁴ გიორგი მთანმიდელი, *დიდი სვინაქსარი*, გვ. 24.

სახარებისა და საკითხავები ექვთიმე მთაწმიდელის მცირე სვინაქსარში

წმინდა წერილის საკითხავები, იერუსალიმური პრაქტიკის ამსახველი ლექციონარისაგან განსხვავებით, სვინაქსარებში მხოლოდ დასაწყისითა და დასასრულით არის წარმოდგენილი.¹ ამ მხრივ ექვთიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილი სვინაქსარი განცალკევებით დგას: აქ ახალი აღთქმის საკითხავთა უდიდესი ნაწილი სრული სახით გვხვდება (მხოლოდ დასაწყისებით მოტანილია ის საკითხავები, რომლებიც გაშლილი სახით სხვა დღეზე დასტურდებოდა, დღეს კი ხელნაწერის ნაკლებობის გამო არ იძებნება). საკითხავების სრული სახით წარმოდგენის ერთ-ერთი მიზეზი ქართულ სინამდვილეში კონსტანტინოპოლური პრაქტიკის ამსახველი, წმინდა წერილის საკითხავების ახალი, ლექციონარისაგან განსხვავებული, ბიზანტიური სისტემის დამკვიდრება იყო.²

რა განსხვავებაა სვინაქსარის ექვთიმესა და გიორგისეულ თარგმანებში სახარებების საკითხავებთან დაკავშირებით? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მცირე სვინაქსარში შემორჩენილი ოთხთავისეული საკითხავები შევადარეთ დიდი სვინაქსარის საკითხავებს. ჩვეულებრივ, სახარებისეული საკითხავის მითითებისას გვაქვს მახარებლის სახელი, ზოგჯერ საკითხავის რიგითი ნომერიც და შემდეგ უკვე ტექსტი. მაგრამ მცირე სვინაქსარის ნაკლებობის გამო საკითხავებიც, უმეტესწილად, თავნაკული ან ბოლონაკულია. გამოსაცემ ტექსტში მითითებულია საკითხავის ის მუხლები, რომლებიც ხელნაწერში რეალურად არის შემორჩენილი, სავარაუდო დასაწყის-დასასრულები კი კვადრატულ ფრჩხილებში აღვადგინეთ გიორგი მთაწმიდლისეული დიდი სვინაქსარის მიხედვით, რადგან მათ შორის განსხვავების არსებობის ალბათობას ვუშვებდით.

ქვემოთ ცხრილის სახით წარმოვადგინეთ ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელის სვინაქსარების სახარებისეულ საკითხავებს.

	მცირე სვინაქსარი	დიდი სვინაქსარი
1	2 სექტემბერი სახარებაჲ მათესი, ლბ: მათე 5:14-19	2 სექტემბერი სახარებაჲ მათესი, ლბ: მათე 5:14-19
2	14 სექტემბერი იოანე 19: [30] 32-35	14 სექტემბერი იოანე 19: 30-35
3	15 სექტემბერი სახარებაჲ მათესი, ლბ: მათე 5:14-19	15 სექტემბერი სახარებაჲ მათესი, ლბ: მათე 5:14-19

¹ საკითხავების მხოლოდ დასაწყისებითა და დასასრულებით წარმოდგენა სვინაქსარისათვის, როგორც ღმრთისმსახურების ჩატარების ერთგვარი გზამკვლევისათვის, ჩვეულებრივი ამბავია, წმინდა წერილის წასაკითხად მსახურებისას გამოიყენებოდა შესაბამისი წიგნები (ოთხთავი, პავლეს ეპისტოლეები და ასე შემდეგ), განსხვავებით ლექციონარისაგან, რომელიც ადრეული ღმრთისმსახურებისა და ეკლესიის, როგორც ინსტიტუციის ჩამოყალიბების პირობებში საკუთარ თავში აერთიანებდა ყველა წიგნს, იმისათვის, რომ ნებისმიერ ეკლესიასა თუ მონასტერს, სადაც ინახებოდა ლექციონარი, ყველა სხვა წიგნის გარეშე მოეხერხებინა მსახურების ჩატარება.

² ლ. ხევსურიათი, მცირე სვინაქსარი, გვ. 34-35.

4	16 სექტემბერი სახარება ლუკასი, ოდ: ლუკა 7: 36-38 [50]	16 სექტემბერი სახარება ლუკასი: ლუკა 7: 36-50
5	20 სექტემბერი სახარება ლუკასი თავი, სნ: ლუკა 21:12-19	20 სექტემბერი სახარება ლუკასი თავი, სნ: ლუკა 20:46-21:19 <i>ემთხვევა ევერგეტისა და პატმოსის სვინაქსარებს</i>
6	30 სექტემბერი სახარება მათესი მათე 24:42-47	30 სექტემბერი სახარება მათესი მათე 24:42-47
7	3 ოქტომბერი სახარება მათესი: მათე 13: 45-48; 51-54 <i>საკითხავში გამოტოვებულია ორი მუხლი</i>	3 ოქტომბერი სახარება მათესი, თავი ლწ: მათე 13: 45-54
8	17 ოქტომბერი სახარება ლუკასი, როდ: ლუკა 13: 31-35	17 ოქტომბერი არ ახლავს მსახურება
9	25 ოქტომბერი ლუკა 12: [2]6-7	25 ოქტომბერი ლუკა 12: 2-12 <i>პატმოსის სვინაქსარში საკითხავის დასაწყისი იგივეა, მაგრამ არ არის მოტანილი დასასრული, ამიტომ არ ვიცით, რომელს ემთხვევოდა - ექვთიმეს ვერსიას თუ გიორგისას, ევერგეტის სვინაქსარში კი სახარების საკითხავზე მითითება არ გვაქვს.</i>
10/11	26 ოქტომბერი სახარება იოვანესი იოვანე 15:17-16:2 მათე 8: 24-27 <i>მათეს სახარების ეს საკითხავი დიდ სვინაქსარში საერთოდ არ დასტურდება.</i>	26 ოქტომბერი სახარება იოვანესი, თავი რლწ: იოვანე 15:17-16:2
12	13 ნოემბერი სახარება იოვანესი იოვანე 10:9-16	13 ნოემბერი სახარება იოვანესი, თავი პთ იოვანე 10:9-16
13	14 ნოემბერი სახარება იოვანესი, იწ: იოანე 1: 43-[51] <i>ერთვის მითითება, რომ სახარების ეს მუხლები იკითხება ასევე ზატიკის პირველ ოთხშაბათს.</i>	14 ნოემბერი სახარება იოვანესი, იწ: იოანე 1: 43-51 <i>ერთვის მითითება, რომ სახარების ეს მუხლები იკითხება მარხვის პირველ კვირას და მარხვანის ნაწილშიც დასტურდება.</i>
14	25 ნოემბერი სახარება იოვანესი რლწ იოვანე 15:17-16:2	25 ნოემბერი სახარება იოვანესი რლწ იოვანე 15:17-16:2
15	5 დეკემბერი მათე 11:27-28	5 დეკემბერი ჰპოვო იანვარსა კ, მათე 11:27-28

16	6 დეკემბერი სახარება ლუკასი, მე: ლუკა 6:17-21 [23]	6 დეკემბერი სახარება ლუკასი, მე ლუკა 6:17-23
17/18	19/20 დეკემბერი სახარება მარკოზის თავისაჲ მარკოზი 9: 33-43 <i>შაბათსა წინა ქრისტეშობისასა</i> სახარება ლუკასი, რაღ ლუკა 13:29 <i>ჰპოო შაბათსა იბ-სა</i>	20 დეკემბერი სახარება მარკოზის თავისაჲ, ჟღ: მარკოზი 9: 33-43 <i>ლუკას სახარების საკითხავი ამ დღეს არ დასტურდება. ეს საკითხავი არის მხოლოდ ტიპიკონურ მითითებებში შაბათსა ეწ</i> ლუკა 13:29.
19	27 დეკემბერი სახარება მათესი, სით: მათე 21:33-42 <i>ჰპოო კვრიაკესა მე-იგ-სა მარტკლიითგან</i>	27 დეკემბერი სახარება მათესი, სით: მათე 21:33-42 <i>ჰპოო კვრიაკესა იგ-სა</i>
20	31 დეკემბერი სახარება იოვანესი იოვანე, 10:9-16	31 დეკემბერი <i>მითითებაა, რომ შესრულდეს დღესასწაულის განგება</i>
21	1 იანვარი სახარება ლუკასი, გ: ლუკა 2: 20-51	1 იანვარი სახარება ლუკასი, გ: ლუკა 2: 20-21
22	6 იანვარი სახარება მარკოზისი, ე მარკ. 1:9-11	6 იანვარი მარკ. 1:9-11 <i>ამ დღეს მითითება სახარების საკითხავზე დიდ სვინაქსარში ორჯერ გვხვდება. ორივე საკითხავი ერთნაირად იწყება, პირველად მითითებულია მარკოზის სახარება 1:9-11, მეორედ კი მარკოზის ნაცვლად წერია მათეს სახარების შესაბამისი მუხლები (3:13).</i>
23	10 იანვარი სახარება მათეს [თავისაჲ:]...მისდევდა იესუს“ (მათე 4:25-[5:12]) <i>აღდგენილია დიდი სვინაქსარის მიხედვით</i>	10 იანვარი მათე 4:25-5:12
24	14 იანვარი სახარება მათესი მათე 10:37-[11:1] <i>ჰპოო მე-ზ შაბათსა</i>	14 იანვარი სახარება მათესი კდ მათე 5:1-12 <i>საკითხავი არ ემთხვევა, მაგრამ გიორგის ტექსტში გვაქვს მითითება, რომ 14 იანვრის საკითხავი იკითხება მე-17 შაბათს. მე-17 შაბათს კი დიდ სვინაქსარში იკითხება მათეს სახარების სწორედ ის თავი და მუხლები, რომელიც 14 იანვარს არის დადებული ექვთიმეს სვინაქსარში, ანუ მათე 10:37-11:1. ვფიქრობთ, დიდი სვინაქსარის მითითებებში არსებული შეუსაბამობა ბერძნული ტექსტის თანდათანობით ცვლილებაზე უნდა მიუთითებდეს.</i>
25	16 იანვარი სახარება იოვანესი: იოანე 21:1-19 <i>ჰპოო მარტკლიისა შაბათსა</i>	16 იანვარი სახარება იოვანესი: იოანე 21:1-19 <i>ჰპოო ადგომისა მეთაერთმეტედ</i>

26	20 იანვარი სახარება მათესი, რია: მათე 11:27-[30]) <i>ჰპოვო დეკემბერსა ი.</i>	20 იანვარი სახარება მათესი, რია: მათე 11:27-30
27	22 იანვარი სახარება მათესი, თავი ყვ: მათე 10:32-42	22 იანვარი სახარება მათესი, თავი ყვ: მათე 10:32-42
28	25 მარტი სახარება ლუკასი ლუკა 1:24-[38]	25 მარტი სახარება ლუკასი ლუკა 1:24-38
29	ე კურიაკე მარხვათა მარკოზი 10: [32]-45	ე კურიაკე მარხვათა მარკოზი 10: 32-45
30	მე-ვ შაბათსა ლაზარეს აღდგომაჲ. სახარება იოვანესი, ყდ: იოვანე 11: 1-[45]	მე-ვ შაბათსა ლაზარეს აღდგომაჲ. სახარება იოვანესი, ყდ: იოვანე 11: 1-45
31/32/33	ვნების პარასკევის ღამისთევა იოანე 18: (1) 25-28 მათე 26: 57-74 იოანე 18: 28-[19:16])	ვნების პარასკევის ღამისთევა იოანე 18: 1-28 მათე 26: 57-75 იოანე 18: 28-19:16
34	დიდი პარასკევის ჟამები მათე 27: [?]8-22[?]	დიდი პარასკევის ჟამები მათე 27: 3-32
35	დიდი შაბათი მათე 28:1-[20]	დიდი შაბათი მათე 28:1-20
37	აღვსების სამშაბათის სამხარი სახარება ლუკასი, თავი ტლთ: ლუკა 24:12-23 [35]	აღვსების სამშაბათის სამხარი სახარება ლუკასი, თავი ტლთ: ლუკა 24:12-35
38	გ შაბათი იოანე 6: [?]24-27	გ შაბათი <i>ახლავს მითითება, რომ ამ დღეს სრულდება ახალკურიაკის განგება, ახალკურიაკეზე კი იოანეს სახარების სხვა საკითხავია დადებული.</i>
39	დ კურიაკესა სახარება იოვანესი, ლწ: იოანე 5:1-14 [15]	დ კურიაკესა სახარება იოვანესი, ლწ: იოანე 5:1-15
40	დ ოთხშაბათი; შუაზატიკი სახარება იოვანესი, თავი ოვ: იოანე 7:14-16 [30]	დ ოთხშაბათი; შუაზატიკი სახარება იოვანესი, თავი ოვ: იოანე 7:14-30
41	დ შაბათი სახარება იოვანესი, ლგ იოვანე 4: 5-11[42]	დ შაბათი სახარება იოვანესი, ლგ იოვანე 4: 5-42
42	ე შაბათი სახარება იოვანესი, პთ: იოვანე 9: 1-11[38]	ე შაბათი სახარება იოვანესი, პთ: იოვანე 9: 1-38

43	ვ ოთხშაბათი სახარება იოვანესი, თავი რწ: იოანე 12:36-47	ვ ოთხშაბათი სახარება იოვანესი, თავი რთ: იოანე 12:36-47
44	მე [ვ] ხუთშაბათსა ამაღლება მარკოზი 16:9-[20]	მე [ვ] ხუთშაბათსა ამაღლება მარკოზი 16:9-20
45	6 აპრილი სახარება იოანესი, პთ: იოვანე 10:9-16	6 აპრილი სახარება იოანესი, პთ: იოვანე 10:9-16
46	11 აპრილი სახარება იოვანესი, რდ: იოვანე 12:24-36 <i>მითითებაა, რომ ეს საკითხავი იკითხება დიდ ოთხშაბათს ცისკარზე.</i>	11 აპრილი სახარება იოვანესი, რდ: იოვანე 12:24-36 <i>დიდ სვინაქსარში დიდ ოთხშაბათს იკითხება ლუკას სახარება, თუმცა რომელიმე კონკრეტული თავი მითითებული არ არის. საძიებლის მიხედვით იკითხება მარკოზის სახარება 14:1-11.</i>
47	23 აპრილი სახარება იოვანესი, რლწ: (იოვანე 15: 17-16:2) <i>ჰპოო ზატიკთა მე-გ შაბათსა</i>	23 აპრილი სახარება იოვანესი, რლწ: იოვანე 15: 17-16:2 <i>ჰპოო მესამესა შაბათსა</i>
48	25 აპრილი სახარება მარკოზისი, ნგ: მარკოზი 6:7-13	25 აპრილი სახარება მარკოზისი, ნგ: მარკოზი 6:7-13
49	30 აპრილი სახარება მარკოზისი, თავი რიგ: მარკოზი 10:35-45	30 აპრილი სახარება მარკოზისი, თავი რიგ: მარკოზი 10:35-45
50	8 მაისი სახარება იოვანესი, კბ: იოანე 19:25-27; 21:24-25	8 მაისი სახარება იოვანესი, კბ: იოანე 19:25-27
51	23 მაისი სახარება ლუკასი, იწ: ლუკა 4:16-22	23 მაისი მსახურება არ ახლავს <i>მცირე სვინაქსარში გვაქვს მითითება, რომ 23 მაისის საკითხავი უნდა ვიხილოთ 1 სექტემბერს. 1 სექტემბერს დიდ სვინაქსარში კი ლუკას სახარების სწორედ ის საკითხავია, რომელიც მცირე სვინაქსარში ამ დღეს იკითხება.</i>
52	27 ივნისი სახარება მათესი კე: მათე 4:25-[5:12] <i>ერთვის მითითება, რომ სახარების ეს მუხლები იკითხება იანვრის 10-შიც.</i>	27 ივნისი მსახურება არ ახლავს <i>დიდ სვინაქსარში ეს საკითხავი ეხვდება 23-ე (კე) საკითხავად 2 სექტემბრის მსახურებაზე. 10 იანვარს დიდი სვინაქსარში მათეს სახარების 5:14-19 მუხლები იკითხება.</i>

53	8 ივლისი სახარება ლუკასი, იწ: ლუკა 6:17-19; 9:1-2; 10:16	8 ივლისი სახარება ლუკასი, წ: ლუკა 6:17-[23] <i>პატმოსის და ევერგეტის სვინაქსარში გვაქვს სხვა სა- კითხავი (ლუკა 20:46)</i>
54	16 ივლისი სახარება იოვანესი, რნგ: იოვანე 17:1-21	16 ივლისი სახარება იოვანესი, რნგ: იოვანე 17:1-21
55	25 აგვისტო სახარება იოვანესი იოვანე 10:9-16 <i>მცირე სვინაქსარში გვაქვს მითითება, რომ იოვანეს სახა- რების ეს საკითხავი იკითხება 13 ნომბერს. 13 ნომბრის განგება მცირე სვინაქსარს აკლია, სამაგიეროდ იოვანეს სახარების ეს საკითხავი 13 ნომბერს დადებულია დიდ სვინაქსარში.</i>	25 აგვისტო მათე 5:14-19 <i>დიდ სვინაქსარში გვაქვს მითითება, რომ მათეს სახარების ეს საკითხავი იკითხება 2 სექტემბერსაც, რაც ემთხვევა მცირე სვინაქსარის 2 სექტემბრის საკითხავს. პატმოსის სვინაქსარის ჩვენება ემთხვევა მცირე სვინაქსა- რისას, ევერგეტის სვინაქსარში კი ამ დღეს იკითხება სა- კითხავი ლუკას სახარებიდან (ლუკა 11:33)</i>
56	გ შაბათი მათე [7: 24]8:3-4	გ შაბათი მათე 7: 24-8:4
57	გ კვრიაკე სახარება მათესი, მზ: მათე 6:22-28 [33]	გ კვრიაკე სახარება მათესი, მზ: მათე 6:22-33
58	დ კვრიაკე სახარება მათესი, თავი იდ: მათე 8:5-13	დ კვრიაკე სახარება მათესი, თავი დდ: მათე 8:5-13
59	იწ შაბათი ლუკა 5:17-26	ი შაბათი ლუკა 5:17-26
60	იწ შაბათი ნე სახარება ლუკასი: ლუკა 6:31-32[36]	იწ შაბათი ნე სახარება ლუკასი: ლუკა 6:31-36
61	მე-კვ კვრიაკესა სახარება ლუკასი, რმგ: ლუკა 13:10-17	მე-კვ კვრიაკესა სახარება ლუკასი, რიდ: ლუკა 13:10-17
62	კთ შაბათი სახარება ლუკასი, როვ: ლუკა 14:1-11	კთ შაბათი სახარება ლუკასი, როვ: ლუკა 14:1-11

როგორც ვხედავთ, ექვთიმეს სვინაქსარში წარმოდგენილი ოთხთავის 62 საკითხავს (ან საკითხავზე მითითებას), უმეტეს შემთხვევაში, დიდ სვინაქსარში ემთხვევა როგორც სახარებისეული საკითხავის რიგითი ნომერი, ასევე მუხლებიც. განსხვავებები კი რამდენიმე სახის გვაქვს:

1. როდესაც ემთხვევა საკითხავი, მაგრამ თავად საკითხავის რიგითი ნომერი განსხვავდება: 40 იოანეს სახარების საკითხავის (იოანე 7:14-30) ნომრად ექვთიმესთან მითითებულია „**ოე**“, გიორგისტან „**ოვ**“; ასეთივე მაგალითია 52 – 27 ივნისის საკითხავი მათეს თავისა – ექვთიმესთან გვაქვს „**კე**“ ნომრით, გიორგისტან „**კგ**“ ნომრით, 61 – ლუკას სახარების საკითხავი (ლუკა 13:10-17) ექვთიმესთან - „**რმგ**“, გიორგისტან კი „**რიდ**“ ნომრით. ვფიქრობთ, პირველი ორი

განსხვავება გადამწერის შეცდომაზე უნდა მიუთითებდეს: „ე“ და „ვ“ გრაფემების აღრევა, ისევე როგორც „ე“ და „გ“ გრაფემებისა, ადვილია, მაგრამ ბოლო განსხვავების გრაფიკული აღრევით ახსნა ძნელია (შესაძლოა დავუშვათ, რომ დედნის დაზიანების გამო გადამწერს აერია „მ“ და „ი“, მაგრამ „გ“ და „დ“ გრაფემების არევა ძნელი წარმოსადგენია).

2. ემთხვევა საკითხავის რიგითი ნომერი, მაგრამ განსხვავებულია მუხლები (5, 9, 21, 53). ამათგან ორ შემთხვევაში (5 (ლუკა 12:2-7 და ლუკა 12: 2-12)), 9 (ლუკა 21: 12-19 და ლუკა 20:46-21:19)) დიდ სვინაქსარში მოტანილი საკითხავის მოცულობა მეტია, ორში (21 (ლუკა 2: 20-51; ლუკა 2:20-21), 53 (ლუკა 6:17-19; 9:1-2; 10:16 და ლუკა 6:17) კი – მცირე სვინაქსარის საკითხავია უფრო დიდი.
3. განსხვავებული საკითხავებია მოტანილი მცირე და დიდ სვინაქსარებში 14 იანვარსა და 25 აგვისტოს, თუმცა ამ შემთხვევაში ლიტურგიკული მითითებები თავად ბერძნულ სვინაქსარში საკითხავთა სისტემის თანდათანობით ცვლილებებზე უნდა მიუთითებდეს.

ამრიგად, მცირე სახის განსხვავებები ექვთიმესა და გიორგის სვინაქსარების სახარებისეულ საკითხავებს შორის მაინც ფიქსირდება, რაც, ვფიქრობთ, კონსტანტინოპოლური სვინაქსარის განვითარებასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

როგორც ცნობილია, ოთხთავის საკითხავთა ახალი სისტემა სქემატური საძიებელი-დანართის სახით ჩნდება ოთხთავთა ბოლოს სათაურით: „განგებაჲ სახარებათა საძიებელისაჲ ვითა მივალს **სვინაქსარი** წესსა ზედა ბერძულსა სრულებით“. ამ საძიებელში მოტანილია საკითხავთა მითითება მარხვის და ზატიკის პერიოდისათვის, ასევე სანელინდო საკითხავები, თვეებისა და დღეების მიხედვით, სახარებათა შაბათ-კვირის საკითხავები, საცისკრო სახარებები და სხვ. სულ მალე გაჩნდა სახარებათა ისეთი ხელნაწერებიც (აპრაკოსები, რიგის სახარებები, სანელინდო სახარებები), რომლებშიც ტექსტი დალაგებული იყო არა ტრადიციული ოთხი მახარებლის მიხედვით, არამედ ლიტურგიკული წლის მიხედვით საკითხავ სახარებებად. საკითხავთა საძიებელი კი ერთვოდა ტრადიციულ ოთხთავებს და აადვილებდა მათ გამოყენებას ლიტურგიკაში.¹

კითხვა, ვის ეკუთვნის სახარებათა ქართული ხელნაწერისათვის დართული კონსტანტინეპოლური ტიპის საძიებლის თარგმანი, ბოლო დრომდე არც არასდროს დასმულა, ამის ორი მიზეზი უნდა არსებობდეს, პირველი, რომ ის სერიოზული შესწავლისა და განხილვის საგანი არ ყოფილა, მეორე კი ის, რომ საძიებელი უპირობოდ გიორგი მთაწმიდლის თარგმნილად ითვლებოდა, ჩვეულებრივ კი, ოთხთავთა აღწერილობები შემოიფრაგლებოდა მოკლე ცნობებით, რომ ამა თუ იმ სახარებას ბოლოში ერთვის საძიებელი.

ამ ტიპის საძიებლის სხვადასხვა ნუსხებზე დაკვირვებამ დაადასტურა,² რომ ის ნამდვილად გიორგი მთაწმიდლის კალამს ეკუთვნის, რასაც ადასტურებს ერთ-ერთი ქვეთავის ბოლოს მოტანილი ანდერძი: „აქა დასრულდეს სახარებანი ყოველთა დღეთანი და აწ კუალად შაბათ-კვირაჲკეთა იწყების.

¹ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არსებობდა წმინდა წერილის საკითხავთა საძიებელი ლექციონარისთვისაც, ის შემონახულია ოთხთავთა წინარეათონურ თარგმანებში, ერთი მათგანი კი შესწავლილი და გამოქვეყნებული აქვს ცნობილ ბელგიელ ორიენტალისტს ჟერარ გარიტს: G. Garitte, Un Index Géorgien des lectures Évangéliques selon l'ancien rite de Jérusalem, *Le Muséon. Revue d'études Orientales, fondé en 1881 par Ch. Harles*, t. LXXXV, 3-4, 337-398. ასევე იხ. დ. ჩიტუნაშვილი, ტბეთის ოთხთავის დანართი – სახარებათა საკითხავების საძიებელი (იერუსალიმური თუ კონსტანტინოპოლური ტრადიცია), თეზისები, ქართული ხელნაწერი, II საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი 2013.

² ერთმანეთს შევადარეთ საძიებლები A-1353, A-845, H-1741, Q-900, Q-908 ოთხთავებისა. მათი დიდი ნაწილი გიორგი მთაწმიდლის რედაქციის ოთხთავს შეიცავს, ერთი კი (H-1741), მართალია, წინარეათონური რედაქციისაა, მაგრამ მისთვის მოგვიანებით დაურთავთ სახარებათა გიორგისეული საძიებელი.

უკუეთუ კულა ვინ მოეძიებდეს მიზეზსა, არცა გადარჩომილ არს ოთხთავსა შინა დაუნერელი სახარებაჲ, რომელ ამათ სამარადისოთა სახარებათა შინა არა გამოკრებილ არს ანუ შაბათ-კვირიაკეთა, ანუ მარხვათა, ანუ თუჭთა, ლოცვა ყავთ **გლახაკისა გიორგისთვის**, რომელმან წმიდაჲ ესე სახარებაჲ ვთარგმნე“ (იხ. Q-900, 249r).

საძიებელში ყურადღებას იქცევს დიდი პარასკევის დიდი ჟამების საკითხავების წინ გაკეთებული შენიშვნა: „დიდსა პარასკევსა სახარებანი ჟამთანი დიდსა სვინაქსარსა სხუებრ სწერიან და იგიცა კეთილ არს და შუენიერ, გარნა ჩუენ გლახაკნი ესე, ვინათგან წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა სამკაულსა – წმიდასა ამას სახარებასა შევეკიდებით და წყალობამან ღმრთისამან აქამომდე მოგუანინა, არა ჯერ-ვიჩინეთ სრულიად მცონარებასა მიცემაჲ თავთა ჩუენთა. ამისთვისცა ესერა მამისა ეფთჳმის სახარებისაგან ესე წმიდანი სახარებანი დავნუსხენით“.¹

მარტივი შედარებაჲ კი დიდ სვინაქსარსა და საძიებელში მოტანილ საკითხავებს შორის გვიჩვენებს, რომ განსხვავებები არის.² მაგალითად, მზის ჟამზე, საძიებლის მიხედვით, ექვთიმესეულ ვერსიაში დადებული იყო მათეს სახარების საკითხავი 27:1-54, მაშინ როდესაც დიდ სვინაქსარში გვხვდება საკითხავი 27:3-32, სამჯამზე ექვთიმესთან გვაქვს მარკოზის სახარების საკითხავი 15:1-39, დიდ სვინაქსარში საკითხავი მეთხუთმეტე თავის მეთექვსმეტე მუხლით იწყება და სხვ.³

დიდი პარასკევის დიდი ჟამების განგება მცირე სვინაქსარში შემორჩენილი არ არის, თუმცა დიდი პარასკევის დიდი ჟამების ექვთიმესეული თარგმანის არსებობის დადასტურებად ლილი ხევსურიანს, სხვა არგუმენტებთან ერთად, მიაჩნია ისიც, რომ დიდი ჟამები დაცულია O/Sin.geo-5 (მარხვანი 1052 წ.) ხელნაწერში, რომელმაც ვნების პარასკევის ღამისთვის ექვთიმესეული განგება შემოგვინახა.⁴ სინურ მარხვანში დაცულმა დიდი ჟამების ოთხთავთა საკითხავების შედარებამ საძიებელში დაცულ საკითხავებსა და დიდ სვინაქსარში დაცულ საკითხავებთან დადასტურა, რომ ამ კომპონენტში სინურ ხელნაწერში წარმოდგენილი დიდი ჟამები დიდი სვინაქსარის მონაცემებს ემთხვევა და არა საძიებლისას. თავისთავად ექვთიმესეული დიდი ჟამების განგების არსებობა ეჭვს არ იწვევს, ამის ერთ-ერთ დადასტურებად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახარებათა საძიებლის გიორგი მთანმიდელი-

¹ სანელინდო სახარებების განხილვისას აღნიშნულ ანდერძს ყურადღება პირველად თემო ჯოჯუამ მიაქცია და საინტერესო კითხვებიც დასვა ოთხთავისათვის დართულ საძიებლებსა და სანელინდო სახარებების მიმართებასთან დაკავშირებით, იხ. თ. ჯოჯუა, ეცერის მოძღვრის ანტონ ონოფრიანის მიერ 1380 წელს იერუსალიმში „სპარსთაგან დახსნილი“ XII-XIII საუკუნეების უღვალის სანელინდო სახარება (H-171) და მისი მინაწერები საქართველოს მეფეების ბაგრატ V-ისა (1366/1367-1387 წწ.) და გიორგი VII-ის (1387-1407 წწ.) მოხსენიებით, *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, XII-XIII*, თბილისი 2012/2013, გვ. 85-187; კონკრეტულად ჩვენთვის საინტერესო ანდერძს პირველად ყურადღება მიაქცია დავით შენგელიამ, რომელმაც ის გადამწერისეულ ანდერძად მიიჩნია. იხ. დავით შენგელია, *დანუსხვა – ძველი ქართული სიტყვა, მრავალთავი*, ფილოლოგიურ-ისტორიული ძებანი, 26, გვ. 139-158. ამავე სახით ანდერძი, Q-900-ის გარდა, შემონახულია რამდენიმე ხელნაწერში (A-1563, O/Sin.geo-74, H-171, H-1239, H-1299). ის ფაქტი, რომ დიდი პარასკევის ჟამებზე გიორგი მთანმიდელის რედაქციის უკლებლივ ყველა ოთხთავი, რომელიც ე.წ. „ზანდუკს“ შეიცავს სწორედ ექვთიმე მთანმიდლისეული დიდი ჟამების საკითხავებს უთითებს, საეჭვოს ხდის ამ ანდერძის გადამწერისათვის მიკუთვნებას. ამას გარდა, ძნელი წარმოსადგენია, რომელიმე გადამწერს თვითნებურად გიორგისეულ ოთხთავში რაიმე შეეცვალა მისი მკაცრი გაფრთხილების შემდეგ: „თუ ამისაგან გიჩნდეს დანერაჲ, ღმრთისათჳს სიტყუათა ნუ სცვალებთ, ვითარცა აქა სწერია, ეგრე დანერეთ. და თუ არა რაჲმე გაშუენდეს, ჩუწინი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილ არს და კუალად – ხანმეტნიცა და საბანმინდურნიცა – მუნით დანერეთ და ღმრთისათჳს ერთმანეთსა ნუ გაჰრევთ“ (ქუთ. 76, XI ს. 310r).

² აღნიშნული საკითხი შესწავლილი აქვს დავით შენგელიას და ამიტომ აქ აღარ გავიმეორებთ, იხ. დ. შენგელია, *დანუსხვა-ძველი ქართული სიტყვა*, გვ. 147-152.

³ დ. შენგელია, *დანუსხვა-ძველი ქართული სიტყვა*, გვ. 149.

⁴ ლ. ხევსურიანი, მარხვანის ქართული რედაქცია XI ს., გვ. 48-55.

სეული შენიშვნაც გამოგვადგება, მაგრამ იყო თუ არა სხვა სახის განსხვავება დიდი ჟამების განგებათა ექვთიმესეულსა და დიდ სვინაქსარისეულ ვერსიებს შორის, რთული დასადგენია, რადგან დიდი ჟამების ექვთიმესეული განგებიდან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ სახარებათა საკითხავებზე დართულმა საძიებლის გიორგისეულმა მითითებამ და მცირე სვინაქსარში პირველ ჟამზე წასაკითხავი მათეს სახარების თავბოლონაკულმა ფრაგმენტმა.

მცირე და დიდი სვინაქსარების ოთხთავთა საკითხავების შედარებამ გამოავლინა ისეთი საკითხავები (მაგ.: 50, 53), როდესაც ექვთიმე გახსნილად მოტანილი საკითხავის ტექსტში კომპილაციას აკეთებს და ერთად წარმოადგენს სახარების რამდენიმე თავის საკითხავს ისე, რომ ტექსტის წაკითხვისას კომპილაცია ადვილი შესამჩნევი არ არის. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ სახით საკითხავები არ დასტურდება პატმოსისა და ევერგეტის სვინაქსარებში. ვფიქრობთ, ეს მოვლენა საკუთრივ ექვთიმესთან არის დაკავშირებული.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ დასმულა საკითხი ოთხთავის ექვთიმე მთაწმიდლისეული რედაქციის შესახებ. სხვადასხვა დროს წმინდა მამის მიერ გადამუშავებული ოთხთავის რედაქციისად სხვადასხვა ხელნაწერები მიიჩნეოდა.¹ დროთა განმავლობაში შეხედულებები იცვლებოდა. დღესდღეობით ექვთიმეს რედაქციის ოთხთავად მიიჩნევა მხოლოდ მათეს და იოანეს სახარების იოანე ოქროპირისეული კომენტარების ექვთიმე მთაწმიდლისეულ თარგმანში დაცული ექსცერპტები ოთხთავის ტექსტებიდან.² სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე დამოუკიდებლად შესწავლისა და განხილვის საკითხი არ ყოფილა მცირე სვინაქსარში გახსნილი სახით მოტანილი სახარების საკითხავები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კორნელი კეკელიძის მოკლე შენიშვნას, რომ ექვთიმე მთაწმიდელს გარკვეული რედაქციული სამუშაოები უნდა ჩაეტარებინა საკითხავების ტექსტებზე.³

სვინაქსარი ერთ-ერთი პირველი თხზულებაა, რომელიც ექვთიმე მთაწმიდელმა ქართულ ენაზე მამის, იოანე ქართველის სიცოცხლეში თარგმნა და ის მოიხსენიება იოანე ქართველის მათეს სახარებისათვის დართულ ანდერძშიც (1002 წ.),⁴ და როგორც უკვე ვნახეთ, სახარებისეული საკითხავების გაშლილი სახით წარმოდგენა მისი ინიციატივა იყო, რაც, ერთი მხრივ, საკითხავების ახალ, ბიზანტიურ სისტემაზე გადასვლის წინაპირობას წარმოადგენდა, მეორე მხრივ კი, სავარაუდოდ, მიზნად ისახავდა სახარების ახალი რედაქციის შექმნას თუ არა, ამ პროცესისათვის მომზადებას მაინც. ერთი რამ ნათელია, ამ საკითხავების სახით საქმე გვაქვს ექვთიმეს ხელში გამოვლილ სახარების ტექსტთან. მიუხედავად იმისა, რომ სვინაქსარმა ჩვენამდე ძალიან ნაკლები სახით მოაღწია, საკითხავები ტექსტოლოგიური კვლევის ჩატარებისათვის საკმაოდ ვრცელ მასალას იძლევა.

¹ ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივ. იმნაიშვილმა, თბილისი, 1974, გვ. 82-153; ზ. სარჯველაძე, წყაროსთავის ოთხთავი და ქართული ოთხთავის ეფთვიმესეული რედაქციის საკითხი, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 29, თბილისი, 2002, გვ. 109-133.

² ნ. მელიქიშვილი, ბიბლიოლოგია (ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული თარგმანები), *ნარკვევები ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიიდან*, თბილისი, 2012, გვ. 167-170; იხ. ე. კვიციანი, სახარების XI საუკუნის ქართული ხელნაწერების კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური ანალიზი და ოთხთავის გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის ჩამოყალიბების ისტორია (სადისერტაციო ნაშრომი), თბილისი, 2019, გვ. 16-17. <http://press.tsu.ge/data/image-db-innova/Eka%20Kvirkvelia.pdf>

³ К. Кекелидзе, Иерусалимский Канонар, с. 312.

⁴ წმ. იოანე ოქროპირი, *თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ*, წიგნი 1, გამოსაცემად მოამზადეს თსუ ლაბორატორია „ორიონის“ თანამშრომლებმა, რედაქტორი მზ. შანიძე, თბილისი, 1996. გვ. 10-19 (არსებობს მეორე გამოცემაც, თბილისი 2014, გვ. 9-18). ანდერძის ტექსტი უძველესი ხელნაწერების მიხედვით, იხ. თ. ცქიტიშვილი, დ. თვალთვაძე, იოანე ოქროპირის „მათეს სახარების განმარტების“ ექვთიმე ათონელისეულ თარგმანზე დართული ტექსტისათვის: *თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები*, ტ. 30, თბილისი, 2001, გვ. 95-115.

რა ტიპის მსგავსება-განსხვავებებია მცირე სვინაქსარში წარმოდგენილ სახარებისეულ ტექსტებში ოთხთავის წინარეათონურ და გიორგისეულ რედაქციებთან მიმართებით?

ტექსტოლოგიურად შევისწავლეთ სახარებისეული საკითხავები, შესაძარებელ მასალად კი გამოვიყენეთ როგორც ჯრუჭ-პარხლის რედაქციის ტექსტი,¹ ასევე წინარეათონური რედაქციის ხელნაწერებისა: სამი სინური ხელნაწერის (O/Sin.geo-30-38; O/Sin.geo-15, O/Sin.geo-16), ნყაროსთავის ოთხთავისა და ანბანდიდი სახარების ჩვენებები,² ურბნისისა და პალესტინურ სახარებათა ტექსტებიც, რომლებიც გარკვეული პერიოდი ექვთიმეს რედაქციის ოთხთავებად მიიჩნეოდა,³ ქსნის ოთხთავის ტექსტი⁴ და ოთხთავის გიორგი მთანმიდლისეული რედაქციის ტექსტის კრიტიკული გამოცემა.⁵ ტექსტი შევადარეთ მათესა და იოანეს სახარებათა იოანე ოქროპირისეული კომენტარების ქართულ თარგმანებში დაცულ ტექსტებს,⁶ ოთხთავის ბერძნული ტექსტისათვის კი ვისარგებლეთ ბერძნული სახარების რ. სვონსონისეული კრიტიკული გამოცემით.⁷

სახარებათა საკითხავების ტექსტოლოგიურმა კვლევამ გვიჩვენა, რომ მცირე სვინაქსარის საკითხავებში მოცემული ტექსტი მსგავსება-განსხვავებას გვიჩვენებს ოთხთავის ჩვენ მიერ გამოყენებულ თითქმის ყველა ტექსტთან მიმართებით. მაგრამ გვაქვს ისეთი იკითხვისები, რომლებითაც სვინაქსარისეული ტექსტი განცალკევებით დგას და პარალელი არ ეძებნება სახარებათა ჩვენს ხელთ არსებულ ვერსიებში,⁸ ამის დასადასტურებლად მოგვაქვს ექსცერპტები სახარებებიდან:

მათეს სახარება

მათე 6:24

Synax. *ვერვის ძალ-უც* ორთა უფალთა მონებად, ანუ ერთი იგი მოიძულოს და *ერთი* იგი შეიყუაროს...

- 1 ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია: სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა ა.შანიძემ, თბილისი, 1945; ადიშის ოთხთავი 897 წლისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ელ. გიუნაშვილმა, დ. თვალთვაძემ, მ. მაჩხანელმა, ზ. სარჯველაძემ და ს. სარჯველაძემ, ზ. სარჯველაძის რედაქციით, თბილისი, 2003.
- 2 შედარებისას ვეყრდნობით: Titus Project-ის გვერდზე <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/nt/cinant/cinan.htm> განთავსებულ ხელნაწერთა ჩვენებებს (ბაზაში არსებულ მონაცემებს ვამოწმებდით ხელნაწერთან), ასევე შემდეგ გამოცემებს: *ანბანდიდი სახარება*, სახარება ოთხთავის IX საუკუნის ხელნაწერი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მანანა მაჩხანელმა, თბილისი, 2010; *სინური ოთხთავი 978-979 წლებისა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ელგუჯა გიუნაშვილმა, თბილისი, 2010.
- 3 ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია.
- 4 ც. ჭანკივი, ქსნის ოთხთავის ლენინგრადული ფრაგმენტები, კ. *კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე*, IV, თბილისი, 1963, გვ. 164-223.
- 5 ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია.
- 6 გამოცემა: იოანე ოქროპირი, *თარგმანებად მათეს სახარებისა*, წ. I, წ. II, თბ., 2014; იოანე ოქროპირი, „*თარგმანებად იოანეს სახარებისა*“ (ექვთიმე მთანმიდელის თარგმანი), თბილისი, 2018.
- 7 New Testament Greek Manuscripts, Variant readings arranged in horizontal lines against Codex Vaticanus, edited by Reuben Swanson, foreward by Bruce Metzger, Sheffield Academic Press, William Carey International University Press.
- 8 სახარებათა ქართული ხელნაწერების აღსანიშნავად გამოვიყენეთ ის ლიტერები, რომლებიც უკვე ათეული წლებია დამკვიდრებულია სამეცნიერო ლიტერატურაში (წინარეათონური ოთხთავების აღსანიშნავად Preath, შემდეგი ლიტერებით: ჯრუჭის D, პარხლის E, ადიშის C, ურბნისის F, პალესტინურის G, ანბანდიდის A^d, ქსნის ოთხთავის - A; O/Sin.geo-30 -P, O/Sin.geo-15 – R, ნყაროსთავის – T; ათონურის -Athon.), „თარგმანებათა“ ტექსტების აღსანიშნად ვიყენებთ ლიტერს com; ბერძნული ხელნაწერებისათვის კი გამოვიყენებულობა ის ლიტერები, რომლებიც სვონსონის გამოცემას ახლავს.

C **ვერ** ჯელ-ენიფების ორთა უფალთა მონებად, ანუ ერთი იგი მოიძულოს და **სხუა** იგი შეიყუაროს...

Preath. **ვერ ჯელ-ენიფების** ორთა უფალთა მონებად, ანუ ერთი იგი მოიძულოს და **სხუა** იგი შეიყუაროს...

†კაცსა F; ერთი R

Com. **ვერვის** ჯელ-ენიფების ორთა უფალთა მონებად, ანუ ერთი იგი მოიძულოს და **სხუა** იგი შეიყუაროს...

Athon. **ვერვის** ჯელ-ენიფების ორთა უფალთა მონებად, ანუ ერთი იგი მოიძულოს და **სხუა** იგი შეიყუაროს ...

შდრ. Οὐδέϊς δύναιται δυσὶ κυρίοις δουλεύειν· ἢ γὰρ τὸν ἕνα μισήσει καὶ τὸν ἕτερον ἀγαπήσει

მათე 8:26

Synax. [...ჰრქუა] მათ: **რად** შეჰშინდით მცირედ მორწმუნენო. მაშინ აღდგა და შეჰრისხნა ქართა და ზღუასა. და იქმნა დაყუდება დიდ.

C და ჰრქუა მათ: **რას** გულმედგარ ხართ მცირედ მორწმუნენო? მაშინ აღდგა, შეჰრისხნა ქართა და ზღუასა და იყო ყუდროება დიდ.

Preath. ჰრქუა მათ: **რახსა** შესძრწუნდით, მცირედ მორწმუნენო? მაშინ აღდგა, შეჰრისხნა ქართა მათ და ზღუასა და იქმნა მეყსეულად) დაყუდება დიდ.

რახ G; †ესოდენ D; შეშინდით FG; ზღუათა F მეყსეულად – D

Com. ჰრქუა მათ: **რახსა** შეშინდით, მცირედ-მორწმუნენო? მაშინ აღდგა, შეჰრისხნა ქართა მათ და ზღუასა. და იქმნა მეყსეულად დაყუდება დიდ.

Athon. ჰრქუა მათ: **რახსა** შეშინდით მცირედ მორწმუნენო? მაშინ აღდგა, შეჰრისხნა ქართა მათ და ზღუასა. და იქმნა **მეყსეულად** დაყუდება დიდ.

შდრ. καὶ λέγει αὐτοῖς Τί δειλοὶ ἔστε ὀλιγόπιστοι τότε ἐγερετὶς ἐπετίμησεν τοῖς ἀνέμοις καὶ τῇ θαλάσῃ καὶ ἐγένετο γαλήνη μεγάλη.

მათე 24:42

Synax. იღვძებდით, **უკუეთუ** არა იცით, რომელსა დღესა უფალი თქუენი მოვიდეს.

C მღვძარე იყვენით, **რამეთუ** არა უწყით რომელსა დღესა უფალი თქუენი მოვიდეს.

Preath. იღვძებდით, **უკუე** რამეთუ არა იცით, რომელსა დღესა უფალი თქუენი მოვიდეს.

Com. იღვძებდით, **უკუჭ** რამეთუ არა იცით, რომელსა დღესა უფალი თქუენი მოვიდეს.

Athon. იღვძებდით, **უკუჭ** რამეთუ არა იცით, რომელსა დღესა უფალი თქუენი მოვიდეს.

მათე 24:43

Synax. უკუეთუმცა უწყოდა სახლისა უფალმან, რომელსა **დღესა** მპარავი მოსლვად არს, იღვძებდამცა და არა უტევა დათხრად **სახლი თვისი**.

C რამეთუ უწყოდა მამასახლისმან, რომელსა **ჟამსა** მპარავი მოვიდოდა, არამცა უფალო დათხრად სახლისა თვისისა.

Preath. უკუეთუმცა უწყოდა სახლისა უფალმან, რომელსა **ჟამსა** მპარავი მოსლვად არს, იღვძებდამცა და არა უტევა დათხრად **გუერდი** სახლისა **თვისისა**.

თვისისა R.

Com. უკუეთუმცა უწყოდა სახლისა უფალმან, რომელსა **ჟამსა** მპარავი მოსლვად არს, იღკებ-
დამცა და არა უტევა დათხრად **გუერდი** სახლისა **მისისაჲ**.

Athon. უკუეთუმცა უწყოდა სახლისა უფალმან, რომელსა **საჭუმილავსა** მპარავი მოსლვად არს,
იღკებდამცა და არა უტევა დათხრად სახლისა **თვსისა**.

შდრ. εἰ ἦδεις ὁ οἰκοδεσπότης ποῖα ἄρα ὁ κλέπτεις ἔρχεται, ἐγρηγόρισεν ἂν καὶ οὐκ ἂν εἶασεν διορυχθῆναι τῆν οἰκίαν αὐτοῦ.

მათე 26:64

Synax. და მომავალი **ღრუბელსა ზედა** ცისათა...

C და მომავალი **ღრუბელთა თანა** ცისათა...

Preath. და მომავალი **ღრუბელთა თანა** ცისათა...

Com. და მომავალი **ღრუბელთა თანა** ცისათა ...

Athon. და მომავალი **ღრუბელთა თანა** ცისათა ...

შდრ. καὶ ἐρχόμενον ἐπὶ τῶν νεφελῶν τοῦ οὐρανοῦ.

μετὰ τῶν νεφελῶν London700

მათე 27:15

Synax. ხოლო **რაჲ დღესასწაულ** ჩუეულ იყო მთავარი იგი მიტევებად ერსა მას მპყრობილი (!)
ერთი, რომელიცა უნებნ მათ.

C ხოლო **დღესასწაულად-დღესასწაულად** ჩუეულ იყო ბჭე იგი მიტევებად ერთისა პყრობილისა
ერსა მას, რომელიცა ჰნებავნ.

Preath. ხოლო **დღესასწაულთა** ჩუეულ იყო მთავარი იგი: მიუტევის ერსა მას პყრობილი ერთი,
რომელიცა უნებნ მათ.

დღესასწაულსა მას E; დღესასწაულსა მას E.

Com. ხოლო **დღესასწაულთა** ჩუეულ იყო მთავარი იგი: მიუტევის ერსა მას პყრობილი ერთი,
რომელიცა უნებნ მათ.

Athon ხოლო **დღესასწაულთა** ჩუეულ იყო მთავარი იგი და მიუტევის ერსა მას პყრობილი ერთი,
რომელიცა უნებნ მათ.

ჩუეულ HI

შდრ. Κατὰ δὲ ἑορτῆν εἰώθει ὁ ἰγέμων εἶνα τῷ ὄχλῳ δέσμιον ἦθελον.

მათე 27:16-17

Synax. პყრობილი შესწავებული, რომელსა ერქუა **ბარაბა. შე-რაჲ-კრებულ** იყვნეს იგინი...

C პყრობილი ვინმე იყო მაშინ წარჩინებული, რომელსა ერქუა **ბარაბა** და ვითარცა **შეკრებულ**
იყვნეს იგინი...

Preath. იყო ვინმე მაშინ პყრობილი შესწავებული, რომელსა ერქუა **ბარაბაჲსი** და ვითარ **შეკრებულ**
იყვნეს იგინი...

ხოლო იყო FG; ისუ ბარაბაჲსი FA; იწსუ ბარაბაჲსი RP; ისო ბარაბაჲსი G

Com. იყო ვინმე მაშინ პყრობილი შესწავებული, რომელსა ერქუა **ისუ ბარაბაჲსი**. და ვითარ
შეკრებულ იყვნეს იგინი...

Athon. ხოლო ჰყვა ვინმე მაშინ ჰყრობილი შესწავებული, რომელსა ერქუა **ისუ ბარაბა**. და ვითარ **შეკრებულ** იყვნეს იგინი...

შდრ. εἶχον δὲ τότε δέσμιον ἐπίσημον λεγόμενον Βαραββᾶν. συνηγμένων οὖν αὐτῶν ΒΚ^οAD...

მარკოზის სახარება

მარკ. 6:7

Synax. მოუწოდა **იესუ** ათორმეტთა მათ **მონაფეთა მისთა** და იწყო წარვლინებად მათა ორ-ორისა და **მისცა** მათ ჴელმნიფებაჲ...

C და მოუწოდა ათორმეტთა მათ და იწყო წარვლინებად ორ-ორისაჲ და **მისცა** მათ **ფლობაჲ**

Preath. და მოუწოდა ათორმეტთა მათ და იწყო წარვლინებად მათა ორ-ორისა და **მისცემდა** მათ ჴელმნიფებასა.

Athon. და მოუწოდა ათორმეტთა მათ და იწყო წარვლინებად მათა ორ-ორისა და **მისცემდა** მათ ჴელმნიფებასა.

მათდა K

შდრ. Καὶ προσκαλεσάμενος τοὺς δώδεκα μαθητὰς αὐτοῦς (*Athos.1071*)... διὸς αὐτοῖς ἐξουσίαν (*Athos.1071, Leningradi 565*)

ლუკას სახარება

ლუკა 12:7

Synax. თმანიცა თავისა თქუენისანი **აღრაცხულ** არიან **წინაშე ღმრთისა**. ნუუკუე გეშინინ, რამეთუ მრავალთა სირთა უმჯობეს ხართ **თქუენ**.

C არამედ თმანიცა თავისა თქუენისანი **ყოველნი განრაცხილ** არიან. ნუუკუე გეშინინ, მრავალთა სირთა უმჯობეს ხართ.

Preath. არამედ თმანიცა თავისა თქუენისანი **ყოველნი განრაცხილ** არიან. ნუუკუე გეშინინ, რამეთუ მრავალთა სირთა უმჯობეს ხართ.

ნუ F

Athon. არამედ თმანიცა თავისა თქუენისანი **ყოველნი განრაცხილ** არიან. ნუუკუე გეშინინ, რამეთუ მრავალთა სირთა უმჯობეს ხართ.

შდრ. ἀλλὰ καὶ αἱ τρίχες τῆς κεφαλῆς ὑμῶν **πᾶσαι** ἰρίθμονται μὴ φοβείσθε· πολλῶν στρουθίων διαφέρετε ... Lening.565

ἀλλὰ καὶ αἱ τρίχες τῆς κεφαλῆς ὑμῶν **πᾶσαι** ἰρίθμονται μὴ φοβείσθε· πολλῶν στρουθίων διαφέρετε ὑμεῖς DFGYKM...

ἀλλὰ καὶ αἱ τρίχες τῆς κεφαλῆς ὑμῶν **πᾶσαι** ἰρίθμονται μὴ **φοβῶν ὁ κυριος**

შდრ. თმანიცა თავისა თქუენისანი **ყოველნი აღრაცხულ** არიან. ნუუკუე გეშინინ, რამეთუ მრავალთა სირთა უმჯობეს ხართ. A

ლუკა 13:31

Synax. მას **ჟამსა** შინა **მოუჯდეს**...

მას **დღესა** შინა **მო-ვინმე-უჯდეს**... DE;FG;A;HIK

შდრ. Ἐν αὐτῇ τῇ ᾠρᾷ προσήλθαν τινες B* KA f¹³ 700

იმის დასადასტურებლად, თუ რამდენად განსხვავდება და ცალკე დგას სვინაქსარისეული საკითხავები, მოვიტანთ კიდევ ერთ საკითხავს ლუკას სახარებიდან, სადაც თითქმის ყველა რედაქციის ჩვენება ერთმანეთს ემთხვევა, სვინაქსარი კი დამოუკიდებლად დგას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ექვთიმე მთანმიდლისეული სვინაქსარის საკითხავებს ერთი თავისებურება ახასიათებს, ზოგჯერ საკითხავი აერთიანებს ექსცერპტების სახით მოტანილ რამდენიმე თავის მუხლს (იხ. გვ.). სწორედ ამ ტიპისაა ჩვენ მიერ ქვემოთ განხილული ლუკას სახარების საკითხავი, რომელიც მოიცავს მუხლებს მე-6, მე-9 და მე-10 თავებიდან:

ლუკას სახარება

ლუკა 6:17

Synax. *მას ჟამსა შინა მოუწდეს იესუს* *ერი* მონაფეთა მისთაჲ და სიმრავლჳ მრავალი ყოვლისაგან ჰურიასტანისა და იერუსალჳმისა და ზღვის კიდისაჲ ტჯროსა და სიდონიაჲსი

ადიში: *და გარდამოვიდა მათ თანა და დადგა ადგილსა ერთსა ველსა*, და *ერი* მონაფეთა მისთაჲ და სხუაჲ ერისა სიმრავლე ფრიად ჰურიასტანით და იერუსალჳმით და ზღვის კიდისაჲთ ტჯროსით და სიდონით.

Preaht. *და გარდამოვიდა მათ თანა და დადგა ადგილსა ველსა*, და *ერი* იგი მონაფეთა მისთაჲ და სხვა ერისა სიმრავლჳ ფრიადი ჰურიასტანით და იერუსალჳმით და ზღვს კიდისაჲ და ტჯროსით და სიდონით.

გარდმოვიდა E; ერისაჲ F; და – TAFGPR; სიმრავლე DAF; ტჯროზით F

Athon. *და გარდამოვიდა მათ თანა და დადგა ადგილსა ველსა*, და *ერი* იგი მონაფეთა მისთაჲ და სხვა ერისა სიმრავლჳ ფრიადი ჰურიასტანით და იერუსალჳმით და ზღვს კიდისაჲ ტჯროსით და სიდონით.

ლუკა 6:18

Synax. რომელნი მოსრულ იყვნეს სმენად მისგან და განკურნებად სნეულებათა მათთაგან. და რომელნი-იგი *შეპყრობილ-იყვნეს* სულთაგან არანმიდათა, განიკურნებოდეს.

C. რომელნი მოსრულ იყვნეს სმენად მისგან და განკურნებად *სნეულებათაგან მათთა; და ურვილნი* სულთაგან არანმიდათა განიკურნებოდეს.

Preath. რომელნი მოსრულ იყვნეს სმენად მისგან და განკურნებად *სნეულებათაგან მათთა; და უძღურნი იგი* სულთაგან არანმიდათა განიკურნებოდეს.

განკურნებად + ყოველთა F; სნეულებათაგან] უძღურებათაგან F; უძღურნი] ურვილნი FG

Athon. რომელნი მოსრულ იყვნეს სმენად მისგან და განკურნებად *სნეულებათაგან მათთა; და ურვილნი იგი* სულთაგან არანმიდათა განიკურნებოდეს.

შდრ.σ̅ ἰη̅σο̅υ ἀκο̅υσ̅αι αὐ̅τοι̅ν καὶ ἰα̅μ̅η̅ναι ἀπ̅ὸ τῶν νόσων αὐ̅τῶν· καὶ οἱ ἐνο̅σχ̅ισ̅τ̅μο̅νοι ἀπ̅ὸ πνευ̅μάτ̅ων ἀκα̅μάρτων ἐμ̅ερα̅π̅ε̅σοντο.

ლუკა 6:19

Synax. და ყოველსა *ერსა უნდა შეხებად მისა*, რამეთუ ძალნი მისგან გამოვიდოდეს. და განჰკურნებდა ყოველთა.

ადიში. და ყოველი იგი *ერი ეძიებდეს შეახლებად მისა*, რამეთუ ძალნი მისგან გამოვიდოდეს და განჰკურნებდა ყოველთა.

Preath. და ყოველი იგი *ერი ეძიებდა შეახლებად მისა*, რამეთუ ძალნი გამოვიდოდეს მისგან და განჰკურნებდა ყოველთა.

მისგან F; და განიკურნებოდის ყოველი A.

Athon. და ყოველი იგი **ერი ეძიებდა შეახლებად მისა**, რამეთუ ძალნი გამოვიდოდეს მისგან და განჰკურნებდა ყოველთა.

შდრ. και πας ο ὄχλος ἐζήτησεν ἄπτεσθαι αὐτοῦ

ლუკა 9:1

Synax. და მოუწოდა **მონაფეთა თვსთა** და მისცა მათ ძალი და ჯელმნიფება ყოველთა ზედა ეშმაკთა და სნეულთა განკურნებაჲ.

C. და **მოუწოდა ათორმეტთა** მათ და მისცა მათ ძალი და ჯელმნიფება ყოველთა ზედა ეშმაკთა და სენტა განკურნებად.

Preath. და **მოუწოდა ათორმეტთა** მათ და მისცა მათ ძალი და ჯელმნიფება ყოველთა ზედა ეშმაკთა და სენტა განკურნებაჲ.

მისცა D; სნეულთა A; A^d; განკურნებად A; A^d.

Athon. და **მოუწოდა იესუ ათორმეტთა მათ** და მისცა მათ ძალი და ჯელმნიფება ყოველთა ზედა ეშმაკთა და სენტა განკურნებაჲ.

შდრ. Συγκαλεσάμενος δὲ τοὺς δώδεκα ἔδωκεν αὐτοῖς δύναμιν καὶ ἐξουσίαν ἐπὶ πάντα τὰ δαιμόνια καὶ νόσους φεραπένειν

ლუკა 9:1

Synax. და წარავლინა იგინი ქადაგებად სასუფეველსა ღმრთისასა და განკურნებად **სნეულთა**.

ადიში. და წარავლინა იგინი ქადაგებად სასუფეველსა ღმრთისასა და განკურნებად **უძღურთა**.

Preath. და წარავლინა იგინი ქადაგებად სასუფეველსა ღმრთისასა და განკურნებად **უძღურთა**.

Athon. და წარავლინა იგინი ქადაგებად სასუფეველსა ღმრთისასა და განკურნებად **უძღურთა**.

შდრ. καὶ ἀπέστειλεν αὐτοὺς κηρῦσσειν τῆς βιασιλείαν τοῦ θεοῦ καὶ ἰᾶσθαι [τοὺς ἀσθενεῖς]

ლუკა 10:16

Synax. და **ჰრქუა მათ**: რომელმან ისმინოს თქუენი, ჩემი ისმინა და რომელმან...

ადიში. და **ჰრქუა მათ**: რომელმან ისმინოს თქუენი, ჩემი ისმინა და რომელმან...

Preath. და **ჰრქუა მათ**: რომელმან თქუენი ისმინოს, ჩემი ისმინა და რომელმან...

ისმინოს თქუენი A^d

Athon. და **ჰრქუა მათ**: რომელმან თქუენი ისმინოს, ჩემი ისმინა და რომელმან...

მოტანილ მაგალითში განსაკუთრებით აღსანიშნავია ლექსიკური ერთეულის განსხვავებული თარგმანები: მაშინ, როდესაც ბერძნულ ზმნას ζῆτεῖσθε ოთხთავის სხვადასხვა ხელნაწერებში „ძიება“ ზმნა შეესაბამება, სვინაქსარისეულ ვერსიაში ეს ზმნა „სურვილად“ (უნდა) არის თარგმნილი, ასევეა მეორე ზმნის შემთხვევაშიც, თუ ოთხთავის სხვა ვერსიებში ἄπα ოთხთავის შეახლებად არის თარგმნილი, სვინაქსარისეულ ტექსტში მთარგმნელს ის „შეხებად“ გადმოაქვს:

Synax. და ყოველსა ერსა **უნდა შეხებად** მისა...

Preath./Athon. და ყოველი იგი ერი **ეძიებდეს შეახლებად** მისა...

შდრ. και πας ο ὄχλος ἐζήτησεν ἄπτεσθαι αὐτοῦ...

მათესა და იოანეს სახარებათა საკითხავებისა და იოანე ოქროპირის კომენტარებში შემონახული ტექსტების შედარებამ გვიჩვენა, რომ კომენტარებში დაცული ტექსტები ისევე განსხვავდება სვინაქსარისეული საკითხავების ტექსტებისაგან, როგორც სახარებათა სხვა რედაქციები და ისეთი დამთხ-

ვევები მათ შორის, რომლითაც ეს ორი ტექსტი დაუპირისპირდებოდა სხვა რედაქციებს, თითქმის არ გვხვდება ან მცირე ვარიანტული სახე აქვს, მაგ.:

მათე 8:8

Synax. Com.

არა ღირს ვარ, **რაჲთა**

არა ღირს ვარ მე **რაჲთამცა** DE; FG

მათე 27:14

Synax.Com. და არარაჲ მიუგო მას არცაღა **ერთი სიტყუაჲ**, ვიდრე უკვრდაცა მთავარსა მას ფრიად.

C და არა მიუგო მას არცა **ერთსა სიტყუასა**, ვითარმედ დაუკვრდებოდა ბჭესა მასცა ფრიად.

Preath. და არარაჲ მიუგო მას იესუ **არცაღა ერთისა სიტყვსათვს**, ვიდრემდე დაუკვრდაცა მთავარსა მას.

- იესუ FG; არცა FG; ვითარმედ G; უკვრდაცა FG.

Athon. და არარაჲ მიუგო მას **არცაღა ერთისა სიტყვსათვს**, ვიდრემე დაუკვრდაცა მთავარსა მას ფრიად.

შდრ. και οὐκ ἀπεκρίθη αὐτῷ πρὸς οὐδὲν ἔν ῥῆμα ὥστε θαυμάζειν τὸν ἡγεμόνα λίαν

მათე 28:2

Svin. Com.

გარდააგორვა ლოდი იგი კარისა მისგან **საფლავისაჲსა...**

Preath./Athon.

გარდააგორვა ლოდი იგი კარისა მისგან **საფლავისა...**

გარდააგურვა G

ჩვეულებრივ, კომენტარების იკითხვისეები განსხვავდება სვინაქსარისეული წაკითხვისაგან და ემთხვევა ოთხთავის რომელიმე სხვა რედაქციას:

მათე 13:54

Synax.....**წარმოვიდა** მიერ, მოვიდა მამულსა თვსსა და ასწავებდა მათ შესაკრებელთა **შინა** მათთა.

Com.....**წარვიდა მიერ**. და მოვიდა მამულად თვსად და ასწავებდა მათ შესაკრებელთა **შორის** მათთა.

Preath.....**წარვიდა მიერ**. და მოვიდა მამულად თვსად და ასწავებდა მათ შესაკრებელთა **შორის** მათთა.

Athon.....**წარვიდა მიერ**. და მოვიდა მამულად თვსად და ასწავებდა მათ შესაკრებელთა **შორის** მათთა.

მათე 26:73

Synax. და შემდგომად მცირედისა ჟამისა მოუჭდეს მუნ მდგომარენი იგი **პეტრეს და ჰრქუეს მას ...**

Com. და შემდგომად მცირედისა ჟამისა მოუჭდეს მუნ მდგომარენი იგი და **ჰრქუეს პეტრეს ...**

C და შემდგომად მცირედისა ჟამისა მოუჭდეს, რომელნი დგეს მუნ. და **ჰრქუეს პეტრეს ...**

Preath. და შემდგომად მცირედისა ჟამისა მოუჭდეს მუნ მდგომარენი იგი **პეტრეს და ჰრქუეს მას ...**

Athon. და შემდგომად მცირედისა ჟამისა მოუჭდეს მუნ მდგომარენი იგი **პეტრეს და ჰრქუეს მას ...**

მათე 26: 69

Synax. და ჰრქუა მას: შენცა იყავ იესუეს თანა **გალილეველისა ...**

Com. და ჰრქუა მას: შენცა იყავ იესუეს თანა **ნაზარეველისა...**

C და ჰრქუა: შენცა იყავ იესუ თანა, **გალილეველისა...**

Preath. და ჰრქუა მას: შენცა იყავ იესუეს თანა, **გალილეველისა...**

ნაზარეველისა AP; ნაზორეველისა R

Athon. და ჰრქუა მას: შენცა იყავ იესუეს თანა, **გალილეველისა...**

შდრ. μετὰ Ἰησοῦ τοῦ Ναζωραίου C

საინტერესოა ერთი ადგილი იოანეს სახარების საკითხავიდან:

იოვანე 10:14-15

Synax. მე ვარ მწყემსი კეთილი და ვიცნი ჩემნი იგი, და მიციან ჩემთა მათ, ვითარცა მიცის მე მამამან და მეცა ვიცი მამაჲ და სულსა ჩემსა დავსდებ **ცხოვართათჳს.**

C მე ვარ მწყემსი კეთილი და ვიცნი ჩემნი იგი, და მიციან მე ჩემთა მათ, ვითარცა მიცის მე მამამან ჩემმან ვიცი მეცა თავი ჩემი დავდვა ზედა **საცხოვართა მათ.**

Preath. მე ვარ მწყემსი კეთილი და ვიცნი ჩემნი იგი, და მიციან ჩემთა მათ, ვითარცა მიცის მე მამამან (მამან F), ვიცი მეცა მამაჲ და სულსა ჩემსა დავსდებ **ცხოვართათჳს.**

Com. მე ვარ მწყემსი კეთილი, ვიცნი ჩემნი იგი, და მიციან ჩემთა მათ. ვითარცა მიცის მე მამამან, მეცა ვიცი მამაჲ და სულსა ჩემსა დავსდებ **ცხოვართა ჩემთათჳს.**

Athon. მე ვარ მწყემსი კეთილი და ვიცნი ჩემნი იგი, და მიციან ჩემთა მათ, ვითარცა მიცის მე მამამან, ვიცი მეცა მამაჲ და სულსა ჩემსა დავსდებ **ცხოვართათჳს.**

ბოლო სიტყვის „ცხოვართათჳს“ ნაცვლად მცირე სვინაქსარში თარგმანების მსგავსად ეწერა „ცხოვართა ჩემთათჳს“, შემდეგ, როგორც ჩანს, „ჩემ“ ამოშალეს, დარჩა „ცხოვართათჳს“ და მივიღეთ ის ფორმა, რომელიც დასტურდება ოთხთავის სხვა ხელნაწერებშიც (FG; A; HIK).

რიგ შემთხვევაში სვინაქსარისეული იკითხვისი ემთხვევა წინარეათონური რედაქციის შემცველი რომელიმე ხელნაწერის ნაკითხვას:

მათე 6:25

Synax. სული უფროჲს არს საზრდელისა და ჯორცნი სამოსლისა. (DECRP)

შდრ. Preath. სული უფროჲს არს საზრდელისა და **გუამ** სამოსლისა (FG)

მათე 5:19

Synax. **უმრწემეს** ენოდოს მას სასუფეველსა ცათასა.

უმრწემეს ენოდოს მას სასუფეველსა ცათასა.

უმცირეს FG

მათე 24:45

Synax. რომელი **დაადგინა** უფალმან...

Preath. რომელი **დაადგინა** უფალმან... (DE)

დაადგინოს AFG

შდრ. ὁν κατέστησεν ὁ κύριος // ὁν **καταστήσει** ὁ κύριος

როგორც ვხედავთ, სვინაქსარის საკითხავების ტექსტს წინარეათონური რედაქციის შემცველი ხელნაწერების უმეტესობასთან აქვს როგორც მსგავსება, ისე განსხვავება და რთულია ერთმნიშვნელოვნად ხელნაწერთა ერთი ჯგუფის გამოყოფა, რომელთანაც სვინაქსარისეული ტექსტის შეხვედრები მეტია.

მაგალითად, სვინაქსარის იოანეს სახარების საკითხავში, რომელიც 1-15 მუხლებს მოიცავს, ადრეული (ჯრუჭი, პარხალი, ანბანდიდი...) სახარებებისგან განსხვავებით შემონახულია მეოთხე მუხლი, რომელიც ჩვენს ხელთ არსებული წინარეათონური რედაქციის მხოლოდ ერთ ხელნაწერსა და გიორგი მთაწმიდელის რედაქციის ხელნაწერებში გვხვდება:

იოანე 5: 1-5

Synax. „მას ჟამსა შინა აღვიდა იესუ იზრუსალემდ. და არს იზრუსალემს ცხოვართა საბანელსა მას ტბაჲ, რომელსა ჰრქჳან ებრაელებრ ბითეზ, და ხუთი სტოვაჲ იყო. ამას შინა ისხა სიმრავლჳ სნეულთაჲ: ბრმეები, მკელობელები, განწმელები, რომელნი მოელიედ წყლისა მის ამრლუევასა, **რამეთუ ანგელოზი წლითი წლად გარდამოვიდოდა ტბასა მას და ამრლუევდა წყალსა და რომელ იგი პირველად შთავიდის შემდგომად ამრლუევისა მის წყლისა, განიკურნის, რომლითაცა შეპყრობილ არს სნეულებითა.** ხოლო იყო ვინმე კაცი მუნ, რომელსა ოცდაათვრამეტი წელი დაეყო უძღურებასა შინა.

Preath. აღვიდა იესუ იერუსალჳმდ. და არს იერუსალჳმს ცხოვართა საბანელსა მას ტბაჲ, რომელსა ჰრქჳან ებრაელებრ ბეთეზდა; ხუთ სტოვა იყო. და მას შინა ისხა სიმრავლჳ უძღურთაჲ: ბრმეები, მკელობელები, განწმელები, რომელნი ელიედ წყლისა მის აღძრვასა. იყო ვინმე მუნ კაცი, რომელსა ოცდაათვრამეტი წელი დაეყო უძღურებასა შინა. DEFAA^d

ცხოვართა F; ჰრქჳან F; ბეთელებდა D; ბეთელ და E; ბეთის და A; ტიბითეს და F; ამას A; იყოფოდა AF; აღძვასა E.

Preath. აღვიდა იესუ იერუსალჳმდ. და არს იერუსალჳმს ცხოვართა საბანელსა მას ტბაჲ, რომელსა ჰრქჳან ებრაელებრ ბეთესდა; ხუთ სტოვა იყო. ამას შინა იყოფოდა სიმრავლჳ უძღურთაჲ: ბრმეები, მკელობრები, განწმელები, რომელნი ელიედ წყლისა მის აღმრლუევასა. **რამეთუ ანგელოზი წლითი წლად გარდამოწდის საბანელსა მას და შეძრის წყალი იგი და რომელ უწინარეს შთავიდის წყლისა მის ამრლუევასა, განიკურნის ყოველთაგან უძღურებათა.** იყო ვინმე მუნ კაცი, რომელსა ოცდაათვრამეტი წელი დაეყო უძღურებასა შინა. G

სვინაქსარისეულ სახარებათა წაკითხვები ყველაზე ნაკლებად ადიშის ოთხთავის ტექსტთან მიდის, თუმცა ზოგჯერ გარკვეული სახის შეხვედრები ტექსტებს შორის მაინც გვხვდება და ამ დამთხვევებით სვინაქსარისეული და ადიშის ტექსტები უპირისპირდებიან ყველა სხვა ხელნაწერის წაკითხვას, მაგალითად:

მათე 8:9

Synax. და ვჰრქჳა მას: წარვედ! და წარვიდის; და სხუასა: მოვედ! და მოვიდის; და მონასა ჩემსა: **ყავ** ესე! და ყვის.

ადიში. და ამას ჰრქჳ: წარვედ! და წარვიდის; და სხუასა: მოვედ! და მოვიდის; და მონასა ჩემსა უბრძანი: **ყავ** ესე! და ყვის.

Preath. და ვჰრქჳ ამას: წარვედ! და წარვიდის; და სხუასა: მოვედ! და მოვიდის; და მონასა ჩემსა: **ქმენ** ესე! და ქმნის.

მას D

ლუკა 2:41

Synax. და აღმოვიდიან **მშობელნი** მისნი წლითი-წლად იერუსალმდ დღესასწაულსა მას პასექისასა.

ადიში. და აღმოვიდიან **მშობელნი** მისნი წლითი-წლად იერუსალმდ დღესასწაულსა მას ზატიკისასა.

Preath. და აღმოვიდიან **მამა და დედა** მისი წლითი-წლად იერუსალმდ დღესასწაულსა მას პასექისასა, რომელ არს ვნებაჲ. DE

Preath. და აღმოვიდიან **მამა-დედანი** მისნი წლითი-წლად იერუსალმდ დღესასწაულსა მას პასექისასა, რომელ არს ვნებაჲ. FGA

პასექსა A

Athon. და აღმოვიდიან **მამა-დედანი** მისნი წლითი-წლად იერუსალმდ დღესასწაულსა მას პასექისასა. HIK

ლუკა 24:12

Synax. **მას ჟამსა შინა** პეტრე აღდგა და მირბიოდა საფლავად და **შთახედნა** და იხილნა ტილონი იგი მდებარენი...

ადიში. ხოლო პეტრე აღდგა, მირბიოდა სამარესა მას და **შთახედნა** და იხილნა მჩუარნი იგი ხოლო, რომელ ისხნეს...

Preath. ხოლო პეტრე აღდგა, მირბიოდა საფლავად მას და **შთაჰხედა საფლავსა მას** და იხილნა ტილონი იგი ხოლო მდებარენი...

+და G; და – E; შთახედა E; შთახედა AG; შთახედნა F; საფლავსა მას – EAF.

იოვანე 5:3

Synax. ამას შინა ისხა სიმრავლჳ **სნეულთა** (უძღურთაჲ Com.DEFGLHIK).

ადიში. რომელსა დავრდომილი ისხა სიმრავლ ფრიად **სნეულთა**...

Preath. და მას შინა ისხა სიმრავლჳ **უძღურთა**...

და – FG; სიმრავლე D; იყოფვოდა GA

Athon. ამას შინა ისხა სიმრავლჳ **უძღურთა**...

მიუხედავად ამ ტიპის მსგავსებისა, განსხვავება სვინაქსარისა და ადიშის ტექსტებს შორის მნიშვნელოვანია და ის ლექსიკის დონეზეც ნათელია (პასექისასა [ზატიკისასა; საფლავად [სამარესა; ტილონი] მჩუარნი, მდებარენი] რომელნი ისხნეს და სხვ.)

შესადარებელ ტექსტებში დასტურდება შემთხვევები, როდესაც სვინაქსარის ნაკითხვა ემთხვევა გიორგის რედაქციას და განსხვავდება სხვებისაგან (მაგ.: მათე 11:28 მამურალნი და ტკრთმძიმჳნი] რომელთა ტკრთ მძიმე გეტკრთა DE; FG; **იოანე 6:24** და მოვიდეს კაპერნაუმდ] კაფარნაუმდ DE; FG;A).

უმეტესად კი, როგორც მოსალოდნელიც იყო, საკითხავთა ტექსტები ძველი, ათონელებამდელი, რედაქციისაკენ იხრება და უპირისპირდება ათონურ რედაქციას, მაგ.:

მათე 26:59

Synax. ხოლო **მღდელთმოდღუარნი იგი და ყოველი კრებული** ეძიებდეს ცრუმონამეთა იესუსთვს, რათამცა მოკლეს იგი, და არა ჰპოვებდეს. მრავალნი მოსრულ იყვნეს ცრუმონამენი.

Preath. ხოლო **მღდელთმოდღუარნი იგი და ყოველი კრებული** ერისაჲ ეძიებდეს ცრუმონამეთა იესუსთვს, რათამცა მოკლეს იგი. და არა ჰპოვებდეს რამეთუ მრავალნი მოსრულ იყვნეს ცრუმონამენი.
ერისაჲ-FG; ჰპოვებდეს E

Athon. **ხოლო მღდელთმოდღუარნი იგი და ყოველი კრებული და მოხუცებულნი** ეძიებდეს ცრუმონამეთა იესუსთვს, რათამცა მოკლეს იგი, და არა ჰპოვებდეს. და მრავალნი მოსრულ იყვნეს ცრუმონამენი, **და არა პოვნეს.**

მათე 26:65

Synax. მაშინ მღდელთმოდღუარმან მან დაიპო სამოსელი თვისი **და თქუა: გმობს**, რაჲსალა გვკმან მონამენი? აჰა ესერა გესმა გმობაჲ მაგისი.

Preath. მაშინ მღდელთმოდღუარმან მან დაიპო სამოსელი თვისი **და თქუა: ჰგმობს** (-FG) რაჲსალა გვკმან მონამენი? აჰა ესერა გესმა გმობაჲ მაგისი.

სამუსელი F; ჰგმობს-FG; გუესმაF.

Athon. მაშინ მღდელთმოდღუარმან მან დაიპო სამოსელი თვისი და თქუა **ვითარმედ: გმო, ან უკუე** რაჲსალა გვკმან მონამენი? აჰა ესერა გესმა გმობაჲ მაგისი.

სახარებათა ტექსტების საკითხავებსა და კომენტარებში დაცულ ოთხთავისეულ ექსცერპტებს შორის განსხვავება შეიძლება აიხსნას იმით, რომ იოანე ოქროპირის მათესა და იოანეს სახარებების კომენტარების თარგმნისას ექვთიმე მთანმიდელი სახარების ტექსტს კი არ მიმართავდა, არამედ ადგილზევე თარგმნიდა მის ხელთ არსებულ იოანე ოქროპირისეულ ტექსტში მოტანილ ციტატას. ამის ირიბ დასტურად შეიძლება გამოგვადგეს ისევ მცირე სვინაქსარის ჩვენება: როდესაც ერთი და იგივე საკითხავი სვინაქსარის განმავლობაში რამდენჯერმე იკითხება, ექვთიმე მთანმიდელს მხოლოდ ერთხელ მოაქვს საკითხავის ტექსტი სრული სახით, სხვა შემთხვევებში კი მხოლოდ დასაწყისის მითითებით შემოიფარგლება. სამწუხაროდ, ასეთი მაგალითების მოტანა ოთხთავების შემთხვევაში არ შეგვიძლია, რადგან ხელნაწერს ტექსტი სწორედ ასეთი მითითებების დროს აკლია, სამაგიეროდ, შემორჩენილია მაგალითი პავლეს ეპისტოლედან: ორ სექტემბერს, მწუხრზე იკითხება პავლეს ეპისტოლე ებრაელთა მიმართ: ებრ. 7:26-8:2; ამ დღეს საკითხავის ტექსტი სრული სახით არის წარმოდგენილი, ტექსტი შემდეგნაირად იწყება: „შე-ვე-ესევითარი-ჰგვანდა ჩუენდა მღდელთმოდღუარი წმიდაჲ, უმანკოჲ, შეუგინებელი...“ იგივე ნაწყვეტი პავლეს ეპისტოლედან იკითხებოდა კიდევ რამდენიმე დღეს: 13 ნოემბერს, 20 დეკემბერსა და 6 აპრილს, მაგრამ ამ დღეებზე მოტანილია მხოლოდ საკითხავის დასაწყისი და მითითებულია, რომ სრული ტექსტის ნახვა 2 სექტემბერს არის შესაძლებელი. 13 ნოემბერი: „საკითხავი პავლე ებრაელთაჲ: **„ძმანო, ესევითარი შეგვანდა“**; 20 დეკემბერი: „საკითხავი პავლე ებრაელთაჲ: **„შე-ვე-ესევითარი-გვანდა**: ვიდრე „უფალმან და არა კაცმან.“ და 6 აპრილი: „საკითხავი პავლეს ებრაელთაჲ: **„შე-ვე-ესევითარი-ჰგვანდა“**“.

როგორც ვხედავთ, სამი მითითებიდან, მხოლოდ ორი ემთხვევა საკითხავის გაშლილ ტექსტს, მესამე ვარიანტში კი დამატებულია მიმართვა და არა გვაქვს ტმესი, რაც იმით შეიძლება აიხსნას, რომ ექვთიმე მთანმიდელმა ბერძნულად მოტანილი ექსცერპტი კი არ შეადარა სახარების მისივე შესწორებულ ვერსიას, არამედ ადგილზევე თარგმნა.

ამრიგად, სახარებისეული საკითხავების ტექსტებზე მუშაობისას ექვთიმე მთანმიდელი ეყრდნობოდა ოთხთავის არსებულ თარგმანებს და ასწორებდა ტექსტს, სავარაუდოდ, სახარებათა ბერ-

ძნულ ხელნაწერთან დაახლოების მიზნით. ამიტომ სვინაქსარის განსხვავებული იკითხვისების ნაწილი ემთხვევა სახარებათა სხვადასხვა ბერძნულ ხელნაწერთა ჩვენებებს, რადგან დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სვინაქსარის ბერძნულ ტექსტში სახარებები გახსნილი სახით წარმოდგენილი არ ყოფილა.

ახალი აღთქმის საკითხავები მცირე სვინაქსარში

მცირე სვინაქსარში გახსნილი სახით წარმოდგენილი ახალი აღთქმის საკითხავები შევადარეთ პავლეს ეპისტოლეთა და კათოლიკე ეპისტოლეთა ყველა, ჩვენამდე მოღწეულ რედაქციას,¹ ასევე „საქმე მოციქულთას“ ძველ ქართულ თარგმანებს იმისათვის, რომ გვეჩვენებინა, რა ტიპის მსგავსება-განსხვავებები იქნებოდა ტექსტებში და განგვესაზღვრა, მიჰყვებოდა თუ არა ექვთიმე მთანმიდელი რომელიმე კონკრეტულ რედაქციას ახალი აღთქმის ციტირებისას და რამდენად ერეოდა ის ტექსტში.² ბერძნული ტექსტისათვის გავითვალისწინეთ სვონსონის მიერ გამოცემული კრიტიკული ტექსტები.³ შედარებისას ყურადღებას არ ვაქცევთ ორთოგრაფიულ განსხვავებებს, რადგან, შესაძლოა, ისინი გადამწერის თავისებურებას წარმოადგენდეს; საკითხავის ფორმა კი განაპირობებს საკითხავთა განსხვავებულად დანყებას (როგორც წესი, საკითხავები მიმართვით იწყება: *ძმანო, სასუფეველი შეუძრავი...; ძმანო, ეკრძაღენით...* და ა.შ.).

ტექსტების შედარებამ გვიჩვენა, რომ ზოგჯერ ახალი აღთქმის ციტირებისას მცირე სვინაქსარში დაცული ტექსტი განსხვავდება ყველა შემორჩენილი რედაქციისაგან, ეს განსხვავებები შემდეგნაირად ჯგუფდება:

განსხვავებული ლექსიკა:

თითოეულსა] კაცად-კაცადსა (IIკორ.9:7) ἕκαστος

ოდეს] რაჟამს (კოლ. 3:4)

სამძალი] საგზალი (რომ. 6:23) ὁψώνια

შემწუველ] განმლეველ (ებრ. 12:29) καταναλίσκων

ცხორებითა] მაცხოვარებითა (რომ. 5:10) ζῶν

სარჩელსა] ორგულებასა (იაკობი 5:12) ὑπὸ κρίσιν

ჴელოვნებითა] ხუროებით (საქმე 17:29) ბერძნ. τέχνη

ჯერ არს] სათნო არს (საქმე 6:2)

კეთილისყოფაჲ] ქველისმოქმედებაჲ (საქმე 14:17) ἀγαθοποιῶν

მალღითა] დიდითა (საქმე 16:26) μεγάλῃ

ძრწოლამან შეიპყრა] ძრწოლაჲ შეეღვა (საქმე 16:29) ἔντρομος γένόμενος

¹ მათ შორის გიორგი მთანმიდელისა და ევრემ მცირის რედაქციებსაც, რათა გვენახა, ტექსტის სწორების შემთხვევაში დაემთხვეოდა თუ არა სვინაქსარისეული ვერსია გვიანდელ რედაქციათა ჩვენებას.

² შედარებისას გამოვიყენეთ ის ლიტერები, რომლებიც გამოყენებულია შემდეგ გამოცემებში: *პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები*, გამოსაცემად მოამზადეს ქეთევან ძონენიძემ და კორნელი დანელიამ, აკაკი შანიძის რედაქციით, თბილისი, 1974; *კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები X-XIV საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით*, გამოსცა ქეთევან ლორთქიფანიძემ, აკაკი შანიძის რედაქციით, თბილისი, 1956; *საქმე მოციქულთა*, ძველი ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ, აკაკი შანიძის რედაქციით, თბილისი, 1950.

³ *New Testament, Greek Manuscripts, variant readings arranged in horizontal lines against Codex Vaticanus, The Acts of the Apostles*, edited by R. J. Swanson; *New Testament, Greek Manuscripts, variant readings arranged in horizontal lines against Codex Vaticanus, Galatians*, edited by R. J. Swanson; *New Testament, Greek Manuscripts, variant readings arranged in horizontal lines against Codex Vaticanus, Romans*, edited by R. J. Swanson; *New Testament, Greek Manuscripts, variant readings arranged in horizontal lines against Codex Vaticanus, 1 Corinthians*, edited by R. J. Swanson; ასევე იხ. <https://en.katabiblon.com/us/index.php?text=GNT>

პირველი ქალაქისაჲ] მთავარისა მის ქალაქისაჲ (საქმე 14:13) შდრ. πρὸ τῆς ἱερῆς τοῦ Διὸς τοῦ ὄντος πρὸ τῆς πόλεως
სნეულ... იყო] უძღურ ... იყო (იაკობი 5:14) ἄσθενεῖ

განსხვავებულია ზმნის ფორმა:

განმართლებულ არს] განმართლებულ ვართ (რომ. 5:1)
მოცემულ არს] მიცემულ არს (I კორ. 12:7)
თუ ვინმე იყოს] თუ ვინმე არს (იაკობი 5:14)
ერმან მან იხილეს] ერმან მან იხილა (საქმე 14:11)

განსხვავებულია ბრუნვის ფორმა:

ან წარუდგინენით ასონი ... სიმართლესა **სინმიდით**] ან წარუდგინენით ასონი ... სიმართლესა **სინმიდედ** ABCD. (რომ. 6:18-23)

ტექსტს სხვა რედაქციებთან მიმართებაში აკლია ფრაზა ან სიტყვა:

1) ხოლო კეთილისათვის ვინ-მე იკადრის სიკუდილი] ხოლო კეთილისათვის **ვინ უწყის, ნუუკუე იკადრისცა ვინმე სიკუდილი** ABCD (რომ. 5:7)

ნუუკუე-AB; იკადრის AB

შდრ. ὑπὲρ γὰρ τοῦ ἀγαθοῦ τάχα τις καὶ τολμᾷ ἀποθανεῖν.

2) მოაწესენებდ მათ მთავრობათა და ჳელმნიფებათა დამორჩილებად] მოაწესენებდ მათ მთავრობათა და ჳელმნიფებათა დამორჩილებად **და სარწმუნო ყოფად** (ტიტე 3:1)

შდრ. Ὑπομίμησε αὐτοὺς ἀρχαῖς ἐξουσίαις **ὑποτάσσεσθαι, πειθαρχεῖν**

3) უბრძანეს ძმათა მონაფეთა მათ შეწყნარებაჲ მისი] უბრძანეს ძმათა მონაფეთა მათ შეწყნარებაჲ მისი, **რომელი მივიდა** (საქმე 18: 27)

შდრ. τοῖς μαθηταῖς ἀποδῆξασθαι αὐτόν· ὃς παραγενόμενος

4) სავსე სულითა წმიდითა] სავსე სულითა წმიდითა **და სარწმუნოებითა** (საქმე 11:24)

შდრ. καὶ πλήρης Πνεύματος Ἁγίου καὶ πίστεως. (ყველა ბერძნულ ხელნაწერი)¹

განსხვავებულია წინადადებაში ნევრთა თანმიმდევრობა:

ვინმე იკადრის] იკადრის ვინმე AB] იკადრისცა ვინმე CD (რომ. 5:7)

შდრ. τις καὶ τολμᾷ

გამოცხადნეთ მის თანა] მის თანა გამოცხადნეთ (კოლას. 3:4)

შდრ. ἵμεῖς σὺν αὐτῷ φανερωθήσεσθε

უფროეს განმართლებულ ვართ ან] უფროეს **ან** განმართლებულ ვართ ABCD (რომ. 5:9)

შდრ. πολλοὶ οὖν μάλλον δικαιοθύντες ἢ

ქრისტე იესუესი] იესუ ქრისტესი (ტიტე 1:1)

მოაქციოს იგი ვინმე] ვინმე მომაქციოს იგი (იაკობი 5:19)

შდრ. ἐπιστρέψη τις αὐτόν

¹ New Testament, *The Acts of the Apostles*, p. 196.

ცვლის ან აკლებს მსაზღვრელ ნაწევარს:

გამოცხადება *ესე*] გამოცხადება *იგი* ABCD (I კორ. 12:7)
რამეთუ *სიყუარული იგი* ღმრთისაჲ] რამეთუ *სიყუარული* ღმრთისაჲ (რომ. 5:5)
მიუთხრეს მას *გზა* უფლისაჲ] *უთხრეს* მას *გზა იგი* უფლისაჲ (საქ.18:26)

ახალი აღთქმის საკითხავების ძველ და ათონურ ვერსიებთან მიმართებით, მცირე სვინაქსარი თითქმის თანაბარი რაოდენობის განსხვავებას გვაძლევს, მაგალითად: მცირე სვინაქსარში პავლეს ეპისტოლეთა შემორჩენილი ფრაგმენტები 43 განსხვავებულ ნაკითხვას გვაძლევს ეპისტოლეთა ძველ ვერსიებთან მიმართებით და 39-ს კი ახალ ვერსიებთან მიმართებით. განსხვავებები ოთხივე ვერსიასთან ერთნაირია:

განსხვავებულია ზმნის ფორმა:

მშკდობა *გუაქუს*] მშკდობა *მაქუს* AB (რომ. 5:1)
გუყუარობენ] *მყუარობენ* AB (ტიტე 3:15)
რომელი *სთესვიდეს* *კურთხევით*] რომელმან *სთესოს* *კურთხევით* (CD) (2 კორ. 9:6)

განსხვავებულია ლექსიკა:

შერაცხილ *ვიყავ*] *გულისხმა-ვჰყოფდ* AB (I კორ.13:11)
შდრ. Ὁτε ἦμιον ὑπίου, ἄς ὑπίου *ἐλάλιον*
შესხმითა *სულიერითა*] *ქებითა* *სულიერითა* AB (ეფეს 5:19)
შდრ. ἄδαις *πνευματικαῖς*
ჰგმობენ] *ჰმონებდ* CD (ტიტე 3:2) შდრ. βλασφημεῖν
კრულებისა *მისგან*] *მონებისაგან* CD (რომ. 8:21) შდრ. τῆς δουλείας

შეცვლილია წინადადების ნევრთა წყობა და ფორმები:

მოავლინა ღმერთმან ძმ თჳსი, *შობილი დედაკაცისაგან*] მოავლინა ღმერთმან ძმ თჳსი, რომელი *მოვიდა და იშვა დედაკაცისაგან* AB (გალატ. 4:4)
შდრ. ἐξαιέσσειεν ὁ θεὸς τὸν υἱὸν αὐτοῦ, *γενόμενον ἐκ γυναικὸς*
დამონებულ ხართ] *მონა ყოფილ ხართ* AB (რომ. 6:18)
მტერ რაჲ ვიყვენით] *ვიდრე-იგი მტერლა ვიყვენით* AB (რომ. 5:10)
მოიწსენენით *კრულნი* იგი, ვითარცა მათ თანავე *კრულცა ხართ*] მოიწსენენით *კრულებანი* იგი, ვითარცა მათ თანავე *კრულთა* CD (ებრ.13:3)
შდრ. Μιμνήσθεσθε τῶν *θεσμίων, ἃς συνδέμενοι...*

შეცვლილია ან აკლია ნაწევარი:

ასონი *ეგე*] ასონი (რომ. 6:19) AB
ყოველთა მორჩილთა] *ყოველთა მათ* მორჩილთა AB (ებრ. 5:9)
ნაყოფი *იგი*] *ნაყოფი* CD (ეფეს. 5:8)
შემძლებელისა მიმართ] შემძლებელისა *მის* მიმართ CD (ებრ. 5:7)
აღსასრული იგი ჟამთაჲ] *აღსასრული ჟამთაჲ* CD (გალატ. 4:4)

ტექსტს სხვა რედაქციებთან შედარებით მეტი ლექსიკური ერთეული აქვს:

ეკრძალებოდეთ უკუე კეთილად] ეკრძალებოდეთ უკუე CD (ეფეს. 5:15).

შდრ. Βλέπετε οὐκ ἄκριβῶς

შემოდგომილ ხარ ჩემსა მოძღურებასა, **ნესიერებასა**, გულსმოდგინებასა, სარწმუნოვებასა, სულგრძელებასა, სიყუარულსა, მოთმინებასა] შემოდგომილ ხარ ჩემსა მოძღურებასა, გულსმოდგინებასა, სარწმუნოვებასა, სულგრძელებასა, სიყუარულსა, მოთმინებასა CD (II ტიმ. 3: 10).

შდრ. Σὺ δὲ παρηκολοῦσθηκός μου τῆ δόξα καὶ τῆ ἀγαθῆ, τῆ πιστεῖ, τῆ μακροθυμίᾳ, τῆ ἀγάπῃ, τῆ ὑπομονῇ

ზოგჯერ სვინაქსარის ტექსტი ძველი და ახალი რედაქციების კონტამინაციას გვაძლევს:

თითოეულსა კაცად-კაცადსა მიცემულ არს გამოცხადებაჲ ესე სულისაჲ უმჯობესისათჳს] **კაცად-კაცადსა** მიცემულ არს გამოცხადებაჲ ესე-იგი სულისაჲ უმჯობესისათჳს AB] **თითოეულსა ჩუენსა** მიცემულ არს გამოცხადებაჲ ესე-იგი სულისაჲ უმჯობესისათჳს CD (I კორ. 12:7).

ოთხთავის საკითხავების მსგავსად, ახალი აღთქმის სხვა წიგნებთან მიმართებითაც გვხვდება ისეთი მაგალითები, როდესაც ექვთიმე მთანმიდელი ერთ საკითხავში ექსცერპტებს აერთიანებს რამდენიმე თავიდან. მაგალითად, 25 აგვისტოს დადებული საკითხავი ტიტეს მიმართ ეპისტოლედან, რომელიც მცირე სვინაქსარში მოიცავს 1:1, 4-5; 3: 1-2, 12-13, 15. ვფიქრობთ, ასეთი კომპილაციის ახსნა ადვილი იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ დღეს გიორგი მთანმიდელის სვინაქსარის მიხედვით იკითხება ტიტეს მიმართ ეპისტოლეს სამივე თავი, ამდენად, ექვთიმე მთანმიდელმა მოიტანა ექსცერპტები სამივე თავიდან, რითაც აჩვენა საკითხავის მოცულობა, მაგრამ საკითხავი მთლიანად არ დაურთო. ეს კიდევ ერთხელ ნათლად გვიჩვენებს ექვთიმეს მუშაობის პროცესს.

მოტანილ მაგალითებზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ექვთიმე მთანმიდელი ახალი აღთქმის ციტირებისას სარგებლობდა უკვე არსებული თარგმანებით, რომლებშიც გარკვეული კორექტივები შეჰქონდა. ვფიქრობთ, კორექტირებისას ექვთიმე იყენებდა მის ხელთ არსებულ ახალი აღთქმის ბერძნულ ხელნაწერთა ჩვენებებს, ამატებდა, აზუსტებდა ტექსტს, აახლოვებდა ქართულ ლექსემას ბერძნულის შინაარსთან და სხვ. სწორედ ამიტომაც, რომ სწორებათა ნაწილი გვიანდელ, გიორგი მთანმიდლისეულ იკითხვისებს დაემთხვა, ნაწილი კი არსებულ ქართულ თარგმანებში არ იძებნება.

მცირე ზომის საგალობლები

მცირე სვინაქსარში

ექვთიმე მთაწმიდელის სვინაქსარში მცირე ზომის საგალობლებიდან გვხვდება ოხითები და გამოავლინებები.

„ოხითა“ – საგალობლის ეს სახეობა ჯერ კიდევ ლექციონარში დასტურდება, ის ჟამისწირვაზე იგალობება და ზუსტად ის მნიშვნელობა აქვს, რომელიც საგალობლის ქართულ დასახელებაშიც არის მითითებული – თხოვნა-ვედრება. იმ ვითარებაში, როდესაც განგების ნაწილი მცირე სვინაქსარში ძალიან მოკლეა (არ არის კარგად დიფერენცირებული წინა დღის მწუხრის, ცისკრისა და ჟამისწირვების განგებები),¹ ოხითები, ძირითადად, ჟამისწირვაზე (მითითებით „სამხრად“) და ლიტანიისად გვხვდება.

ამ ტროპარებისა და გიორგი მთაწმიდელის „დიდ სვინაქსარში“ დაცულ ოხითათა ტექსტების შედარებამ გვიჩვენა, რომ ორივე სვინაქსარის ტექსტები დიდ მსგავსებას ავლენს ერთმანეთთან და რომ არა მცირე განსხვავებები, ერთ თარგმანადაც კი შეიძლებოდა ჩაგვეთვალა.

რამდენად მსგავსია ექვთიმესა და გიორგის სვინაქსარებში დაცული ოხითები, ნათლად ჩანს 8 სექტემბერს, ღვთისმშობლის შობაზე დადებული ტროპარის ტექსტების შედარებიდან ძველ ჰიმნოგრაფიულ კრებულში – იადგარში ამავე დღეს დადებული ოხითისაგან, აქვე მოგვაქვს პარალელური მასალა თვენის პირველი რედაქციის ხელნაწერიდანაც:²

მცირე სვინაქსარი	თვენის პირველი რედაქცია	დიდი სვინაქსარი
შობამან შენმან, ღმრთისმშობელო ქალწულო, სიხარული აუწყა ყოველსა სოფელსა, რამეთუ შენგან აღმობრწყინდა მზღ სიმართლისაჲ ქრისტე ღმერთი ჩუენი და დაჰჴსნა წყევაჲ და მომმადლა ჩუენ კურთხევაჲ და განაქარვა სიკუდილი...[4v]	შობამან შენმან, ღმრთისმშობელო ქალწულო, სიხარული აუწყა ყოველსა სოფელსა, რამეთუ შენგან აღმობრწყინდა მზღ სიმართლისაჲ ქრისტე ღმერთი ჩუენი და დაჰჴსნა წყევაჲ და მოგუმადლა ჩუენ კურთხევაჲ და განაქარვა სიკუდილი და მოგუანიჭა ჩუენ ცხორებაჲ საუკუნოჲ (Jer.geo71, 8v)	შობამან შენმან, ღმრთისმშობელო ქალწულო, სიხარული აუწყა ყოველსა სოფელსა, რამეთუ შენგან აღმობრწყინდა მზღ სიმართლისაჲ ქრისტე ღმერთი ჩუენი, დაჰჴსნა წყევაჲ და მოგუმადლა ჩუენ კურთხევაჲ და განაქარვა სიკუდილი და მოგუანიჭა ჩუენ ცხორებაჲ საუკუნოჲ . ³
უძველესი იადგარი: შენი შობაჲ, ღმრთისმშობელო სიხარულად მიესმა ყოველსა დაბადებულსა. შენგან რაჲ გამობრწყინდა მზეჲ სიმართლისაჲ, დაჴსნა წყევაჲ და მოგუმადლა კურთხევაჲ, დათრგუნა სიკუდილი და მოგუანიჭა ჩუენ ცხორებაჲ საუკუნოჲ. ⁴		

როგორც ვხედავთ, იადგარში წარმოდგენილი ოხითის ტექსტი სულ სხვა თარგმანს წარმოადგენს,

¹ ლ. ხევსურიანი, მცირე სვინაქსარი, გვ. 34.
² თვენის პირველი რედაქციისათვის იხ. ლ. ჯღამაია, ჰიმნოგრაფია, გვ. 197-198.
³ გიორგი მთაწმიდელი, დიდი სვინაქსარი, გვ. 10.
⁴ უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანიკივმა და ლ.ხევსურიანმა, თბილისი, 1980, გვ. 286.

თუ არ ჩავთვლით ერთ ზმნურ ფორმას, სვინაქსართა ტექსტები იდენტურია, სამწუხაროდ, ექვთიმესელი სვინაქსარი ნაკლულია და არ ვიცით, იყო თუ არა მასში დიდ სვინაქსარში დაცული ბოლო წინადადება. საინტერესოა ისიც, რომ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ოხითის ტექსტი თვენის პირველი რედაქციის ხელნაწერშიც (Jer.geo71-XI-XII სს.)¹ ემთხვევა ექვთიმესა და გიორგის თარგმანებს და ისეთივე ვარიანტულ განსხვავებას გვაძლევს მცირე სვინაქსარის ტექსტთან, როგორცაა დიდ სვინაქსარში დაცული ტროპარი.

კიდევ ერთი მაგალითი, ლაზარეს აღდგომის ხსენების ოხითა, რომელსაც ყურადღება მიაქცია ლილი ხევსურიანი თავის გამოკვლევაში და რომელიც დასტურდება, როგორც უძველეს იადგარში, ასევე იერუსალიმურ ლექციონარშიც:²

მცირე სვინაქსარი	დიდი სვინაქსარი
ყოველთა აღდგომასა პირველ შენისა ვნებისა მოასწავებდი. ამისთვის მეგობარი შენი ლაზარე მკუდრეთით აღადგინე, რომლისათვის ჩუენცა, ვითარცა შვილნი ებრაელთანი, შევსწირავთ ძლევისა გალობასა შენდა, რომელმან დასთრგუნე სიკუდილი. ოსანა, მაღალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა. [34r]	ყოველთა აღდგომასა პირველ შენისა ვნებისა მოასწავებდი. ამისთვის მეგობარი შენი ლაზარე მკუდრეთით აღადგინე, რომლისათვის ჩუენცა, ვითარცა შვილნი ებრაელთანი, შევსწირავთ ძლევისა გალობასა შენდა, რომელმან დასთრგუნე სიკუდილი. ოსანა, მაღალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა. ³
უძველესი იადგარი: ყოველთა აღდგომაჲ წინა ვნებისა შენისაჲ გურნმენა, მკუდრეთით რაჲ აღადგინე ლაზარე, ქრისტე ღმერთო რომლისათუის ჩუენცა, ვითარცა ყრმანი, ძლევისა გალობასა შენდა შევსწირავთ, შენ მძლეს სიკუდილისასა გილადადებთ: ჰ სანა მაღალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა. ⁴	

სვინაქსარებში წარმოდგენილი ოხითების ტექსტი იდენტურია

13 ნოემბერი, იოანე ოქროპირის ხსენების დღე:

მცირე სვინაქსარი	თვენის პირველი რედაქცია	დიდი სვინაქსარი
„პირისა შენისა მაღლი, ვითარცა ოქროჲ, გამობრწყინდა და სოფელი განანათლა, უპოვარებისა საუნჯენი სოფელსა შინა განამრავლნა, სიმრთელე სიმდაბლისაჲ გვჩუენა ჩუენ, არამედ ვითარცა-იგი სიტყვთა შენითა განგუსწავლენ, ეგრეთვე სიტყუასა ქრისტესა ღმერთსა ევედრე, მამაო ოქროპირო, რაჲთა აცხოვნეს სულნი ჩუენნი.“ [16r]	პირისა შენისა მაღლი, ვითარცა ოქროჲ, გამობრწყინდა და სოფელი განანათლა, უპოვარებისა საუნჯენი სოფელსა შინა განამრავლნა, სიმრთელე სიმდაბლისაჲ გვჩუენე ჩუენ, არამედ ვითარცა-იგი სიტყვთა შენითა განგუსწავლენ, ეგრეთვე სახიერსა ღმერთსა ევედრე , მამაო ოქროპირო, რაჲთა აცხოვნეს სულნი ჩუენნი.“ (Jer.geo71-103v)	„პირისა შენისა მაღლი, ვითარცა ოქროჲ, გამობრწყინდა და სოფელი განანათლა, უპოვარებისა საუნჯენი სოფელსა შინა განამრავლნა, სიმრთელე სიმდაბლისაჲ გვჩუენა ჩუენ, არამედ ვითარცა-იგი სიტყვთა შენითა განგუსწავლენ, ეგრეთვე სიტყუასა ქრისტესა ღმერთსა ევედრე, მამაო ოქროპირო, რაჲთა აცხოვნეს სულნი ჩუენნი.“ ⁵

მინიმალურია განსხვავება ჰეროდეს მიერ ბეთლემში დახოცილი ჩვილების ხსენების დღეზე, 29

¹ R. Blake, *Catalogue des Manuscrits Géorgiennes de la bibliothèque patriarcale Greque a Jérusalem*, p. 256.

² ლილი ხევსურიანი, მარხვანის ქართული რედაქცია XI ს., გვ. 48.

³ გიორგი მთაწმიდელი, *დიდი სვინაქსარი*, გვ. 345.

⁴ *უძველესი იადგარი*, გვ. 175.

⁵ გიორგი მთაწმიდელი, *დიდი სვინაქსარი*, გვ. 68.

დეკემბერს დადებულ ტროპარებს შორის დიდსა და მცირე სვინაქსარებში და ისინი უპირისპირდებიან პატმოსის სვინაქსარისეულ ოხითის ტექსტს:

მცირე და დიდი სვინაქსარები	პატმოსის სვინაქსარი
„შობილისა მის მეუფისაგან ძრწოდა, (+და) მოგუთა შეურაცხებასა იგონებდა ჰეროდე და ჩჩვლნი სანატრელნი მოსრნა (+და), ჰგონებდა დამტკიცებასა თვისისა მეფობისასა, უმეცარ იქმნა უბადრუკი, ვითარმედ შემოქმედსა ყოველთასა ქრისტეს ვერ მძლე ექმნას, ხოლო ჩუენ ვლადებთ: „ქრისტე, ღმერთო ჩუენო, შეგვწყალენ ჩუენ!“ (ქრისტე ღმერთო, დიდებაჲ შენდა) ¹	Τὸν τεχθέντος κράτος πτοούμενος καὶ τῶν μάγων τὸ ἀγενὲς ἐνθυμούμενος ὁ Ἡρώδης τοῖς στρατιώταις ἔλεγεν Βεθλεὲμ τοῦς παῖδας ἀνέλετε ἀνταρσίας ἀναμένων περιστάσιν , ἡγγόει γὰρ τὸν ἔαουτοῦ δημοσργόν , ὅτι Χριστὸς ὁ Θεὸς ὑπάρχει ὁ ἔχων τὸ μέγα ἔλεος. ²

2 სექტემბერს, პავლე კონსტანტინეპოლელის ხსენების დღეს, მცირე სვინაქსარში წარმოდგენილია შემდეგი ოხითა:

მცირე და დიდი სვინაქსარები	პატმოსის სვინაქსარი
„სინრფოებითა შენითა, ღმერთშემოსილო, სინმიდე მოიგე და მღდელთმოდურებისა წესითა პავლეს მიემსგავსე, რამეთუ ცხოველ იყავ არაჲ თავისა შენისა, არამედ ქრისტესა და სამწყსოესა შენისა და უხრწნელისა მის ცხოვრებისა მიმართ მსგავსად მოციქულთა მიიცვალე, ქრისტესა ევედრე სულთა ჩუენთათჳს“.	Ἐν τῇ τῶν τρόπων ἀπλότῃ, ποίικιδας πολιτευσάμενο, ἱεραρχικῶ κανόνι τὸν Παῦλον ἐχαρακτήρισας καὶ ζήσας οὐχ ἔαυτῶ, ἀλλὰ Χριστῶ καὶ τῇ πόμυη σου, πρὸς τὴν ἀγῆρω ζαῆν ἀποστολικῶς μετεσκήνωσας. Πάτερ ὄσιε , πρέσβευε σωθῆναι τὰς ψυχὰς ἡμῶν. ³

იდენტური ტექსტია დაცული დიდ სვინაქსარშიც, ამ შემთხვევაში ვარიანტული სხვაობაც კი არ გვაქვს.⁴ ექვთიმესა და გიორგის სვინაქსარების ოხითის ტექსტი კი მცირედ სხვაობს იმ ტროპარისაგან, რომელიც პატმოსის სვინაქსარში არის წარმოდგენილი პავლე კონსტანტინეპოლელის ხსენების დღეზე:

26 ოქტომბერი, დიმიტრი თესალონიკელი:

მცირე სვინაქსარი	დიდი სვინაქსარი	თვენის პირველი რედაქცია
„შემწე დიდი გპოვა შენ ჭირსა შინა ქალაქმან თესალონიკე, ღუანლით შემოსილო მვედარო უფლისაო დიმიტრი, მომსრველო უღმრთოთა წარმართთაო და ჯელისამპყრობელო ქრისტეანეთაო, რომელმან-ეგე ამპარტავანებაჲ უსჯულოესა მის მძლავრისაჲ დაამჴუ და ბრძოლასა შინა ნესტორ განაძლიერე. ანცა, ღმერთ-შემოსილო, ქრისტესა ევედრე, ვითარცა გაქუს კადნიერებაჲ მონიჭებად სულთა ჩუენთა დიდი წყალობაჲ.“ [14v]	შემწე დიდი გპოვა შენ ჭირსა შინა ქალაქმან თესალონიკემან , ღუანლით შემოსილო მვედარო უფლისაო დიმიტრი, მომსრველო უღმრთოთა წარმართთაო და ჯელისამპყრობელო ქრისტეანეთაო, რომელმან-ეგე ამპარტავანებაჲ უსჯულოესა მის მძლავრისაჲ დაამჴუ და ბრძოლასა შინა ნესტორ განაძლიერე. ანცა, ღმერთ-შემოსილო, ქრისტესა ევედრე, ვითარცა გაქუს კადნიერებაჲ მონიჭებად სულთა ჩუენთათჳს დიდი წყალობაჲ.“ ⁵	„შემწე დიდი გპოვა შენ ჭირსა შინა ქალაქმან თესალონიკე , ღუანლით შემოსილო მვედარო უფლისაო დიმიტრი, მომსრველო უღმრთოთა წარმართთაო და ჯელისამპყრობელო ქრისტეანეთაო, რომელმან-იგი ამპარტავანებაჲ უსჯულოესა მის მძლავრისაჲ დაამჴუ და ბრძოლასა შინა ნესტორ განაძლიერე. ანცა, ღმერთ-შემოსილო, ქრისტესა ევედრე, ვითარცა გაქუს კადნიერებაჲ მონიჭებად სულთა ჩუენთა დიდი წყალობაჲ.“ (Jer.geo71, 79r)

პეტრეს ჯაჭვთა თაყვანისცემა (16 იანვარი):

¹ სამწუხაროდ, არ შეგვიძლია მოვიტანოთ პარალელური მასალა თვენის პირველი რედაქციიდან, რადგან ეს ნაწილი იერუსალიმურ ხელნაწერს აკლია. ხელნაწერის ფოტო იხ. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკის ოფიციალურ გვერდზე: <https://www.loc.gov>. მცირე სვინაქსარი, 23v.

² А. Дмитриевский, *Описание литургических рукописей*, გვ. 38.

³ А. Дмитриевский, *Описание литургических рукописей*, გვ. 2.

⁴ იერუსალიმურ ხელნაწერს ეს ნაწილი აკლია.

⁵ გიორგი მთაწმიდელი, *დიდი სვინაქსარი*, გვ. 53.

მცირე სვინაქსარი	დიდი სვინაქსარი	თვენის პირველი რედაქცია
„ჰრომი არაჲ დაუტევე და ჩუენდა მოინიე ჯაჭუთა მათ მიერ, რომელნი შეიმოსენ შენ, თავო მოციქულთაო, რომელთაცა თაყუანის-ვცემთ და გევედრებით: მეოხებითა შენითა მოჰფინე ჩუენ ზედა დიდი წყალობაჲ.“[28r]	„ჰრომი არაჲ დაუტევე და ჩუენდა მოინიე ჯაჭუთა მათ მიერ, რომელნი შეიმოსენ შენ, თავო მოციქულთაო, რომელთაცა თაყუანის-ვცემთ და გევედრებით: მეოხებითა შენითა მოჰფინე ჩუენ ზედა დიდი წყალობაჲ.“ ¹	„ჰრომი არაჲ დაუტევე და ჩუენდა მოინიე ჯაჭუთა მათ მიერ, რომელნი შეიმოსენ შენ, თავო მოციქულთაო, რომელთაცა თაყუანის-ვცემთ და გევედრებით: მეოხებითა შენითა მოჰფინე ჩუენ ზედა დიდი წყალობაჲ.“

საერთო ჯამში, ტექსტების შედარება გვიჩვენებს, რომ მცირე და დიდი სვინაქსარის, ასევე თვენის პირველი რედაქციის ოხითათა ტექსტები თითქმის იდენტურია და ლოგიკურად იბადება კითხვა, რომელი ტექსტი არის პირველადი – ექვთიმე მთაწმიდელის სვინაქსარის თუ თვენის პირველი რედაქციისა. თვენის პირველი რედაქციის შემდგენელი უცნობია, ხელნაწერები, რომლებმაც ბიზანტიური პრაქტიკის ამსახველი ეს ადრეული კრებული შემოგვინახეს, XI-XIII საუკუნეებით თარიღდება, თუმცა თავად კრებული X-XI საუკუნეების მიჯნაზე შექმნილად მიიჩნევა.² ექვთიმეს ცხოვრებიდან ვიცით, რომ მას უთარგმნია „დასდებელნი მარხვათანი სრულიად და მრავალთა წმიდათა გალობები“³, მაგრამ მის მიერ თვენის თარგმანის ფაქტს არცერთი ჩვენამდე მოღწეული სია მთაწმიდელის მიერ ბერძნულიდან ქართულად ნათარგმნი თხზულებებისა არ ადასტურებს.⁴ ოხითათა ამ ტიპის მსგავსება შეიძლება გამოდგეს მხოლოდ ირიბ არგუმენტად იმისა, რომ თვენის პირველი რედაქციაც ექვთიმეს სახელს უნდა დაუკავშირდეს.⁵ ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ვარაუდია, საბოლოო პასუხს კი თვენის პირველი რედაქციის დეტალური შესწავლა მოგვცემს.

ერთმანეთის მსგავსია ექვთიმესა და გიორგის სვინაქსარებში წარმოდგენილი „გამოავლინეთა“ ტექსტებიც. მაგრამ სანამ უშუალოდ ტექსტებზე გადავალთ, გვინდა აღვნიშნოთ ერთი განსხვავება მცირე და დიდ სვინაქსარებს შორის.

ზოგადად „გამოავლინები“ (ἐξαποστειλίριον), ცისკრის ეს მცირე ტროპარები, არ გვხვდება ადრეულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში,⁶ ისინი საკუთრივ ბიზანტიურ ღვთისმსახურებასთან არიან დაკავშირებულნი, „გამოავლინები“ სრულდებოდა ცხრაოდიანი გალობისა და მცირე ექტენიის შემდეგ.

ადრეულ პატმოსის სვინაქსარში „გამოავლინენი“ მხოლოდ ორჯერ გვხვდება შობის წინაღვლესა-ნაულზე 23 დეკემბერსა და საკუთრივ შობის დღესასწაულზე.⁷ შედარებით გვიანდელ სვინაქსარებში ისინი თითქმის ყველა დღის განგებაში გვხვდება ხმისა და ძლისპირების მითითებით.⁸

¹ გიორგი მთაწმიდელი, დიდი სვინაქსარი, გვ. 149.

² ლ. ჯღამაია, თვენის რედაქცია, გვ. 198.

³ გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი, გვ. 63.

⁴ ეფთჳიმეს მიერ თარგმნილი თხზულებების სია დასტურდება მისი მამის, იოანე ქართველის მიერ მათეს სახარების ექვთიმესეული თარგმანისათვის დართულ ანდერძში და გიორგი მთაწმიდელის ექვთიმეს ცხოვრებაში.

⁵ იხ. ნ. სულავა, ქართული ჰიმნოგრაფია, <http://kartvelologi.tsu.ge/public/ge/archive/13/10>.

⁶ Арранц М. Как молились Богу древние византийцы: Суточный круг богослужения по древним спискам визант. Евхология: Дис. / ЛДА. Л., 1979 (ix). <https://azbyka.ru/otechnik/books/download/17194-%D0%9A%D0%B0%D0%BA-%D0%BC%D0%BE%D0%BB%D0%B8%D0%BB%D0%B8%D1%81%D1%8C-%D0%91%D0%BE%D0%B3%D1%83-%D0%B4%D1%80%D0%B5%D0%B2%D0%BD%D0%B8%D0%B5-%D0%B2%D0%B8%D0%B7%D0%B0%D0%BD%D1%82%D0%B8%D0%B9%D1%86%D1%8B.pdf>.

⁷ А.Дмитриевский, Описание литургических рукописей, гв. 34, 36.

⁸ იქვე, გვ. 259, 260, 261 და სხვ.

პატმოსის სვინაქსარისაგან განსხვავებით, ცისკრის განგებაზე გამოავლინები მცირე სვინაქსარის შემორჩენილ სათვეო ნაწილში 18-ჯერ გვხვდება (23 სექტ., 24 სექტ., 18 ოქტ., 26 ოქტ., 13 ნოემბ.; 5 დეკ., 6 დეკ., 25 დეკ., 1 იანვ., 6 იანვ., 17 იანვ., 20 იანვ., 25 მარტ., 23 აპრ., 30 აპრ., 8 ივლ., 15 ივლ., 20 ივლ.) რაც, ჩვენი აზრით, უნდა გამორიცხავდეს პატმოსის სვინაქსართან მიმართებით „მცირე სვინაქსარის“ დედნის ადრეულობას. ამ თვალსაზრისით, ექვთიმეს სვინაქსარი შედარებით გვიანდელი, ევერგეტის სვინაქსარის¹ მსგავსი სვინაქსარების გვერდით დგება.

ნაკლულად შემონახულ მარხვან-ზატიკის ნაწილში მხოლოდ ერთი გამოავლინე („მონაფენი რაჲ გხედვიდეს“) დაავდასტურეთ ამაღლების დღესასწაულზე.

მცირე სვინაქსარში „გამოავლინეთა“ ტექსტები გვხვდება იმ წმინდანთა ხსენების დღეთა მსახურებებზე, რომლებსაც ისინი მიემართებიან. სამწუხაროდ, ხელნაწერი ნაკლულია, ამდენად არ ვიცით, ახლდა თუ არა მას დიდი სვინაქსარის მსგავსად „გამოავლინეთა“ სრული კომპლექტი, მაგრამ ეს ნაკლებად მოსალოდნელია, რადგან ამ სახით „გამოავლინეთა“ დართვა სვინაქსარისათვის გიორგი მთაწმიდლის ინიციატივა უნდა იყოს.

საინტერესოა ისიც, რომ მცირე სვინაქსარი, დიდისაგან განსხვავებით, სადაც ერთ რომელიმე დღეზე ერთი და იმავე წმინდანის რამდენიმე გამოავლინე გვხვდება, გამოავლინეს მხოლოდ ერთ ტექსტს წარმოადგენს და ის აუცილებლად ემთხვევა გიორგისთან დაცულ ამავე წმინდანისადმი მიძრვნილ ერთ-ერთ გამოავლინეს.

განსხვავებები საგალობლის ტექსტებს შორის ამ შემთხვევაშიც მინიმალურია, შესადარებლად მოგვაქვს მასალა როგორც მცირე და დიდი სვინაქსარებიდან, ასევე შიომღვიმის ტიპიკონიდან.²

23 სექტემბერი, იოანე ნათლისმცემელისა

ძლისპირი სხვანაირია „ცისა სამყაროსა ზედა“ და „რომელმან ცისა სამყაროა“.

მცირე სვინაქსარი	დიდი სვინაქსარი
„ანგელოზმან გქადაგა შენ, ქადაგი ეგე ქრისტეს მოსლვისაჲ, წინანარმეტყუელო და წინამორბედო იოვანე და შენსა მუცლადღებასა სიხარული აუნყე სოფელსა.“ [9r]	„ანგელოზმან გქადაგა შენ, ქადაგი ეგე ქრისტეს ღმრთისა მოსლვისაჲ, წინაწინარმეტყუელო და წინამორბედო იოანე და შენსა უცხოთა მუცლადღებასა სიხარული აუნყა ყოველსა სოფელსა.“ ⁵

24 სექტემბერი, თეკლა პირველმონამე

მცირე სვინაქსარი	დიდი სვინაქსარი	შიომღვიმის ტიპიკონი
„განგებითა მისითა, რომელი დედისა მის ქალწულისაგან გამობრწყინდა ღირსად, ჰ თეკლა, იწოდე პირველმონამედ დედათა შორის, ქალწულო , და მოციქულად, ვითარცა მოწაფე პავლესი, რომლისა თანა გაქებთ შენ.“ [9v]	„განგებითა მისითა, რომელი ქალწულისაგან დედისა გამობრწყინდა , იწოდე პირველმონამედ დედათა შორის და მოციქულად, ვითარცა მოწაფე პავლესი, ჰ თეკლა, ღირსო , რომლისა თანა გაქებთ შენ, მეოხ გუეყავ ჩუენ.“ გვ. 435	„განგებითა მისითა, რომელი ქალწულისაგან დედისა გამობრწყინდა , იწოდე პირველმონამედ დედათა შორის და მოციქულად, ვითარცა მოწაფე პავლესი, ჰ თეკლა, ღირსო, რომლისა თანა მეოხ გუეყავ ჩუენ .“ გვ. 146

¹ А.Дмитриевский, *Описание литургических рукописей*, გვ. 256-656.

² ტიპიკონი შიომღვიმის მონასტრისა, XIII საუკუნის ხელნაწერის ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა და ელგუჯა გიუნაშვილმა, თბილისი, 2005.

18 ოქტომბერი

მცირე სვინაქსარი	დიდი სვინაქსარი
„ქრისტე აღდგომილი კლეოპას თანა იხილე და სახარება დასწერე და საქმენი მოციქულთანი, ვითარცა პავლეს თანამავალმან [...]“ [18v]	„ქრისტე <i>ღმერთი</i> აღდგომილი კლეოპას თანა იხილე და სახარება <i>და საქმე მოციქულთა</i> დასწერენ, ვითარცა პავლეს თანამავალმან, რომლისა თანა პატივ-გცემთ შენ, ლუკა, გვთხოვე ჩუენ წყალობა.“ გვ. 436

26 ოქტომბერი, დიმიტრი თესალონიკელი

მცირე სვინაქსარი	დიდი სვინაქსარი	შიომღვიმის ტიპიკონი
„ჯუართა შეშჭურე ნესტორ და მის მიერ ლიეოხს სიმაღლე დაამჭუ, დიმიტრი ყოვლად ქებულო. ხოლო ვითარცა ქრისტემან თავს-იდევ ლახურითა განგურემაჲ, რომლისათჳს ან სამწყსოჲ შენი დაიცევ.“ [14v]	„ჯუართა შეშჭურე ნესტორ და მის მიერ ლიეოხს სიმაღლე დაამჭუ, დიმიტრი ყოვლად ქებულო. ხოლო ვითარცა ქრისტემან თავს-იდევ ლახურითა განგურემაჲ, რომლისათჳს ან სამწყსოჲ შენი დაიცევ <i>ყოვლისაგან ჭირისა და ურვისა, ვითარცა გაქუს კადნიერება</i> .“ გვ. 436	„ <i>სულითა</i> შეშჭურე ნესტორ და მის მიერ ლიეოხს სიმაღლე დაამჭუ, დიმიტრი ყოვლად ქებულო. ხოლო ვითარცა ქრისტემან თავს-იდევ ლახურითა განგურემაჲ, რომლისათჳს ან სამწყსოჲ შენი დაიცევ <i>ყოვლისაგან ჭირისა და ურვისა, ვითარცა გაქუს კადნიერება</i> .“ გვ. 147

13 ნოემბერი, იოვანე ოქროპირი

მცირე სვინაქსარი	დიდი სვინაქსარი	შიომღვიმის ტიპიკონი
„წმამალალსა მას ნესტუსა სინანულისა ქადაგსა, საუნჯესა გლახაკთასა, პირსა ეკლესიისასა, ოქროანად მეტყუელსა, წერილთა თარგმანსა მას, იოვანე ყოვლად ბრძენსა უგალობდეთ ყოველნი მის მიერ განმტკიცებულნი.“ [16r]	„წმამალალსა მას ნესტუსა სინანულისა ქადაგსა, საუნჯესა გლახაკთასა <i>და</i> პირსა ეკლესიისასა, ოქროანად მეტყუელსა, წერილთა თარგმანსა მას <i>იოვანეს</i> ყოვლად ბრძენსა უგალობდეთ ყოველნი მის მიერ განმტკიცებულნი <i>წადიერებით, რაჲთა მეოხ-გუეყოს სულთა ჩუენთათჳს</i> .“ გვ. 437	„წმამალალსა მას ნესტუსა სინანულისა ქადაგსა, საუნჯესა გლახაკთასა <i>და</i> პირსა ეკლესიისასა, ოქროვანად მეტყუელსა, წერილთა თარგმანსა მას <i>იოვანეს</i> ყოვლად ბრძენსა უგალობდეთ ყოველნი მის მიერ განმტკიცებულნი <i>წადიერებით, რაჲთა მეოხ-გუეყოს სულთა ჩუენთათჳს</i> .“ გვ. 148

5 დეკემბერი, საბა ღმერთშემოსილი

მცირე სვინაქსარი	დიდი სვინაქსარი	შიომღვიმის ტიპიკონი
„უდაბნოჲ იხარებდინ და ყუაოდენ ვითარცა შრომანი, რამეთუ განამრავლენ შენ, მისნი შვილნი, საბა ღმერთშემოსილო! ქუეყანაჲ იორდანისაჲ ან განსცხრებოდენ წმიდასა წესნებასა შენსა.“ [19r]	„უდაბნოჲ <i>მხიარულ იყავნ</i> და ყუაოდენ ვითარცა შრომანი, რამეთუ განამრავლენ შენ, მისნი შვილნი, საბა ღმერთშემოსილო! ქუეყანაჲ იორდანისაჲ ან განსცხრებოდენ წმიდასა <i>ამას</i> წესნებასა შენსა, <i>დიდებულო, მეოხ-გუეყავ სულთა ჩუენთათჳს</i> .“ გვ. 440	„უდაბნოჲ <i>მხიარულ იყავნ</i> და ყუაოდენ ვითარცა შრომანი, რამეთუ განამრავლენ შენ, მისნი შვილნი, საბა ღმერთშემოსილო! ქუეყანაჲ იორდანისაჲ ან განსცხრებოდენ წმიდასა <i>ამას</i> წესნებასა შენსა, <i>დიდებულო!</i> “ გვ. 149

6 დეკემბერი, ნიკოლოზ მირონლუკიელი

მცირე სვინაქსარი	დიდი სვინაქსარი	შიომღვიმის ტიპიკონი
„დიდად განადიდა (!) შენ საკვრველებითა უფალმან ცხორებასაც და შემდგომად სიკუდილისა, ნიკოლა მლუდელთმოძღუარო, რამეთუ ვინ სადა სარწმუნოვებით ხადოდა წმიდასა სახელსა შენსა და არა მეყუსეულად გპოვა შენ შემწედ მისა.“ [20v]	„დიდად გადიდა შენ საკვრველებითა ღმერთმან ცხორებასაცა და შემდგომად სიკუდილისა, ნიკოლას მლუდელთმოძღუარო, ქრისტეს ღმრთისაო , რამეთუ ვინ სადა სარწმუნოვებით ხადოდა წმიდასა და პატიოსანსა სახელსა შენსა და არა მეყუსეულად გპოვა შენ შემწედ მისად მჭურვალედ, დიდებულო. “ ¹	„დიდად გადიდა შენ საკვრველებათა ღმერთმან ცხორებასაცა და შემდგომად სიკუდილისა, ნიკოლაოზ მლუდელთმთავარო, ქრისტეს ღმრთისაო , რამეთუ ვინ სადა სარწმუნოვებით ხადოდა წმიდასა და პატიოსანსა სახელსა შენსა და არა მეყუსეულად გპოვა შენ შემწედ მისსა მჭურვალედ, დიდებულო. “ ²

შედარებული მასალა გვიჩვენებს, რომ სამივე კრებულში დაცულ *გამოავლინეთა* ტექსტებს შორის განსხვავებები მინიმალურია და ამ განსხვავებებით შიომღვიმის ტიპიკონი მთაწმიდელის დიდ სვინაქსარზე არის დამოკიდებული.³

განსხვავებები მცირესა და დიდ სვინაქსარს შორის, ზმნათა განსხვავებული ფორმები, ფრაზათა მატებები გვაფიქრებინებს, რომ გიორგი კარგად იცნობდა ექვთიმეს თარგმანს, შესაძლოა, იყენებდა კიდევაც მას, თუმცა ადარებდა ბერძნულ ტექსტებსაც, რასაც უნდა გამოენვია მცირე განსხვავებები გიორგისა და ექვთიმეს ტექსტებს შორის.

¹ გიორგი მთაწმიდელი, *დიდი სვინაქსარი*, გვ. 440.

² შიომღვიმის ტიპიკონი, გვ. 149.

³ გიორგი მთაწმიდელი, *დიდი სვინაქსარი*, გვ. 020.

ბრიგოლ ნაზიანზელის ჰომილია მცირე სვინაქსარში

სვინაქსარებში მსახურების ერთ-ერთ ელემენტს წმინდა წერილის საკითხავების გარდა, წმინდა მამათა ჰომილიების კითხვაც წარმოადგენს.¹ ჰომილიების საკითხი ამ ტიპის კრებულებში სპეციალური შესწავლის საგანი არასოდეს გამხდარა, გიორგი მთაწმიდელის „დიდი სვინაქსარის“ მთარგმნელისეული შენიშვნები კი საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, რომ ეკლესიის წმინდა მამების ჰომილიების კითხვის პრაქტიკა ქართულ და ბერძნულ ტრადიციაში მცირედ განსხვავებული იყო, მაგალითად: მარხვის მეექვსე პარასკევს იოანე ოქროპირის საკითხავთან გიორგი მთაწმიდელი შემდეგი სახის შენიშვნას აკეთებს: „წარიკითხონ მარგალიტისაგან გინა სადაცა იოვანე ოქროპირისა თქუმილი ძკრუჴსენებლობისათჴს, ბერძულად აქა მღდელთმოძღუართა არა არს, ქართულად კულა არს და თუ არავინ დაადოს, კეთილ არს“.²

როგორც წესი, სვინაქსარებში მითითება კონკრეტულ ჰომილიაზე მხოლოდ სათაურებით და იშვიათად კი დასაწყისებით შემოიფარგლება, საკითხავთა სრული ტექსტები სვინაქსარებში არასოდეს გვხვდება.³ ამ თვალსაზრისით ექვთიმე მთაწმიდელის მცირე სვინაქსარი გამონაკლისია, მასში გაშლილი სახით დაცულია გრიგოლ ნაზიანზელის საკითხავი „წმიდათა შორის მამისა ჩუენისა გრიგოლ ღმრთისმეტყუელისაჲ სიტყუაჲ პასქაჲსათჴს და დაყოვნებისათჴს“ (გრიგოლ ნაზიანზელი, Or.1). სამწუხაროდ, საკითხავი სვინაქსარში მხოლოდ ერთი ფურცლით, ნაკლები სახით არის წარმოდგენილი, ფურცელი ჩართულია ზატიკის პერიოდის მეხუთე და მეექვსე კვირას შორის. დღეს რთულია ვიმსჯელოთ, რამდენად სწორად არის ხელნაწერი აკინძული, ერთი რამ კი ცხადია, გიორგი მთაწმიდელის „დიდ სვინაქსარში“ გრიგოლ ნაზიანზელის ეს საკითხავი აღდგომის დღეს, ცისკრის მსახურების ბოლოს იკითხება.⁴ ჰომილიამ საკმაოდ ბევრი ხელნაწერით მოაღწია ჩვენამდე და გამოცემულიცაა,⁵ მისი მთარგმნელი ექვთიმე მთაწმიდელია.⁶ ჩვენ შევადარეთ სვინაქსარში წარმოდგენილი ფრაგმენტი, გრიგოლ ნაზიანზელის საკითხავის ექვთიმე მთაწმიდლისეულ თარგმანს:

¹ შესადაარებლად იხ. ევერგეტის ტიპიკონი: А. Дмитриевский, *Описание литургических рукописей*, стр. 266.

² გიორგი მთაწმიდელი, დიდი სვინაქსარი, გვ. 345.

³ იხ. გიორგი მთაწმიდელი, დიდი სვინაქსარი, გვ. 576-579.

⁴ იქვე, გვ. 374, 466.

⁵ Sancti Gregorii Nazianzeni Opera, versia Iberica, Orationes 1, XLV, XLIV, XLI, editare a Helene Metreveli et Ketevan Bezarachvili, Tsiola Kurtsikidze, Nino Melikichvili, Thamar Otkhmezouri, Maia Raphava, Mzekala Chanidze cum Introductione par Helene Metreveli et Edicher Tchelidze, Leuven, 1998, pp. 3-17.

⁶ კ. კეკელიძე, *ეტიუდები ძველი ქართული ლიტურგიატურის ისტორიიდან*, ტ. V, თბილისი, 1957, გვ. 30.

მცირე სენაქსარი, 47r-v	გრიგოლ ნაზიანზელი, Or.1 (გვ. 15-17)
<p>...შუენიერსა მას თანა და ზეცისასა. ესევეთარსა მას და რაბამსა, გარნა მის წინაშე პატიოსანსა და მასცა დიდითა შრომითა და ოფლითა შემზადებულსა, ხოლო არსმცა ღირსად შრომათა მათ და ყოველსა თავისა თვისისასა მოგცემს თქუნენ.</p> <p>ეჰა, სიკეთჳ სულისაჲ და უფროსად ვთქუა, თუ შვილის-მოყუარებაჲ, რამეთუ განგიზადებს და მოგცემს მწეცთა მათ და სიჭაბუკესა და ტაძარსა და მღუდელთმოძღუარსა და მკვდრსა მისსა და სიტყუათა მათ, რომელნი გსუროდეს, არალა ჰაერად განბნევადთა და სასმენელადმდე მიწეწულთა, არამედ, რომელთა წეს არს სული და ფიცართა მათა ზედა გამოსახავს ქვისათა, რომელ არიან გულისანი, არა თხელად და პირსა ზედა მსწრაფლ აღსაწოცელად, არამედ სიღრმესა შინა გამოსახულად, არა მელნითა, არამედ მაღლითა.</p> <p>ამას ყოველსა იქმს თქუნენტჳ მოხუცებული ესე აბრაჰამ მამათმთავარი, პატიოსანი ესე სულითა, სამკვდრებელი ყოველთა კეთილთაჲ, კანონი იგი სათნოებისაჲ, მღუდელობისა სრულმყოფელი, რომელი ნეფსითა მსხუერპლსა შესწირავს ღმრთისა, ვითარცა პირველმან მან მხოლოდშობილი იგი აღთქუმით მიცემული.</p> <p>ხოლო თქუნენ შეწირეთ ღმრთისა და ჩუენდა თავნი თქუნენი, რაჲთა კეთილად იქცეოდით სამწყსოსა მას შინა და სძოვდეთ ადგილთა მწუანვილოვანთა და წყალთა ზედა განსასუენებელთა და იცნობდეთ კეთილად მწყემსსა მას და ცნობილ იყვნეთ მის მიერ და შეუდგეთ ჳმასა მისსა, გიწმობდეთ რაჲ მწყემსებრ კარით. ხოლო უცხოთა არა შეუდგეთ, არა კარით მომავალსა, არამედ ავაზაკებრ ზედაჲთ შემომავალსა.</p> <p>ნუცა ისმენთ უცხოთა ჳმასა, რომელი წარგიპარვიდეს და განგაშორებდეს და გაცთუდებდეს ჭეშმარიტებისაგან მათათა შინა, კლდეთა და ჳევნებთა და ადგილთა, სადა არა მიხედავს უფალი და განგყოფდეს მართლისაგან სარწმუნოებისა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, ერთღმრთეებისა და ძალისა, რომლისა ჳმაჲ ესმა მას და ასმიესმცა ჩემთა მათ ცხოვართა.</p> <p>ხოლო სხუათა ბილნთა და განმრყუნელთა და განმყოფელთა ჭეშმარიტებისა მისგან პირველისა მწყემსისა ნუმცა ასმიეს, არამედ ვითარცა საძოვრისაგან სასიკუდინოჲსა, ესრეთმცა შორს ვართ ესევეთარისაგან მწყემს[ს]ნიმცა და სამწყსონი და სინმიდით ვნმესიდეთცა და შეუდგეთ მწყემსსა, რაჲთა ერთ ვიყვნეთ ყოველნი ქრისტჳ იესუს მთავრ ან და მერმესა მას განსუენებასა, რამეთუ მისი არს დიდებაჲ და სიმტკიცჳ უკუნითი უკუნისამდე, ამენ“.</p>	<p>შუენიერსა მას თანა და ზეცისასა. ესევეთარსა მას და რაბამსა, გარნა მის წინაშე პატიოსანსა და მასცა დიდითა შრომითა და ოფლითა შემზადებულსა, ხოლო არსმცა ღირსად შრომათა მათ და ყოველსა თავისა თვისისასა მოგცემს თქუნენ.</p> <p>ეჰა, სიკეთჳ სულისაჲ და უფროსად ვთქუა, თუ შვილის-მოყუარებაჲ, რამეთუ განგიზადებს და მოგცემს მწეცთა მათ და სიჭაბუკესა და ტაძარსა და მღუდელთმოძღუარსა და მკვდრსა მისსა და სიტყუათა მათ, რომელნი გსუროდეს, არალა ჰაერად განბნევადთა და სასმენელადმდე მიწეწულთა, არამედ, რომელთა წერს სული და ფიცართა მათ ზედა გამოჰსახავს ქვისათა, რომელ არიან გულისანი, არა თხელად და პირსა ზედა მსწრაფლ აღსაწოცელად, არამედ სიღრმესა შინა გამოსახულად, არა მელნითა, არამედ მაღლითა.</p> <p>ამას ყოველსა იქმს თქუნენტჳ მოხუცებული ესე აბრაჰამ მამათმთავარი, პატიოსანი ესე სულითა, სამკვდრებელი ყოველთა კეთილთაჲ, კანონი იგი სათნოებისაჲ, მღდელობისა სრულმყოფელი, რომელი ნებსითა მსხუერპლსა შესწირავს ღმრთისა, ვითარცა პირველმან მან მხოლოდშობილი იგი აღთქუმით მიცემული.</p> <p>ხოლო თქუნენ შეწირეთ ღმრთისა და ჩუენდა თავნი თქუნენი, რაჲთა კეთილად იქცეოდით სამწყსოსა მას შინა და სძოვდეთ ადგილთა მწუანვილოვანთა და წყალთა ზედა განსასუენებელთა და იცნობდეთ კეთილად მწყემსსა მას და ცნობილ იყვნეთ მის მიერ და შეუდგეთ ჳმასა მისსა, გიწმობდეს რაჲ მწყემსებრ კარით. ხოლო უცხოთა არა შეუდგეთ არა კარით მომავალსა, არამედ ავაზაკებრ ზედაჲთ შემომავალსა.</p> <p>ნუცა ისმენთ უცხოთა ჳმასა, რომელი წარგიპარვიდეს და განგაშორებდეს და გაცთუდებდეს ჭეშმარიტებისაგან მათათა შინა, კლდეთა და ჳევნებთა და ადგილთა, სადა არა მიჰხედავს უფალი და განგყოფდეს მართლისაგან სარწმუნოებისა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, ერთღმრთეებისა და ძალისა, რომლისა ჳმაჲ ესმა მას და ასმიესმცა ჩემთა მათ ცხოვართა.</p> <p>ხოლო სხუათა ბილნთა, განმრყუნელთა და განმყოფელთა ჭეშმარიტისა მისგან პირველისა მწყემსისა ნუმცა ასმიეს, არამედ ვითარცა საძოვრისაგან სასიკუდინოჲსა, ესრეთმცა შორს ვართ ესევეთარისაგან მწყემსნიმცა და სამწყსონი და სინმიდით ვნმესიდეთცა და შეუდგეთ მწყემსსა, რაჲთა ერთ ვიყვნეთ ყოველნი ქრისტეს იესუს მთავრ ან და მერმესა მას განსუენებასა, რამეთუ მისი არს დიდებაჲ და სიმტკიცჳ უკუნითი უკუნისამდე, ამენ“.</p>

როგორც ვხედავთ, განსხვავებები ტექსტებს შორის მხოლოდ ვარიანტული ხასიათისა და ჩვენს წინაშე ჰომილიის ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანია.

ვფიქრობთ, სვინაქსარში ჰომილიის სრულად წარმოდგენა სწორედ იმით არის გამოწვეული, რომ ის ექვთიმე მთაწმიდელმა თარგმნა, ჰომილიის სრული ტექსტის სვინაქსარში შეტანა კი თავად ექვთიმე მთაწმიდელის ინიციატივა იყო. შეიცავდა თუ არა სხვა ჰომილეთიკურ საკითხავებს სვინაქსარი, ამ კითხვაზე პასუხი არ გვაქვს, რადგან სვინაქსარის შემორჩენილი ნაწილი ვარაუდების გამოთქმის საშუალებას არ იძლევა.

მცირე სვინაქსარის გვიანდელი შევსება

მცირე სვინაქსარის შემცველ ხელნაწერს დიდი თავგადასავალი გადახდა, სანამ მუზეუმში დაიდებდა ბინას. ერთ-ერთი გვიანდელი, პალეოგრაფიულად XIV-XV სს-ით დათარიღებული ანდერძ-მინაწერი გვამცნობს, რომ ის თათართაგან გამოუსყიდიათ (იხ. აღწერილობა). ამ დროისათვის, როგორც ჩანს, ხელნაწერი უკვე დაშლილი და ნაკლული უნდა ყოფილიყო, რასაც ჩვენი ერთი დაკვირვებაც ადასტურებს.

მცირე სვინაქსარში, ბერძნული სვინაქსარების მსგავსად და გიორგი მთაწმიდელის დიდი სვინაქსარისაგან განსხვავებით, თვის დასახელება მხოლოდ ერთხელ, დასაწყისში არის მითითებული, თვითა დღეები კი ჩვეულებრივ, ასო-ნიშნებით არშიებზე ერთვის. მაგრამ უკვე XIV-XV სს-ში¹ თითოეული ასეთი დღისათვის შესაბამისი თვის დასახელება ნითელი მელნით მიუწერია ხელნაწერის გვიანდელ შემავსებელ-რედაქტორს,² სავარაუდოდ, ხელნაწერის სწორად აკინძვის მიზნით. მასვე უნდა ჩაემატებინა იმ წმინდანთა ხსენებებიც, რომლებიც აკლდა ხელნაწერს მისი დაზიანებისა თუ გაძარცვის გამო. გიორგი მთაწმიდელის სვინაქსართან დამატებათა ტექსტების შედარებამ გვიჩვენა, რომ მცირე სვინაქსარის გვიანდელი შემავსებელი ნაკლული ადგილების შევსებისას გიორგის რედაქციის სვინაქსარით სარგებლობდა, მაგრამ ადგილის უქონლობის გამო, ის იძულებული გამხდარა გიორგისეული დედანი შეემოკლებინა ან შეეცვალა ისე, რომ ხელნაწერის არშიაზე ტექსტი დატეულიყო.

მაგალითისათვის წარმოგიდგინთ ორ დანართს, ამ ტიპის შემორჩენილი შევსებებიდან:

მცირე სვინაქსარი	დიდი სვინაქსარი
<p>20 სექტემბერი: და თეოფისტისი და თეოფისტია ცოლისა მისისა, რომელნი იყვნეს ჰრომს ტრაიანეს ზე და ინამნეს ანდრიან[ეს] ზე,</p> <p>ამისთვისცა ცოლით [და] შვილითურთ რვალისა კკროსა განჭურ[ვ]ებულსა შეითხივნ[ეს] და სულნი მათნი ჴელთ[ა] ღმრთისათა შეჴვედრნეს.</p>	<p>20 სექტემბერი: და თეოფისტისი და თეოფისტია ცოლისა მისისა, რომელნი იყვნეს ჰრომს ტრაიანეს ზე და ინამნეს ანდრიან[ეს] ზე. <i>ხოლო უწინარეს სარწმუნოებად მოსლვისა ეწოდებოდა ევსტათის პლაკიდა, რამეთუ პირველად კერპთმსახურ იყვნეს ...</i> ამისთვისცა ცოლით და შვილითურთ რვალისა კკროსა განჭურვებულსა შეითხივნეს და სულნი მათნი ჴელთა ღმრთისათა შეჴვედრნეს.³</p>

¹ ხელნაწერის თათართაგან გამოსყიდვის ამბის შემცველი მინაწერი და შევსებები ერთი ხელით თუ არა, ნამდვილად ერთი პერიოდის ხელით არის შესრულებული.

² გამოცემაში ეს შევსებები ჩატანილია სქოლიოებში შესაბამის ადგილას, შესაბამისი მითითებით.

³ გიორგი მთაწმიდელი, დიდი სვინაქსარი, გვ. 020.

მცირე სვინაქსარი	დიდი სვინაქსარი
<p>თუესა სეკდენბერსა კე.წმიდისა პაფნოტი მონაზონისა, რომელი იყო დეოკლიტიანეს ზე, ნათესავით მეგვპტელი, ხოლო ეძიებდა არიან მსაჯული მათ ადგილთა ჩუწნებითა ანგელოზისაათა, წარმოუდგა მას და კადნიერად ამხილა, ამისთვისცა შეიკრა საკრველითა რკინისაათა და ძელსა დამოკიდებული ესოდენ იხუჭტა, ვიდრელა ნანლ[ე]ვნი მისნი ქუეყანად დაცვეს და ანგელოზისა მიერ განიკურნა. ამისა შემდგომად დეოკლიტიანეს მიერ ჯუარს ეცუა და გვრგვნი წამებისა დაიდგა. განგება მარტსა თ.</p>	<p>თუესა სეკდენბერსა კე.წმიდისა პაფნოტი მონაზონისა, რომელი იყო დეოკლიტიანეს ზე, ნათესავით მეგვპტელი. ესე უმრავლესთა ყამთა ცხორებისა მისისათა უდაბნოსა შინა იქცეოდა. ხოლო ეძიებდა რაჲ არიან მსაჯული მათ ადგილთა ჩუენებითა ანგელოზისაათა, გარდამოვიდა და წარმოუდგა მას და კადნიერად ამხილა, ამისთვისცა შეიკრა საკრველითა რკინისაათა და ძელსა დამოკიდებული ესოდენ იხუეცა, ვიდრელა ნანლევნი მისნი ქუეყანად დაცვეს არამედ კეთილად განკურნებულ იქმნა დიდებულად. რამეთუ ანგელოზისა მიერ დაბძარულნი იგი ასონი მისნი ადგილთავე თვსთა შეენანვევნეს... დეოკლიტიანეს მეფისა წარიცა მთავრისა და მის მიერ ჯუარს ეცუა და ესრეთ გვრგვნი წამებისა დაიდგა.¹</p>

ვფიქრობთ, მოტანილი მაგალითები სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ ჩვენი ვარაუდის სისწორეში.

როგორც ჩანს, ხელნაწერის დაშლა-გაძარცვა XIV-XV სს-ში მისი შევსების შემდეგაც უნდა გაგრძელებულიყო, რადგან თავად ამ პერიოდის დანართებიც მცირე რაოდენობით არის შემორჩენილი და ხშირად მოჭრილიცაა.

ამასვე უნდა ადასტურებდეს თითოეული ფურცლის recto-ზე, ქვედა არშიაზე შესრულებული სომხური პაგინაცია. როგორც ფურცელთა ნუმერაცია გვიჩვენებს, მისი სომხური ასო-ნიშნებით დანომრვისას ხელნაწერი გაცილებით სრული ყოფილა, ყველაზე მაღალი რიცხვი პაგინაციაში არის 1117 (ძქან), ხოლო ანდერძის შემცველი ფურცელი 1055-ით არის დანომრილი. ვფიქრობთ, სომხური გრაფემებით ხელნაწერის პაგინირებისას სვინაქსარი დაშლილი და არეული უნდა ყოფილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნუმერაცია მწყობრი იქნებოდა და 47-ე ფურცლის შემდეგ ვერაფრით მოხვდებოდა 37-ე ფურცელი.

¹ გიორგი მთაწმიდელი, დიდი სვინაქსარი, გვ. 27.

სვინაქსარი. 1030

72ფ.; 266x216. ეტრატი. ნუსხური; გადამწერი: ბასილი ეტრატა (7 v 2); მომგებელი: ზაქარია ვალაშკერტელი (10r); შემორჩენილია რვეულების დასაწყისები: ჴ (20v); იბ (29v); იგ (30r); კთ (48v) ლა (50v); ლე (63v); ლჴ (67v); შემკულია ოქრომელნითა და სინგურით შესრულებული საზედაო ასოებით. ხელნაწერში შემონახულია შემდეგი მინიატურები: წმიდა სვიმეონ მესვეტე ჰალაბელი, 1v – 103x70. წმიდა მამაჲ, 1v² – 101x70. წმიდა იოანე კონსტანტინეპოლელი, 2r – 99x52. წმიდა ანთიმოზ ნიკომიდიელის თავის კვეთა, 3v – 74x131. წმიდა იოაკიმესა და ანას შეხვედრა, ღმრთისმშობლის შობა, 4r – 88x134. ჯვრის ამალღება, 5v – 65x100. წმიდა მოწამე ნიკიტა, 6r – 80x51. წმიდა ევფემია, 7r – 101x60. ანგელოზის გამოცხადება წმიდა ზაქარიასთან, 8v – 78x91. წმიდა მოწამე თეკლა, 9r – 94x50. წმიდა ანანია და პავლე მოციქულები, 10v – 91x75. წმიდა დოროთე მთავარეპისკოპოსი, 11v – 111x51. წმიდა მოციქული იაკობ (ალფესი), 12v – 111x55. ლუკა მახარებელი, 13v – 110x53. წმიდა კოზმა და დამიანე, 15v – 94x79. წმიდა ფილიპე, 16v – 87x47. მათე მახარებელი, 17r – 95x50. წმიდა გრიგოლ საკვირველთმოქმედი, 17v – 111x53. წმიდა ნიკოლოზ მთავარეპისკოპოსი, 20r – 113x50. წმიდა ეგნატე ღმერთშემოსილი, 21v – 107x51; მაცხოვრის შობა, 22r – 99x134. წმიდა სტეფანე პირველდიაკონი, 23r – 103x52. წმიდა მღვდელთმთავარი ბასილი დიდი, 24r – 101x50. წმიდა სილიბისტრო ჰრომთა პაპი, 25v – 95x56. ნათლისღება, 26r – 101x122. წმიდა გრიგოლ ნოსელი, 27r – 103x52. წმიდა ანტონ დიდი, 28r – 93x46. წმიდა ათანასე და კირილე ალექსანდრიელი, 28v – 90x80. წმიდა თეოდოტე და მაკარი, 28v – 80x80. ორიარუსიანი მინიატურა. პირველ რეგისტრში წარმოდგენილია წმიდა ათანასე და კირილე იერუსალიმელები, ხოლო მეორეში – წმიდა თეოდოტე და მაკარი – 169x80. წმიდა ეფთვიმე, 29r – 101x51. წმიდა ტიმოთე, 29v – 98x49. წმიდა კლიმი ანკვირელი და წმიდა აგათანგელოზი, 30v – 103x81. წმიდა ვლასი მღვდელმონაჲ, 31r – 88x48. წმიდა ბენედიქტე, 32r – 89x48. ხარება, 33r – 94x120. ლაზარეს აღდგინება, 34r – 114x143. იერუსალიმში შესვლა (ბზობა), 35v – 109x132. იუდას ამბორი, 36r – 121x129. ქრისტე კაიაფას წინაშე, 37r – 84x131. ქრისტეს გვემა, 38r – 97x134. ჯვარცმა და გარდამოხსნა, 39r – 249x168. ჯოჯოხეთის წარტყვევნა, 40r – 157x135. იესოს გამოცხადება ემაუსელ მგზავრებთან, 41r – 148x136. მენელსაცხებლე დედანი ქრისტეს საფლავთან, 42r – 110x132. განრღვეულის განკურნება ცხოვართა საბანელთან, 43r – 93x136. ყრმა იესო ტაძარში (განზოგების დღესასწაული), 44v – 97x133. ქრისტე და სამარტელი დედაკაცი, 45v – 90x131. ბრმის განკურნება, 46v – 96x96. ქრისტეს გამოცხადება მოწაფეებთან, 47v – 73x122. ამალღება, 48v – 145x135. წმიდა ევტიქი, 49r – 55x50. წმიდა ანტიპა, 50r – 89x55. მარკოზ მახარებელი, 52r – 94x51. წმიდა ბასილი, 52v – 81x55. წმიდა იაკობ ზებედესი, 53r – 88x52. წმიდა იერემია წინასწარმეტყველი, 54r – 94x55. წმიდა ათანასე ალექსანდრიელი, 54v – 62x60. წმიდა ესაია წინასწარმეტყველი და ქრისტეფორე,

55v – 88x77. წმიდა პახუმი, 56v¹ – 88x51; წმიდა ზაქარია წინასწარმეტყველი, 56v² – 80x55. წმიდა მიტროფანე, 58r – 88x52. წმიდა ფებრონია, 59r¹ – 88x46. წმიდა სამფსონი, 59r² – 88x55. წმიდა პეტრე და პავლე მოციქულები, 59v – 88x79. წმიდა პროკოპი, 60v – 84x57. წმიდა ათენაგენი და მარინა, 62v – 92x80. წმიდა ელია წინასწარმეტყველი, 63r – 96x66. წმიდა მარიამ მაგდალინელი, 64v – 89x51. იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთა, სალომეას როკვა, 65v – 102x137. კეთროვნის განკურნება, 66r – 85x80. ასისტავის მსახურის განკურნება, 67v – 89x88. ერდოდან ჩამოშვებული განრღვეულის განკურნება, 68r – 75x111. წიღოვანი დედაკაცის განკურნება, 69v – 85x91. წყალმანკიერის განკურნება, 76r – 90x95. ორრეგისტრიანი მინიატურა. I რეგისტრი: ანანია, აზარია და მიქაელი, II რეგისტრი – უცნობი მონამის წამება, მთლიანი მინიატურის ზომა 260x182; ხელნაწერის შემორჩენილ ნაწილში ამოჭრილია მინიატურები შემდეგ გვერდებზე: 14r - წმიდა დემეტრე; 18v - წმიდა სტეფანე ახალი; 19r - წმინდა საბა; 27r - წმიდა თევდოსი; 51v - წმიდა გიორგი; 57r - წმიდა სვიმეონ მესვეტე; 61v - წმიდა კვირიკე და ივლიტა.

ანდერძი:

„... და სალოცველად სულისა მზრდელისა და შემოქმედისა ჩემისა **დავით ქართველთა კურაპალატისა**, რომლისამცა სული ბრწყინავს სასუფეველსა ცათასა. და საწესებულად სულსა მოძღუართა და მშობელთა ჩემთასა **არსენი მამადმთავრისა, ბაკურისსა და თეკლასსა**, პატრიარქისა **ასათისსა, დავითისა და დაფანჩულისასა**. და მეცა უწმარი შვილი მათი და არაღირსი წყალობისაჲ, წესებულ მყავთ წმიდათა ლოცვათა თქუენტა, რაჲთა ერთობით ღირს-ვიქმნეთ ადგილსა მას სანადელსა, მართალთა საყოფელსა და საუკუნოდ წარუვალსა. დაინერა ქალაქსა შინა დიდსა **კოსტანტინოპოლის**, ახალსა ჰრომს დასაბამთაგანთა წელთა ვითარ ბერძენნი ითუალვენ ხფლჳ, ინდიქტიონსა იგ, ქართველთა ქრონიკონსა სნ, მეფობასა **ჰრომანოზისსა** და ჩემსა მწირობასა **პილურისა**, ჴელითა შვილისა ჩემისა **ბასილი ეტრატაჲსითა**, ქრისტემან სასყიდელი შრომისა მისისაჲ მიანიჭენ, ამენ.“

მინაწერები:

1. მხედრულით: „ქ. ეს წიგნი სამთავროს მლთეა (...). ქ. ღმერთო და სუეტო ცხოველო, შეინყალე ცოდვილი შაჰრ [... ..], რომელმანცა წაიკითხოს წყევასა ნუ ბრძანებთ“ (1r).
2. მხედრულით: „ქ ესე თ<ა>ვენ<ა> მთავარებისკოპოზისა არის“ (1r).
3. ნუსხურით: „ქ. ესე წიგნი საღმრთოჲ **შაჰბისშვილმან მხითარ** დავიწსენ თათართა ჴელისაგან **შამახიას** და **ყარალაშვილსა შალიკასა** მივეც, მისთვის და ჩემისა სულისათვს. ვინცა ესე წიგნი ნახოთ და წაიკითხოთ, თუ ჩუენ ორთათვს შენდობაჲ ჰბრძანოთ. რომელთა დაგუიწსნია თათართა ჴელისაგან და რომელთა **საქართველოს** მოგუიღია. ვინცა აქა ორთათვსვე შენდობაჲ ბრძანოთ, ღმერთმან თქუენ შეგინდვენეს ცოდვანი თქუენნი, ამინ“ (1v).
4. მხედრულით: „ესე წიგნი მიხითარა **შაჰბისშვილ[მან]** თათართა ჴელისაგან დაწსნა და **ყარალაშვილსა შალვას** მოსცა, მე **ფაშა სულალა** მონამე ვარ {.. ... }“.
5. გვიანდელი ნუსხურით: „სახელით ღმრთისით და მეოხებით [... ..]მისათ (!) მე **იაგუნდის ძემან გრიგოლ** მოვიგე ესე სამი წიგნი ჩემის სულის სალოცველად და ჩემთ დედა-მამათა“ (3v).
6. გადამწერის ხელით, წვრილი ნუსხურით: „უფალო ღმერთო, წყალობით მოიწსენე სასუფეველსა შენსა **ზაქარია ვალაშკერტელი**, ამენ იყავნ“ (10r).
7. ნუსხურით: „ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა, ჩუენ ყოველთა მონაზონთა უნარჩევესმან, სულით გლახაკმან და ჴორციით სანყალობელმან, მღდელმონაზონმან **გაბრიელ გედეონის ძემან** შემოგწირეთ მცირე ესე შემოსანირავი სულთა განმანათლებელი ესე წიგნი, შენ ჩუენსა სასოებასა და სიქადულსა **სამთვაროს ღმრთაებისა საყდარსა**, სულისა ჩუენისა საწსრად და

ცოდვათა ჩუენთა შესანდობრად. და ვინცა მიემთხვივნეთ წმიდასა ამას წიგნსა, შენდობასა ჰყოფდით ჩემ ცოდვილისათჳს, ღმრთის სიყუარულისათჳს, ვინცა გამოგაჴუას დაგ[... ..]როს შერისხენ[... ..] მამაო, ქრისტე ღმერთო და სულო წმიდაო ამენ“ (72 r-v).

8. ნუსხურით: „ღმერთო, მიშველე მე საბრალოს იეარაოს, ამენ, უფალო“ (72v).

9. მხედრულით: „ქ. ესე წმიდა სახარება მე, **რომანოზ** არქიერე შევწირე“ (72v).

10. მომგებლის ანდერძი ბერძნულად:

:·ΒΙΒΛΩΓΡΑΦΗΣΑΣ ΤΗΔΗ ΤΑΣ ΚΑΘΗΜΗΡΑΝ :·

ΜΝΗΝΑΣΕΟΡΤΑΣ ΤΟΥ ΧΡΟΝΟΥ ΠΑΝΤΟΣ ΒΛΕΠΩΝ :·

ΤΟΥ ΖΩΓΡΑΦΟΥ ΘΑΘΜΑΖΕ ΤΗΝΗΥΕΤΕΧΝΙΑΝ :·

ΚΑΙΓΑΡΝΟΗΤΟΣΩΣ ΠΟΛΟΣ ΤΟ ΒΙΒΛΙΟΝ :·

ΧΡΙΣΤΟΝ ΝΟΗΤΟΝ ΗΛΙΟΝ ΜΕΣΟΝ ΦΕΡΕΙ :·

ΚΑΙ ΠΑΝΣΕΛΗΝΟΝ ΤΗΝ ΤΕΚΟΥΣΑΝ ΠΑΡΘΕΝΟΝ :·

ΩΣ ΑΣΤΗΡΑΣ ΚΥΚΛΩ ΔΕ ΦΡΥΚΤΟΡΟΥΜΗΝΟΥΣ :·

ΠΑΝΤΩΝ ΔΙΚΑΙΩΝ ΤΩΝ ΑΠΑΙΝΩΝΟΣ ΧΟΡΟΥΣ :·

ΤΟΥΣ ΕΥΑΡΕΣΤΗΣΑΝ ΤΑΣΑΟΥΤΩ ΓΝΗΣΙΩΣ :·

ΠΙΣΤΙΣΔΕ ΤΑΥ ΤΑΚΑΙΠΟΙΝΕΙ ΚΑΙ ΠΡΟΣΦΕΡΕΙ :·

ΚΑΙ ΠΟΝΤΕΙΑΤΑΙ ΚΑΙ ΝΕΟΥΤΕΙ ΚΑΙ ΓΡΑΦΗ:·

ΖΑΧΑΡΙΟΥ ΚΑΛΟΓΗΡΟΥ ΤΟΥ ΗΒΗΡΟΥ Ω ΘΕΙΟΣ ΕΡΟΣ :·

ზაქარია ვალაშკერტელის ანდერძი ბერძნულ ენაზე გამოქვეყნებული და შესწავლილი აქვს თ. ყაუხჩიშვილს.¹

ხელნაწერში დღეს შემონახულია 74 მაღალი მხატვრული ღირებულების მინიატურა როგორც ერთფეიგურიანი, ასევე სიუჟეტური. ორი მინიატურის გარდა (იხ. 66r და 67v) მინიატურებს ახლავს ბერძნული მინაწერები, ასევე გვიანდელი ქართული (მხედრულით შესრულებული) და რუსული მინაწერები. ბერძნული და ქართული მინაწერების უმეტესობა განმარტებითია. რამდენიმე ბერძნული მინაწერი (4r, 5v, 22r, 26r, 34r, 36r, 39r, 40r, 59v, 65v) ჩვენი აზრით, მცირე ფორმის საგალობელს წარმოადგენს. აქვე დიდი მადლობას მოვახსენებთ ვიქტორია ჯუღელს ბერძნული მინაწერების გაშიფრვასა და თარგმანში განეული უშურველი დახმარებისათვის.

1. 1v – Ὁ ἄγιος Σμερῶν ὁ Χαλαβίτης; Ὁ ἄγιος Μάμας.

2. 2r – Ὁ ἄγιος Ἰωάννης ὁ Νηστευτής; იოვანე კონსტანტეპოვლელ მთავარეფისკოპოზი (გვიანდელი ხელით - მმარხველი).

3. 3v – Ὁ ἄγιος Ἄνθιμος ὁ Νικομηδίας; წმინდა ანთიმოზ მღვდელმონაქი; Усикновение главвъ Антиму Никодимского.

4. 4r – Ἰωακείμ καὶ Ἄννα; შობა წმიდისა ღმრთისმშობელისა მარიამისი; Рождество Богородицы; Ἰωακείμ ἄννηστε μήτηρ παρθένε· τεχθεῖσα τέξεις τὸν προαιώνων λόγον [იოაკიმე, აღდექი დედაო ქალწულო, მშობელი შობ წინარესაუკუნეთა სიტყვასა].

5. 5v – ἰψὼν τὸν στ[α]ρὸν ...λεφ; Воздвижение Креста; Στ[α]ρὸν τὸ πανσέβαστον εὐρέθι ξύλον · καὶ δαιμόνων κάκιστος (?) ἐπτῶθι πλάνη. [ჯვრის ყოვლადპატიოსანი იპოვა ძელი და დემონთა ყველაზე უარესი დაეცა საცთური].

6. 6r – Ὁ ἄγιος Νικήτας; წმინდა მონაქე ნიკიტა.

7. 7r – ბერძნული მინაწერი გადასულია; წმინდა მარტინე; с. Мартина.

¹ თ. ყაუხჩიშვილი, ზოგი ქართული ხელნაწერის ბერძნული მინაწერები. მიმომხილველი, II, თბილისი, 1951.

8. 8v – Ὁ εὐαγγελισμὸς τοῦ προδρόμου [ხარება წინამორბედისა]; დადუმება ზაქარიასი და იოვანე ნათლისმცემელისა ანგელოზმან ახარა; Явление Ангела Захарии.

9. 9r – Ἡ ἅγια Θέκλι; წმინდა თეკლა; с. тебла.

10. 10v – [Ὁ ἅγιος Ἀνανίας βαπτίζων τὸν ἀπόστολον Παῦλον [წმინდა ანანია ნათლავს ჰავლე მოციქულს]; ანანია მოციქული; с. Ананий апост., Иона пр.

11. 11v – Ὁ ἅγιος Δωρόθεος; ქ. წმინდა იოროთე ათინელ მთავარეფისკოპოზი; с. Дорофей.

12. 12v – Ὁ ἅγιος Ἰάκωβ ὁ Ἀλφαῖος ; იაკობ მოციქული ძე ალფესისა; с. Иаковъ Алтеевъ.

13. 13v – Ὁ ἅγιος Λουκᾶς ὁ εὐαγγελιστής; წმინდა მოციქული და მახარებელი ლუკა; с. ап. Лука

14. 14r – Ὁ ἅγιος Δημήτριος (მინიატურა ამოჭრილია).

15. 15v – Ὁ ἅγιος Κοσμάς καὶ Δαμιανός; წმინდათა უქრთამოთა კოზმან და დამიანესი;

с.м. Косъма, с.м. Даміан.

16. 16v – Ὁ ἅγιος ἀπόστολος Φίλιππος; წმინდა მოციქული ფილიპპე; с. ап. Филиппъ.

17. 17r – Ὁ ἅγιος Ματθαῖος ὁ εὐαγγελιστής; წმინდა მათე მოციქული; с. ев. Матвей.

18. 17v – Ὁ ἅγιος Γρηγόριος ὁ θαυματουργός; წმინდა გრიგოლი საკვირველთმოქმედი; с. Григорій Чудот.

19. 18v – წმინდისა სტეფანე ახლისა; წმინდა ირინარხოს (მინიატურა ამოჭრილია).

20. 19r – Ὁ ὁσιος Σάβας; წმინდა საბა (მინიატურა ამოჭრილია).

21. 20r – Ὁ ἅγιος Νικόλαος; ნიკოლოზ მთავარეფისკოპოზი; с. Николай.

22. 21v – Ὁ ἅγιος Ἡγνάτιος ὁ θεοφόρος; წმინდა ეგნატი; с. Игнатій.

23. 22r – Ἡ Γέννησις τοῦ Κυρίου ἡμῶν Ἰησοῦ Χριστοῦ; [შობა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი]; Рождество I. X. ὁ γαστέρος χάρημα σεπτὸν ἀγγέλους· ἐκ σοῦ θεὸς προήλθεν ἀσπορὰ τοκῶ. [მუცლის ნილო წმინდავ ანგელოსთათვის, შენგან ღმერთი გამოვიდა უთესლო შობით].

24. 23r – Ὁ ἅγιος Στέφανος ὁ Πρωτομάρτυς; წმინდა სტეფანე; Архдіакон Стефан.

25. 24r – Ὁ ἅγιος Βασίλειος ὁ Μέγας; წმინდა ბასილი მღვდელთმოდღუარი; Василиій Велик.

26. 25v – Ὁ ἅγιος Σίλβესტროς; სილიბისტრო რომთა პაპი; с. Сильвестръ.

27. 26r – Ἡ ἅγια βάπτισις; ნათლისღება; Крещенье; Σοῦ Χριστέ βαπτισθέντ εὔρεν ἡ φύσις· καθαρισὸν ὄντως ψυχικῶν μολυσμάτων [შენი, ქრისტევე, მონათლულ, ჰპოვა ბუნებამ განწმენდა ქეშმარიტად სულიერ უწმინდურებათაგან].

28. 27r – Ὁ ἅγιος Γρηγόριος ὁ Νύσις; გრიგოლ ნოსელი; с. Григорій Нисскій; Ὁ ἅγιος Εὐθύμιος; ქ. წმინდა თეოდოსე, რომელმან აღაშენა ლავრა (მინიატურა ამოჭრილია).

29. 28r – Ὁ ἅγιος Ἀντώνιος; წმინდა ანტონი; с. Анатоній.

30. 28v – Ὁ ἅγιος Ἀθανάσιος, Ὁ ἅγιος Κύριλλος; წმინდა ათანასი და კვირილი; с. Аθανай, С.Кириль // Ὁ ἅγιος Θεοδώτις, Ὁ ἅγιος Μακάριος ὁ Αἰγύπτιος; წმინდა თეოდოსი და მაკარი; Пр. Θεодотій, пр. Макарій.

31. 29r – Ὁ ἅγιος Εὐθύμιος; წმინდა დიდი ეფთვიმი; пр. Евθιμίј Великій.

32. 29v – Ὁ ἅγιος ἀπόστολος Τιμόθεος; წმინდა მოციქული ტიმოთე; с. ап. Матфей.

33. 30v – Ὁ ἅγιος Ἱερομάρτυς Κλήμης ὁ Ἀγκύρας. Ὁ ἅγιος Ἀγαθάγγελος; წმინდა მონამე კლიმედიოს, აღათაგელოს; с. Климентъ, с. АгаѠангель.

34. 31r – Ὁ ἅγιος Ἱερομάρτυς Βλάσιος; წმინდა მღვდელმონამე ვლასი; с. м. Власій.

35. 32r – Ὁ ἅγιος Βενεδείκτος; წმინდა ბენედიკტე; пр. Венедиктъ.

36. 33r – ხარება ყოვლადწმიდა; Боговъѣщеніе (ბერძნული და ასომთავრულით შესრულებული მინანერები მოჭრილია).

37. 34r – Ἡ ἀνάστασις Λαζάρου; ლაზარეს აღდგინება; Воскрисение Лазаря // Τὰ τοῦ τάφου σημεῖα Λαζάρου φέρων· λέλοιπεν ἄδην τῷ λόγῳ σου, παντάναξ [საფლავის ნიშნები ლაზარემ წარმოაჩინა: დატოვა ჯოჯოხეთი შენი სიტყვით, ყოველთა მეუფევ].

38. 35v – Ἡ βαϊτοφόρος; Входъ въ Иерусалимъ // Χριστοῦ μοιοῦντος πρὸς πάθος ζῶηφόρον [ქრისტე მიმავალი სიცოცხლისმომტანი ვნებისაკენ] ὄσ' ἄννα κραυγάζουσιν πέδες σὺν κλάδοις [ოსანა, ყვირიან ბავშვები რტოებით].

39. 36r – Ἡ προδοσία; იესო ქრისტე რომ დაიჭირეს; Предание Иуды // Πωλῆ μαθητῆς τὸν διδάσκαλον λόγῳ· πλέκῃ δὲ τὸν κάκιστον ἀγχώνης βρόχον. [ჰყიდის მოსწავლე მოძღვარს სიტყვით, მაგრამ იხვევს ყველაზე უარეს სახრჩობელის ყულვს].

40. 37r – Ἡ ἀνάκρισις; იესო ქრისტე რომ კაიაფასას მიიყვანეს და {...}; Иисусъ привъеден у Каиафы.

41. 38r – Ἡ φραγέλλωσις; იესო ქრისტე რომ კაიაფასით წარიყვანეს ტაძრად; О Предание И.Х

42. 39r – Σωτηῖρα ἃ γῆς ὁ Χριστὸς καὶ πάθη φέρων· ἔλυσεν ἡμᾶς ἐκ παθῶν ἀμαρτίας. [მაცხოვარს ქვეყნიერებისა, ქრისტე და ვნებათა მტვირთველი; დაგვიხსნა ჩვენ ვნებათაგან ცოდვისა] // Φρικτὸν καθέλεν Χριστὸν Ἰωσήφ ξύλου· σὺν Νικοδήμῳ καὶ δίδ... [შემადრწუნებელი ქრისტე გარდამოხსნა იოსებმა ძელიდან ნიკოდიმოსთან ერთად და...] ჯვარცმა; Распятие.

43. 40r – Ἡ Ἁγία Ἀνάστασις; აღდგომა ქრისტესი; Сошествіе въ Адъ; Ἄδην πατήσας Χριστὸς ἠγέρθη τάφου· καὶ τὴν πεσοῦσαν ἐξάνεστησε φύσιν [ჯოჯოხეთის დამტკებელი ქრისტე აღდგა საფლავიდან და დაცემული ბუნება აღადგინა].

44. 41r – Ἡ ἐσλόγησις τῶν ἄρτων; Явление Иисуса Еллаусскім путникамъ.

45. 42r – Ὁ ἄγγελος εὐαγγελιζόμενος ταῖς γυναιξὶ τὴν Ἀνάστασιν; მენელსაცხებლე დედანი.

46. 43r – Ἡ προβατικὴ κοლუმბήθρα; განრღუეული რომ განკურნა ქრისტემან; Исцеление Больного

47. 44v – Μεσοῦσης τῆς ἑορτῆς; განზოგებას რომ აღვიდა იესუ ტაძრად; 12 летний Иисусъ съ мудрецами.

48. 45v – Ὑδωρ δέδεκται καὶ γυνὴ ζωηφόρον· ξηραίνων αὐτῆς τὴν χύσιν τῶν παισμάτων [წყლის მიღება და სიცოცხლისმომტანი ქალი; დამშრობი მითა ცოდვათა სიმრავლისა]; სამარიტელი დედაკაცი; Самарянская жена у колодца.

49. 46v – Ἐβλεψε τυφλὸς ἐκ τόκου βεβυσμένος, Χριστος γὰρ ἦλθε πανόματος χάρις [ალიხილა ბრმამ დაბადებითგან (თვალ)დახშობილმა, ქრისტე კი წავიდა, ყოვლისმჭვრეტელი მაღლი]; ბრმას რომ თუალი აღუხილა ქრისტემან; Исцеление слепого.

50. 47v – Τὸ ὄρος τῆς Γαλιλαίας; იესო რომ აღდგომის მერე მონაფეთ წარმოუდგა კართა ჳშულთა; Явление Иисуса ученикам по Воскресению.

51. 48v – Ἡ ἀνάληψις τοῦ Κυρίου ἡμῶν Ἰησοῦ Χριστοῦ [ამაღლება უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი] // Ἄνω σύνεδρος πατρικῆς ἐξουσίας· καὶ συγκάθεδρος ἐκτελῶν βροτὸν κάτω; [ზემოთ თანამჯდომარე მამისეული ძალაუფლებისა; და შემწე(ობის) მოქმედი მოკვდავისა ქვემოთ] საუფლო ამაღლება; Вознесение.

52. 49r – Ὁ ἄγιος Εὐτύχιος; წმიდა ევტიხი.

53. 50r – Ὁ ἄγιος Ἀντίπας; წმიდა ანტიპა; с. Антипа.

54. 51v – Ὁ ἄγιος Γεώργιος (მინიატურა ამოჭრილია).

55. 52r – Ὁ ἄγιος Μάρκος ὁ εὐαγγελιστής; მოციქული მარკოზ; ев. Маркъ.

56. 52v – Ὁ ἄγιος Βασίλειος; ვასილი ამისიელ ეპისკოპოსისა; с. Василий Амасискій.

57. 53r – Ὁ ἄγιος Ἰάκωβος ὁ τοῦ Ζεβεδαίου; მოციქული იაკობ ძე ზებედესი; с. ап. Иаковъ Зеведеевъ.

58. 54r – Ὁ προφήτης Ἱερεμίας; წინანარმეტყუელი იერემია; с. Пророкъ Іереміа.
59. 54v – Ὁ ἅγιος Ἀθανάσιος Ἀλεξανδρείας; ათანასი ალექსანდრიის პატრიარხი; Аѳанасій Алексан.
60. 55v – Ὁ ἅγιος προφήτης Ἡσαΐας. Ὁ ἅγιος Χρηστοφορος; წინანარმეტყუელი ისაია და ქრისტედორე მონამე; с. Проп. Ісаиа, м. Христоѳор.
61. 56v – Ὁ ἅγιος Παχῶμιος. Ὁ ἅγιος προφήτης Ζαχαρίας; Пр. Пахомій Великій, с. Захарій.
62. 57r – Ὁ ἅγιος Συμεὼν τὸν θαύματος ὄρους (მინიატურა ნახევრად ამოჭრილია)
63. 58r – Ὁ ἅγιος Μητροφάνης; წმიდა ეპისკოპოსი დომეტი; с. Домети.
64. 59r – Ἡ ἁγία Φεβρωνία, с.М. Феβроніа // Ὁ ὄσιος Σαμψὼν; с. Самсѳн страннопр.
65. 59v – Χριστὸν μαθηταί, Πέτρε καὶ Παῦλε, πρῶμοι φρουρεῖτε πάντας ὡς μιμηταί [ქრისტეს მონაფენო, პეტრე და პავლე, წინამბრძოლნო, დაიცავით ყველანი, როგორც (მაცხოვრის) მიმბაძველეთა, ვნებისაგან]; თავნი მოციქულთანი პეტრე და პავლე; с. ап. Петръ, с. ап. Павелъ;
66. 60r – Ὁ ἅγιος Προκάπιος; წმიდა მონამე პროკოპი; с. м. Прокопій.
67. 61v – Κύριακος καὶ Ἰουλίττα.
68. 62r – Ὁ ἅγιος Ἀθηναγένης. Ἡ ἁγία Μαρίνα; წმინდა მარინა.
69. 63r – Ὁ ἅγιος προφήτης Ἡλίας; ელია წინანარმეტყუელი; св. Прор. Ілия.
70. 64v – Μαρία ἡ Μαγδαληνή; მარიამ მაგდალინელი; Μαρία Магдал.
71. 65v – Ἡ ἀποτομή τὸν προδρόμου; ნათლისმცემლისთავისკვეთა; Τὸν παμφαεὶ σου λύχρον Ἡρώδης σβέσας· Βαπτιστὰ Χριστὸν, παντὸς ἐπλήσθη ζώφου [ყოვლადბრწყინვალე შენი ჩირაღდნის დამშრეტელი პეროდე, ქრისტეს ნათლისმცემელო, მთელი წყვდიადით აღვსებული იქნა].
72. 66r – კეთროვანი რომ განკურნა ქრისტემან; Исцѣленіе прокаженногo.
73. 67v – ასისთავი რომ ევედრება კურნებას; Исцѣленіе слуги сотника.
74. 68r – Ἐγάλασαν τὸν κράββατον [ჩაუშვეს სარეცელი კრამიტინი სახურავიდან]; Опушение разслабленногo через крышу въ дом.
75. 69v – დედაკაცი რომ განკურნა უფალმან; Исцѣленіе Кровоточивой.
76. 70r – Ὁ ὑδροπικὸς [წყალმანკიერი]; წყლითმანკიერი კაცი რომ განკურნა ქრისტემან; Исцѣленіе скорченной.

მინიატურებისათვის იხ.: Шмерлинг Р., Художественное оформление грузинской рукописной книги IX-XI вв., 47, табл. VI, VII; Г. Алибегашвили, Художественный принцип иллюстрирования грузинской рукописной книги XI нач.-XIII вв. Тбилиси, 1973, стр. 12-74; Ш. Амиранашвили. Грузинская миниатюра, 1966, 19, табл. 16-19.